საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
17 - 23 აპრილი, 2019
№14 (485)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## უსამართლოდ მივიწყებულნი 14

## იუბილე, რომელიც აღნიშვნის ღირსია



## «საქართველო რეალურად ვისგანაც არის დასაცავი, 13 აპრილს ყველა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში იჯდა» 2

## «არ გისმენთ, არ მწამს, არ მჯერა თქვენი!» 3





## ივანიშვილი — ტელევიზორში, საქართველოს «დამცველები» — ფილარმონიაში 10



მამა გიორგი (რაზმაძე): 8

## შორს ვარ იმ აზრისგან, რომ, რადგან ივანიშვილი უწმინდესს შეხვდა, ხვალიდან ხელისუფლება გაივსება ეროვნული სულისკვეთების ადამიანებით




## პრემიერმინისტრმა ევროსაბჭოს ტრიბუნიდან საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას, მათ შორის პატრიარქს, მარგინალები უწოდა 4

## «მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის» 19







9

## ლიბერა-ლური ფაშიზმი — მთავარი საფრთხე ჩვენი ქვეყნისთვის

## ოჯახური ფასეულობების დამცველებს ებრძვიან ლგბტ პირები, პრესა, პოლიტიკური კონკურენტები. მათ მხარს არც ვატიკანი არ უჭერს 21

WORLD CONGRESS OF FAMILIES XIII
VERONA | 29-31 MARCH, 2019

საზოგადოება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ტრიბუნასთან ასულმა ჭაბუას ხელნაწერი წავიკითხე და, რადგან ვიცოდი, რომ ბევრის თქმის უფლებას არ მომცემდნენ, ვთქვი, რატომ არ ამოიღეთ ხმა მაშინ, როდესაც ევროკომისიამ პატრიარქზე განაცხადა, სიძულვილის ენით საუბრობსო; ასევე ვთქვი, რომ ივანიშვილი როსტომ ხანს მაგონებს — ცალი ხელით ეკლესიას აშენებს, ცალით კი პატრიარქს ახრჩობს-მეთქი. ბევრის თქმა ვერ მოვახერხე, რადგან მიკროფონი გამომირთეს და თანაც თავზე მადგნენ, თუმცა, რაც ვთქვი, დამსწრე საზოგადოებამ, მგონი, კარგად გაიგო, ამას ოვაციებით მივხვდი“.**

**პოეტმა დავით მაღრაძემ, მომღერალმა გია გაჩეჩილაძემ, მისმა ძმამ, ბიზნესმენმა ლევან გაჩეჩილაძემ და მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის შვილმა ლაშა ამირეჯიბმა ცოტა ხნის წინათ განაცხადეს, რომ კვლავ აპირებენ ათი წლის წინათ დაარსებული მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ „გაცოცხლებას“, რადგან ქვეყანა კვლავ დასაცავია. ძალიან მალე საზოგადოებას ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში უხმეს და 13 აპრილს შეხვედრაც გაიმართა.**

# დავით მხეიძე: საქართველო რეალურად ვისგანაც არის დასაცავი, 13 აპრილს ყველა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში იჯდა

დილიდან ყველა ტელევიზიის ყურადღება ფილარმონიისკენ იყო მიმართული. ხალხის ნაკადი არ წყდებოდა, ვის არ ნახავდით იქ — ყოფილ რესპუბლიკელებს, უმრავლესობის ყოფილ წევრებს, საკრებულოს ყოფილ წევრებს „ოცნებიდან“, უცხოელ სტუმრებს და ენ-დი-აის წარმომადგენლებსაც კი. შეკრება, ალბათ, მშვიდ გარემოში ჩაივლიდა, რომ არა ერთი ინციდენტი: პუბლიცისტმა, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მუდმივმა ავტორმა დავით მხეიძემ სცენაზე ასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ორგანიზატორებმა უარი უთხრეს. ის მაინც ავიდა სცენაზე მას შემდეგ, რაც დარბაზში მსხდომებმა ტაშით გაამხნევეს. მხეიძემ მთავარი სათქმელი თქვა, მიუხედავად იმისა, რომ მიკროფონი გამოურთეს. აღნიშნულმა ინციდენტმა დიდი ხმაური გამოიწვია სოციალურ ქსელში, საზოგადოება აღშფოთებას ვერ მალავდა. აი შეფასებები, რომლებიც ფილარმონიაში შეხვედრის დასრულებისთანავე დაიწერა: „დაიცავით საქართველო „დაიცავი საქართველოსგან“, „დავით მხეიძემ სიმართლით სიყალბე დაახრჩო, ცხვრის ტყავში გახვეული პატრიოტების სახე დაგვანახვა“, „ქოცნებამ“ მოილოგინა და შვა „დაიცავი საქართველო“, „მხეიძის მიერ ფარული ბიძინისტების მხილებამ ოვაციები გამოიწვია“ და ა.შ. „ქართული ოცნების“ მამხილებელი პუბლიცისტი დავით მხეიძე იმ დღის გმირი გახდა, თუმცა მასთან გასაუბრება არც ერთ მედიასაშუალებას არ უცდია.

**რისთვის მივიდა ფილარმონიაში პუბლიცისტი და რისი მოსმენა სურდა მას? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე თვითონ დავით მხეიძე გვესაუბრება:**

— მიამიტი კაცი ვარ, ალბათ, ამდენი წელიწადია, ქუჩაში ვდგავარ და მაინც ვერ გავიგე, ვინ ვინ არის, რატომღაც ყველასი მჯერა. უკეთესის მოლოდინი მაქვს გამუდმებით. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ რომ გამოვიდა ბიძინა ივანიშვილი და ილაპარაკა, დავიჯერე... რაც შეეხება „დაიცავი საქართველოს“, ათი წლის წინათ როცა შეიქმნა ეს ორგანიზაცია, მეც მათთან ვიყავი. იქ ბევრი კარგი ადამიანი იყო, ისეთი, ვისაც ვიცნობდი და ვენდობოდი. ახლა, როდესაც ხელახლა დაიწყო ამ მოძრაობამ გამოცოცხლება, ისევ ვენდე.

„დაიცავი საქართველოს“ შეხვედრა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 13 აპრილს იყო დანიშნული. წინა დღეს დიდი ხნის მეგობარს, შეხვედრის ერთ-ერთ ორგანიზატორს, **ჭაბუა ამირეჯიბის** შვილს, **ლაშას** დავურეკე და ვუთხარი, რომ მქონდა ჭაბუა ამირეჯიბის ხელნაწერი. როდესაც დიდმა მწერალმა მოუწოდა ქართველს, „დაიცავი საქართველო“-ო, სწორედ იმ დღეებში ვსტუმრობდი მას და ვკითხე, **ბატონო ჭაბუა, ჩვენ ევროპელები ვართ თუ აზიელები-მეთქი? მან მიპასუხა: ჩვენ არც ევროპელები ვართ და არც აზიელები, ჩვენ ვართ ის, როგორი სულიერებითაც მოვედით ამ დალოცვილ, მაგრამ „შარიან“ მიწა-წყალზე, პლუს ის, რაც ევროპისა და აზიისგან ვისესხეთ და გავითავისეთ. ჩვენ ქართველები ვართ.** აი, ამ სიტყვების წაკითხვა მინდოდა ფილარმონიაში. ვიფიქრე, რადგან ჭაბუას სიტყვები აქვთ დევიზად, ეს უნიკალური განმარტება „ქართველობისა“ მისაღები იქნებოდა. ლაშა ამირეჯიბმა მითხრა: კარგი იქნება, თუ ამ სიტყვებს წაიკითხავო. ფილარმონიაში შეხვედრის დაწყებამდე მივედი, **დათო მაღრაძეც** მოვიდა, ერთმანეთს მივესალმეთ და ეჭვიც არ შემპარვია, რომ უარს მეტყოდა ტრიბუნაზე ასვლაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჭაბუას ხელნაწერი ვაჩვენე. მითხრა: ყველაფერი გაწერილია და გეგმის მიხედვით უნდა ჩატარდესო და დასძინა, დღეს ნაწარმოებების წაკითხვის დღე არ არისო. ვუპასუხე, ეს ნაწარმოები არ არის და ამ სიტყვებს ვერავინ ვერსად ვერ წაიკითხავს-მეთქი... რადგან კატეგორიული უარი მივიღე, მაღრაძეს შევთავაზე, თვითონ წაეკითხა მწერლის სიტყვები, მაგრამ მიპასუხა, ამის დრო არ არისო... მისმა პასუხმა შემაშფოთა, თურმე ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვების გამეორების დრო არ არის. შეხვედრაზე პირველი დათო მაღრაძე გამოვიდა სიტყვით, ქართველობაზე ისაუბრა საკმაოდ ბევრი, მაგრამ საინტერესო ვერაფერი მოვისმინე ვერც მე და ვერც იმ ხალხმა, რომელიც ახლის მოსმენას ელოდა. ფეხზე წამოვდექი და მაღრაძეს დარბაზიდან მივმართე: არ მაძლევთ სიტყვას, ბატონო, დავით? თან დავძინე, — ჭაბუას სიტყვა მაქვს წასაკითხი-მეთქი. მაინც უარი რომ განმიცხადა, ხალხს ვკითხე, ავსულიყავი თუ არა სცენაზე, ხალხმა ტაშით თანხმობა მომცა და სცენისკენ გავემართე...

**— რის მოსასმენად მივიდა ხალხი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, თქვენ რისი მოსმენა გსურდათ?**

— მეც და დარბაზში მყოფი საზოგადოებაც ველოდით, რომ „დაიცავი საქართველოს“ ლიდერები მართლა საქართველოს დასაცავად მოვიდნენ და სიმართლეს იტყოდნენ, მეგონა, იმისთვის შეკრიბეს საზოგადოება, რათა ყველაფრისთვის თავისი სახელი დაერქმიათ, მაგრამ ამაოდ... მხოლოდ **მურუსიძე-ჩინჩალაძე** ახსენეს და **ბიძინა ივანიშვილს** მადლობა გადაუხადეს...

**— ვისგან არის საქართველო დასაცავი?**

— ნეოლიბერალებისგან, მათი დიქტატურისგან. ქართველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის ტოლობის ნიშანი დასვა. მათ სურთ, ეს მოისმინონ ყველასგან, სურთ, პრობლემებზე ხმამაღლა ვისაუბროთ და თავისი სახელი დავარქვათ ყველაფერს, სწორედ ამის მოსმენა სურს ხალხს და არა მურუსიძისა და ჩინჩალაძის გვარების. ქვეყანა თუ უკვე დაღუპული არ არის, უფსკრულის პირას ნამდვილად დგას და ასეთ ვითარებაში მურუსიძეს დანიშნავენ თუ ურუშიძეს, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. **საქართველოს მთავარი პრობლემა ნეოლიბერალური ფაშიზმის შემოტევაა. ჩვენს ქვეყანას უცხო ქვეყნიდან დაფინანსებული არასამთავრობოები მართავენ, უკანონო მიგრანტებმა წალეკეს აქაურობა. სამწუხაროდ, ამ ნეოლიბერალურ ფრთაში აღმოჩნდნენ „ქოცები“. ამ საშინელ სენს ებრძვის მხოლოდ ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი, რომელსაც გაშმაგებით ებრძვიან.**

დარბაზში შესვლისთანავე მივხვდი, რატომ მითხრა მაღრაძემ ფრაზა „ამის დრო არ არის“. **როცა შევნიშნე, რომ დარბაზში ენ-დი-აის წარმომადგენელი ლორა ტორნტონი იჯდა, მაშინვე მივხვდი, რომ სულ სხვა თამაშში აღმოვჩნდი და იქ სიტყვები „ჩვენ ქართველები ვართ“ არავის სჭირდებოდა.**

ტრიბუნასთან ასულმა ჭაბუას ხელნაწერი წავიკითხე და, რადგან ვიცოდი, რომ ბევრის თქმის უფლებას არ მომცემდნენ, ვთქვი, რატომ არ ამოიღეთ ხმა მაშინ, როდესაც ევროკომისიამ პატრიარქზე განაცხადა, სიძულვილის ენით საუბრობსო; ასევე ვთქვი, რომ ივანიშვილი **როსტომ ხანს** მაგონებს — ცალი ხელით ეკლესიას აშენებს, ცალით კი პატრიარქს ახრჩობს-მეთქი. ბევრის თქმა ვერ მოვახერხე, რადგან მიკროფონი გამომირთეს და თანაც თავზე მადგნენ, თუმცა, რაც ვთქვი, დამსწრე საზოგადოებამ, მგონი, კარგად გაიგო, ამას ოვაციებით მივხვდი.

მაინც ვერ გავიგე, ვისგან უნდათ საქართველოს დაცვა „დაიცავი საქართველოს“ წევრებს, მაშინ, როდესაც დარბაზში ყველა არასამთავრობო იჯდა და ენ-დი-აი მათი მეგობარია. საქართველოს მტრები ჩემი მეგობრები და დამცველები ვერ იქნებიან. საქართველო რეალურად ვისგანაც არის დასაცავი, 13 აპრილს ყველა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში იჯდა.






# «ქართველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის ტოლობის ნიშანი დასვა»

**— „დაიცავი საქართველოს“ დამფუძნებლებს აქვთ ამბიცია, ახალ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდნენ. როგორ ფიქრობთ, შეძლებენ ეს ნიშა დაიკავონ?**

— ხალხის რეაქცია ყველამ დაინახა, სანამ სცენაზე ავიდოდი, ხალხი დარბაზს ტოვებდა, ადამიანებმა საინტერესო ვერაფერი მოისმინეს და წასვლა ამჯობინეს. ძალიან მეეჭვება, ხალხი მათ გვერდით დადგეს. მე აღარ მწამს „დაიცავი საქართველოსი“, დანარჩენს საზოგადოება თვითონ გადაწყვეტს და გამოუტანს განაჩენს.

სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ყველამ იცოდა, რომ ქრიატიან-დემოკრატები ხელისუფლების სატელიტები იყვნენ, მაგრამ პრეზიდენტის ლანძღვას მათ არავინ უშლიდა, „დაიცავი საქართველოს“ კი ერთხელაც არ უხსენებია ივანიშვილის შეცდომები, რამაც დამარწმუნა, რომ ივანიშვილის თამაშს თამაშობენ...

**მინდა, მივმართო ლაშა ამირეჯიბს, რომელმაც მითხრა, მამაჩემის სახელს ჩრდილი მიაყენეო: არ ვიცი, ჩრდილი როგორ და რით მივაყენე დიდი მწერლის სახელს, მაგრამ ლაშამ უნდა იცოდეს, ჭაბუა ამირეჯიბი არა მხოლოდ მისი მამა, არამედ დიდი ქართველი მწერალი და სრულიად საქართველოს სიამაყეა. მინდა ვუთხრა ისიც, რომ მამამისის სიტყვებით ხშირად მივმართავ მკითხველს, რომელიც ბევრი მყავს და ბევრი წერილი მიმიძღვნია ბრძენკაცისთვის.** ჩრდილი მე კი არ მივაყენე ჭაბუა ამირეჯიბს, იმან მიაყენა, ვისაც ჭაბუას სიტყვები ლოზუნგად აქვს ვითომ ქცეული, მისი სიტყვების წაკითხვის უფლებას კი არავის აძლევს.

„დაიცავი საქართველოსთან“ კავშირის სურვილი არ მაქვს, მაგრამ თვალს ვადევნებ მეც და კიდევ ბევრი ჩემნაირი. საინტერესოა, რას იზამენ ისინი, როდესაც ნეოლიბერალი ხლისტები საქართველოს დედაქალაქის გულში ლგბტ აღლუმს ჩაატარებენ.

მტერი არ ვარ, ღმერთმა ქნას, მართლაც დაიცვან საქართველო, ის საქართველო, რომლის დაცვაც ჭაბუა ამირეჯიბმა გვთხოვა.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე პრემიერ ბახტაძეს ევროსაბჭოს სლოვენიელმა დეპუტატმა ვიოლეტა ტომიჩმა უსაყვედურა, რომ საქართველოში ლგბტ პირებს დღემდე არ მიეცათ 17 მაისს გეიაღლუმის ჩატარების შესაძლებლობა და ჰკითხა, თუ როდის და როგორ აპირებს ხელისუფლება ამ „უსამართლო დისკრიმინაციის“ გამოსწორებას.



ავი მუსაიფი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გასულ კვირაში საქართველოს ერთბაშად ორი საიუბილეო თარიღი „დაატყდა“ თავს. პირველზე, 9 აპრილის 30 წლისთავის აღნიშვნაზე, გაზეთის წინა ნომერში ვწერდი და ამიტომ ამ თემაზე საუბრით თავს აღარ შევაწყენ მკითხველს. მხოლოდ იმას გავიმეორებ, რომ 30 წელიწადია, ერი და ბერი ვერ შეთანხმებულა, 9 აპრილი საზეიმო თარიღია თუ სამგლოვიარო საქართველოს უახლეს ისტორიაში და იქნებ ახლო მომავალში შევთანხმდეთ.**

# «არ გისმენთ, არ მწამს, არ მჯერა თქვენი!»

## რას გვაზეიმებენ ქოცები და ნაცები უბედურ საქართველოს — 20-წლიან იმედგაცრუებას?

რაც შეეხება მეორე საიუბილეო თარიღს, ევროსაბჭოში საქართველოს გაერთიანების 20 წლისთავს, აქ ერისა და ბერის რა მოგახსენოთ, მაგრამ ქოც-ნაცურ ხელისუფლებასა (მკითხველს შევახსენებ დიდი ხნის შეთანხმებას, რომ, თუ არ ჩავთვლით „პატრიოტთა ალიანსს“, პარლამენტში არავითარი ოპოზიცია არ არსებობს, რადგან 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები პოლიტიკურად ერთი და იმავე სქესის ქოცებისა და ნაცების ქორწინება იყო) და არასაპარლამენტო ოპოზიციაში (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ამ თემაზე სრული კონსესუსია — საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრება საზეიმო თარილია და პრემიერ **ბახტაძის** მეთაურობით აკი გაემგზავრა კიდეც სამთავრობო დელეგაცია ევროპის გულში სადიმპიტაურ-დამპიტაუროდ.

არადა, **რას ვზეიმობთ? უფრო ზუსტად, რას გვაზეიმებენ ქოცები და ნაცები უბედურ საქართველოს — 20-წლიან იმედგაცრუებას?**

კონკრეტულობა გნებავთ? არც ეგ არის პრობლემა: **სოხუმ-ცხინვალის დაკარგვას? მიგრანტების ტოტალურ შემოსევას და, აქედან გამომდინარე, ისედაც კატასტროფული დემოგრაფიული ვითარების უკიდურესად დამძიმებას? ნარკომანების, ნარკობარიგების, კახპების, ლგბტ პირების მიერ რუსთაველის პროსპექტის პარალიზებას? რუსეთთან ურთიერთობების უკიდურესად გამწვავებასა და, აქედან გამომდინარე, მავთულხლართების უფრო ღრმად შემოჭრას შიდა ქართლში და, შესაბამისად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ოცნების უსაფუძვლობას?**

რომელი ერთი ჩამოვთვალო? აკი ერთ-ერთ წინა წერილში დავესესხე **დავით გურამიშვილს:** „ქართლის ჭირსა ვერ ვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენა მჭევრი“...

ყოველივე ზემოთ ნახსენები თუ ვერ ნახსენები „ჭირი ქართლისა“ ხომ სწორედ ევროსაბჭოს „რეკომენდაციების“ ან მათი მდუმარე თანხმობის შედეგად მოხდა?

ერთადერთი „სიკეთე“, რომელიც ევროსაბჭოში გაერთიანებიდან გამომდინარე გვახსოვს, არის **ზურაბ ჟვანიას** მიერ ევროსაბჭოს ტრიბუნიდან ნასროლი ქოც-ნაცების მიერ ლეგენდარულად შერაცხილი ფრაზა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“, რომელსაც, ეს დღეებია, ხშირად ატრიალებდნენ ქართული ლიბერასტული ტელეარხები. არადა, მსგავსი სისულელე ძნელი წარმოსადგენია — **თუ ქართველი ხარ, რაღა მაშასადამე უნდა ამას?!**

ამის თაობაზე 10 წლის წინათ დიდ ჭაბუა ამირეჯიბს ვკითხე: ვინ ვართ ჩვენ — ევროპელები თუ აზიელები? „გორა მბორგალმა“ ყოველგვარი მაშასადამეს გარეშე წერილობით (მაშინ უკვე ველარ საუბრობდა ქართველი კლასიკოსი, ბერი დავითი) მიპასუხა: **„ჩვენ არც ევროპელები ვართ და არც აზიელები. ჩვენ ვართ ის, როგორი სულიერებითაც მოვედით ამ მადლიან, მაგრამ შარიან მიწა-წყალზე; პლუს, რაც ევროპა-აზიიდან ვისესხეთ და გავიქართულეთ.**

ჩვენ ქართველები ვართ!“

შეადარეთ, მკითხველო, ჭაბუას გენიალური განმარტება იმ „მაშასადამეს“ და ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ „სისულელე“ რბილად არის ნათქვამი. ან კიდევ ერთი სისულელე, როგორსაც ხშირად მოისმენთ ჩვენი პროდასავლელი ლიბერასტებისგან — „საქართველო ევროპულ ოჯახს უბრუნდება“ ან „საქართველო ევროპულ ოჯახს დაუბრუნდება“.

შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი რომ არ იცვლება, ელემენტარული აქსიომაა. ანუ, უბრუნდება თუ დაუბრუნდება იმას ნიშნავს, რომ საქართველო ოდესღაც იყო ამ ყბადაღებული ევროპული ოჯახის წევრი და, აქედან გამომდინარე, მინდა ვიკითხო: როდის იყო ეს „ოდესღაც“, როდესაც ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდა, ანუ **დავით აღმაშენებლიდან,** ვიდრე **თამარ შვიდმნათობიერამდე,** როდესაც „ვეფხისტყაოსანს“ ვწერდით, ხოლო ევროპულ ოჯახში ტანის დაბანა არ იცოდნენ, თუ რუსეთთან შეერთებამდე, როდესაც საქართველოს წერა-კითხვისთვის აღარ ეცალა, რადგან „ობოლი საქართველოს“ მეფენი ყოველი მხრიდან შემოსეულ მტერს იგერიებდნენ?



რა თქმა უნდა, ეს კითხვები ყოველი ნორმალური ადამიანისთვის რიტორიკულია და ახლა ისევ ევროსაბჭოს იუბილეს დავუბრუნდეთ...

ერთ-ერთ წინა წერილში გაუწყეთ, როგორ შეურაცხყო ევროსაბჭოს ერთ-ერთმა ქვედანაყოფმა (თუ ასე თქმა შეიძლება), ე.წ. ევროკომისიამ ჩვენი სათაყვანებელი უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, როცა უწოდა მას „სიძულვილის ენით“ მოსაუბრე მხოლოდ იმ „დანაშაულის“ გამო, რომ ილია მეორემ გაბედა და ლგბტ ღონისძიებებს სირცხვილი, ხოლო მამათმავლობას ავადმყოფობა უწოდა. პატრიარქის (წაიკითხე, სრულიად ქართველი ერის) ასეთი გაუგონარი შეურაცხყოფა ქოცნაცების ხელისუფლებამ, რომ იტყვიან, გაატარა.

და აი, ამ „გატარების“ შედეგი სტრასბურგში: ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე პრემიერ ბახტაძეს ევროსაბჭოს სლოვენიელმა დეპუტატმა **ვიოლეტა ტომიჩმა** უსაყვედურა, რომ საქართველოში ლგბტ პირებს დღემდე არ მიეცათ 17 მაისს გეიაღლუმის ჩატარების შესაძლებლობა და ჰკითხა, თუ როდის და როგორ აპირებს ხელისუფლება ამ „უსამართლო დისკრიმინაციის“ გამოსწორებას.

პასუხად, **ბრინჯივით დაბნეულმა პრემიერმა რაღაცები ილუღლუღა ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებაზე, რომ გეიპარადების მოწინააღმდეგე მცირერიცხოვანი მარგინალური ჯგუფები ყველგან არიან და პირობა დადო, რომ მსგავს „უსამართლობას“ ამიერიდან აღარ დაუშვებს საქართველოს ხელისუფლება.**

პრემიერად წოდებულმა კაცუნამ, ნებსით თუ უნებლიეთ, შეურაცხყო საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, საქართველოს დედაეკლესია და პირადად კათოლიკოს-პატრიარქი, რადგან, პრემიერის პირიდან ამოსული სიშტერის მიხედვით, „მცირერიცხოვანი მარგინალები“ სწორედ ქართველი ერი, ეკლესია და პატრიარქია.

ამ ყოველივეს შემდეგ, პრემიერად წოდებული არარაობა ასევე არარაობა მინისტრებსა თუ პარლამენტის წევრებთან ერთად, ვითომც არაფერიაო, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე სამების ტაძარში ანთებული კელაპტრებით ხელში ფარისევლურად ეამბორებიან უწმინდესის კალთას.

ზემოთ ქართული ლიბერასტული ტელეარხები ვახსენე და, აბა, რა ლიბერასტები იქნებოდნენ, სტრასბურგიდანაც არ ეკბინათ რუსეთისთვის?! აქაოდა, ჩვენ 20 წლის იუბილეს ვზეიმობთ, ხოლო რუსეთი ამაოდ ცდილობს ევროსაბჭოში დაბრუნებასო. არადა, ყველაფერი პირიქით ყოფილა. ევროპა მიხვდა რუსეთის მიმართ დაწესებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სანქციების უაზრობას — მიუხედავად ანგლო-საქსების (აშშ-ბრიტანეთი) მოლოდინისა, ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობა წითელ მოედანზე არ გამოვარდნილა იაფი ძეხვისა და დემოკრატიის მოთხოვნით. ამით დასრულდა ხლისტების ოცნება მართლმადიდებელი რუსეთის შიგნიდან აფეთქება-დაშლისა; ყირიმის თემა დახურულად გამოაცხადა **ვლადიმერ პუტინმა** და მეტიც, არც დონბას-ლუგანსკის მიტოვებას აპირებს რუსეთი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ევროპა ნელ-ნელა ხვდება, რომ რუსეთზე დაწესებილი სანქციებით მხოლოდ აშშ-ბრიტანეთი ხეირობს და სწორედ ამიტომ ევროსაბჭოს გერმანულმა დეპუტაციამ რუსეთის ევროსაბჭოში დაბრუნების რეზოლუციის პროექტი გაიტანა კენჭისსაყრელად, რაც ჯერჯერობით ჩავარდა თუ ჩავარდნა შეიძლება ვუწოდოთ კენჭისყრის ამ შედეგებს: ევროსაბჭოს დეპუტატთაგან ევროსაბჭოში რუსეთის დაბრუნების მომხრე 105 იყო, წინააღმდეგი — 30, თავი შეიკავა — 16-მა. რაც შეეხება 47 წევრ-ქვეყანას, რუსეთის დაბრუნების წინააღმდეგი მხოლოდ 8 აღმოჩნდა, მათ შორის, რასაკვირველია, სულელი საქართველო, რომლისგან განსხვავებით ჭკვიანი სომხები რუსეთის დაბრუნების მომხრეთა რიგებში არიან. დანარჩენი ქვეყნებიდან უმრავლესობა მომხრე იყო, ნაწილმა თავი შეიკავა.

რას ნიშნავს ეს? იმას, რომ რუსეთი მოკლე ხანში მაინც დაბრუნდება ევროსაბჭოში და საქართველოს ეს დაუფიქრებელი წინააღმდეგობა შეიძლება ძვირად დაუჯდეს...

**დავით მხეიძე**

**P.S. გასულ შაბათს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ მოხდა — ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში „დაიცავი საქართველო“ პირველად შეიკრიბა, რომელსაც მეც დავესწარი, რადგან ბევრს ვიცნობ მათგან და ზოგიერთთან ვმეგობრობ კიდეც — მაინტერესებდა მესამე ძალაზე პრეტენზიის მქონე პოლიტიკური მოძრაობის მიმართულება. აქვე მინდა განვაცხადო, რომ ამ შეკრებამ იმედი გამიცრუა — უმეტესად ზოგადი ფილოსოფიური წიაღსვლები და არანაირი კონკრეტიკა ჩემთვის და, დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის (როგორც გაირკვა, იქ დამსწრე საზოგადოებისთვისაც) მტკივნეულ თემებზე — დემოგრაფიულ კატასტროფაზე, მიგრანტების შემოსევაზე, ტერიტორიული მთლიანობაზე, ლგბტ პირებისა და არასამთავრობო ხლისტების გაჯეჯილებაზე, განათლების სისტემის ნგრევაზე და ა.შ. საზოგადოება კი მესამე ძალისგან, პირველ რიგში, ეროვნულ ზნეობრივ „საკვებს“, ანუ, სამშობლოს გადარჩენის ღონისძიებებს ელოდება და მხოლოდ შემდეგ — „ბუტერბროდებს“! მავანი მეტყვის, შე კაი კაცო, პირველი შეკრება იყო და ყველაფერზე ხომ ვერ ილაპარაკებდნენო, მაგრამ არა, ნათქვამია, სახარე ხბოს, სასკორავში ეტყობაო და რაზეა საუბარი, როდესაც ერთ ხელში ჭაბუას დროშა გიჭირავს და მეორეთი, ემანდ რას იტყვის ევროპაო, არ მათქმევინებ ჭაბუას მიერ დატოვებულ ზემოხსენებულ „ანდერძს“ — „ჩვენ ქართველები ვართ“! რა ჰქვია ამას, მკითხველმა განსაჯოს...**

**მე კი პირობას ვდებ, რომ ამიერიდან „დაიცავი საქართველოს“ შეკრებებზე აღარ მივალ, რათა ჩემი „მეტისმეტი ქართველობით“ ევროპა არ გავაბრაზო. ჩემ წილ საქართველოს კი, სადაც ვიქნები, იქ დავიცავ ისე, როგორც იცავდნენ ჩემი დიდებული წინაპრები!**

**დასასრულ, მინდა მოვიყვანო ჭაბუა ამირეჯიბის მეგობრის — შოთა სალუქვაძის აწ გარდაცვლილი შვილის — ანანიას ლექსი, რომელიც შეესაბამება ზემოაღწერილს:**

**„მე კარგად მახსოვს თქვენი სიმღერა,**
**ფარისევლური სიტყვა და ძღვენი,**
**მე კი დავრჩები ვით ველზე მგელი,**
**არ გისმენთ, არ მწამს, არ მჯერა თქვენი!“**

**ბრინჯივით დაბნეულმა პრემიერმა რაღაცები ილუღლუღა ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებაზე, რომ გეიპარადების მოწინააღმდეგე მცირერიცხოვანი მარგინალური ჯგუფები ყველგან არიან და პირობა დადო, რომ მსგავს «უსამართლობას» ამიერიდან აღარ დაუშვებს საქართველოს ხელისუფლება**

პანოპტიკუმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღევანდელი ხელისუფლება, ძველის მსგავსად, მწვავე პრობლემის სასწრაფო გადაწყვეტის ნაცვლად ცდილობს, „გადააგოროს“ საყოველთაო აღშფოთების პერიოდი, „გაწელოს“ პაუზა; ვარაუდობს, რომ, ადრე თუ გვიან, ვნებათაღელვა ჩაცხრება. ამ ტაქტიკას, საბოლოო ჯამში მისთვის გაცილებით დიდი საიმიჯო ზიანი მოაქვს, მაგრამ არა აწმყოში, არამედ მომავალში, რომლის მიმართ შემდეგი დამოკიდებულება აქვს: „ან ვირი მოკდება, ან ვირის პატრონი“. ვერც გირგვლიანის საქმემ, ვერც ხორავას ქუჩაზე მომხდარმა მკვლელობამ ვერ ასწავლა მმართველ ელიტას, რომ მსგავსი პრობლემების რეალურ გადაწყვეტას ალტერნატივა არ აქვს.**

# პრემიერის საშინაო დავალება და თბილისური პრაიდის აჩრდილი

**10 აპრილს საქართველოს პრემიერმინისტრი მამუკა ბახტაძე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე სიტყვით გამოვიდა და დეპუტატების შეკითხვებს უპასუხა. ამ გამოსვლის რამდენიმე მონაკვეთი კარგად ასახავს „ქართული ოცნებისა“ და მისი ევროპელი პარტნიორების ურთიერთდამოკიდებულებასა და იმ პრობლემებს, რომელთა წინაშე საქართველოს ხელისუფლება დგას.**



## პრემიერმინისტრმა ევროსაბჭოს ტრიბუნიდან საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას, მათ შორის პატრიარქს, მარგინალები უწოდა

**ქართველი პოლიტიკოსები ცდილობენ, დასავლეთთან ურთიერთობაში ბეჯითი მოწაფის როლი მოირგონ. ეს დამოკიდებულება სააკაშვილის მმართველობის წლებში დამკვიდრდა და «ქართულ ოცნებას» არაფერი შეუცვლია. ქვეყნის პირველი პირები ანგარიშს აბარებენ ევროპელ მოხელეებსა და ევროპარლამენტარებს ისე, როგორც საშინაო დავალებას და თითქოს ევაჭრებიან, რომ, სამიანი კი არა, ოთხიანი დაუწერონ, საუბარი ხუთიანზე ამ ეტაპზე ზედმეტია**

ქართველი პოლიტიკოსები ცდილობენ, დასავლეთთან ურთიერთობაში ბეჯითი მოწაფის როლი მოირგონ. ეს დამოკიდებულება სააკაშვილის მმართველობის წლებში დამკვიდრდა და „ქართულ ოცნებას“ არაფერი შეუცვლია. ქვეყნის პირველი პირები ანგარიშს აბარებენ ევროპელ მოხელეებსა და ევროპარლამენტარებს ისე, როგორც საშინაო დავალებას და თითქოს ევაჭრებიან, რომ, სამიანი კი არა, ოთხიანი დაუწერონ, საუბარი ხუთიანზე ამ ეტაპზე ზედმეტია.

მცირე შესავალში პრემიერმა ხაზი გაუსვა 9 აპრილის მნიშვნელობას საქართველოს უახლესი ისტორიისთვის, შემდგომ კი თქვა, რომ „ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩემი ქვეყნის მიერ მიღწეული წარმატება ეკუთვნის საქართველოსაც და ევროსაბჭოსაც“ და საუბარი „ყურადღების ღირს მიღწევებზე“ დაიწყო.

დემოკრატიული განვითარების კონტექსტში მან, უპირველესად, კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღება დაასახელა და ვენეციის კომისიის დადებითი შეფასება დაიმოწმა, მიუხედავად იმისა, რომ ის ეხებოდა საპარლამენტო სისტემაზე გადასვლის დასრულებას და არა კონსტიტუციას მთლიანად. ამასთანავე, ბახტაძემ თქვა, რომ მისი პარტია ერთპარტიულ დომინირებაზე უარს აცხადებს და მიუთითა იმაზე, რომ 2024 წელს (რატომ არა 2020-ს?) არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება. მან ივარაუდა, რომ ცვლილებების შედეგად პარლამენტში უფრო ბევრი მცირე პარტია მოხვდება, ხოლო მთავრობას პოლიტიკის შემუშავებისას „მეტი კონსენსუსი დასჭირდება“. **ამ მონაკვეთმა შეიძლება გაამყაროს ვარაუდი იმის თაობაზე, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნება“ კოალიციური მთავრობის შექმნას აპირებს, მით უმეტეს, რომ მისი შანსი უმრავლესობის მოპოვებისა დღითიდღე მცირდება, ხოლო დასავლელ პარტნიორებს, სავარაუდოდ, ძალიან ცუდი რეაქცია ექნებათ 2016 წლის სტილში გამარჯვებაზე.**

ისევე, როგორც **ბიძინა ივანიშვილი** 9 აპრილის ტელეინტერვიუში, **მამუკა ბახტაძეც** ცდილობდა, სასამართლო სისტემაში მომხდარი ცვლილებები ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ მიღწევად წარმოეჩინა. მან მოიყვანა სტატისტიკა, რომელიც ცხადყოფს, რომ **სააკაშვილის** მმართველობის პერიოდთან შედარებით სიტუაცია სასამართლოში ნამდვილად გაუმჯობესდა. იმავე კონტექსტში მან ისაუბრა პენიტენციურ სისტემაზე, მიტინგების დაშლაზე და ა. შ. ქართველი მსმენელების ნაწილმა ამ დროს, ალბათ, გაიფიქრა: „იყო სააკაშვილზე უკეთესი, არ ნიშნავს იყო კარგი“.

მიუხედავად იმისა, რომ ბახტაძე საუბრობდა იმაზე, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას მძიმე მემკვიდრეობა დახვდა, ის არ ასახელებდა მათ, ვინც ამაში დამნაშავე იყო; არ აკრიტიკებდა ძველ ხელისუფლებას, ხოლო ზოგიერთ საკითხში მის დამსახურებაზეც მიანიშნებდა, მაგალითად, **„90-იან წლებში საქართველო ყველაზე კორუფცირებულ ქვეყანათა შორის განიხილებოდა. დღეს კი ვამაყობთ, რომ ჩვენთან კორუფციის მაჩვენებელი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებია“.** „ნაცმოძრაობასთან“ დაპირისპირების პათოსი, რომელიც 2012-15 წლებში ხელისუფალთა ევროპულ გამოსვლებში გაცილებით მკაფიო იყო, არ გამქრალა, მაგრამ ძალიან შერბილდა.

მამუკა ბახტაძემ ისაუბრა პროგრესზე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, იმაზე, რომ ყველა „თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოს ვაშენებთ, რომლის მიზიდულობის ცენტრი არის ადამიანი“; შეეხო განათლების რეფორმას, რომელიც ხარჯების მუდმივ ზრდას ითვალისწინებს. პრემიერმა აღწერა სიტუაცია კონფლიქტურ რეგიონებში არა გეოპოლიტიკის ენით (ტერიტორია, იურისდიქცია), არამედ აქცენტი ადამიანის უფლებებზე გადაიტანა — როგორც დევნილების, ისე კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის. მაგრამ, როდესაც საუბარი რუსეთზე დაიწყო, მისი ტონი საკმაოდ ხისტი გახდა. გამოსვლის „რუსული მონაკვეთი“ მან ერთობ უცნაურად დააგვირგვინა, ახსენა რა ის უთანხმოება, რომელიც რუსეთსა და ევროპის საბჭოს საწევროს გადახდაზე აქვს, **ბახტაძემ თქვა, რომ „საქართველო, ბოლო 20 წელია, სარგებელს იღებს ორგანიზაციის სხვადასხვა უწყების დახმარებით და მადლიერების ნიშნად საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, ნებაყოფლობითი შენატანი გააკეთოს ევროსაბჭოს ხაზინაში 500 000 ევროს ოდენობით“. ამ მომენტში ის, ალბათ, ყველაზე ახლოს იდგა ბეჯითი მოწაფის როლთან. გამოსვლის დასკვნით ნაწილში მან ახსენა ზურაბ ჟვანიას ფრაზა: „მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ვარ ევროპელი“, თუმცა დამსწრე საზოგადოების მომდევნო კითხვებმა ნათლად აჩვენა, რომ „ქართულ ოცნებას“ ევროპულობამდე ბევრი უკლია.**

როდესაც ერთი მხარე ცდილობს, ბეჯითი მოწაფე განასახიეროს, ეს მეორეს მკაცრი მასწავლებლის როლის შესრულებას უადვილებს.

ბახტაძეს დაუსვეს ორი კითხვა საპრეზიდენტო არჩევნებზე: ერთი დამკვირვებლების მიერ გამოვლენილ დარღვევებს ეხებოდა, მეორე — უიმედო ვალების ჩამოწერას მეორე ტურის წინ (რუმინელმა დეპუტატმა კითხვა ისე დასვა, თითქოს სავარაუდო დანაშაულზე საუბრობდა). პირველ შემთხვევაში ბახტაძე შეეცადა, ვითარება ისე წარმოეჩინა, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა და ხელისუფლება პრობლემების აღმოფხვრაზე მუშაობს; ხოლო მეორეში გადაეფარა ივანიშვილს, როგორც **ალექსანდრე მატროსოვი** ამბრაზურას და თქვა, რომ ეს ინიციატივა ჯერ კიდევ ფინანსთა მინისტრად ყოფნის პერიოდში, 2018 წლის დასაწყისში, გაასაჯაროა. „გარწმუნებთ, რომ ამ პროექტს არაფერი აქვს საერთო არჩევნებთან“, — განაცხადა პრემიერ მინისტრმა. ძნელი სათქმელია, აღმოჩნდა თუ არა სხდომათა დარბაზში თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც მისმა არგუმენტაციამ დააკმაყოფილა.

მას დაუსვეს კითხვა ზუგდიდის მე-6 სკოლის დირექტორის — **ია კერზაიას** გარდაცვალების თაობაზე, რომელზეც ხელისუფლება წინასაარჩევნო პერიოდში, შესაძლოა, ზეწოლას ახორციელებდა. ბახტაძემ უპასუხა, რომ გამოძიება გრძელდება და ამ საქმით ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტები სპეკულირებენ. ანალოგიური პასუხი — „გამოძიება გრძელდება“ — მან გასცა ავსტრიელი დეპუტატის კითხვას აზერბაიჯანელი აქტივისტის — **მუხთარლის** საქართველოში სავარაუდო გატაცებაზე. ამასთანავე, მას აუფრიალეს ციტატა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2018 წლის ანგარიშიდან, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მოსამართლეები საქართველოში პოლიტიკურ ზეწოლას განიცდიან.

დღევანდელი ხელისუფლება, ძველის მსგავსად, მწვავე პრობლემის სასწრაფო გადაწყვეტის ნაცვლად ცდილობს, „გადააგოროს“ საყოველთაო აღშფოთების პერიოდი, „გაწელოს“ პაუზა და ვარაუდობს, რომ, ადრე თუ გვიან, ვნებათაღელვა ჩაცხრება. ამ ტაქტიკას, საბოლოო ჯამში, მისთვის გაცილებით დიდი საიმიჯო ზიანი მოაქვს, მაგრამ არა აწმყოში, არამედ მომავალში, რომლის მიმართ შემდეგი დამოკიდებულება აქვს: „ან ვირი მოკდება, ან ვირის პატრონი“. ვერც გირგვლიანის საქმემ, ვერც ხორავას ქუჩაზე მომხდარმა მკვლელობამ ვერ ასწავლა მმართველ ელიტას, რომ მსგავსი პრობლემების რეალურ გადაწყვეტას ალტერნატივა არ აქვს.

ბახტაძემ, ფაქტობრივად, თავი აარიდა საუბარს პრობლემებზე ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის ურთიერთობაში, რაც, ალბათ, ასევე არასწორი იყო. მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა ივანიშვილს ესა თუ ის არასამთავრობო ორგანიზაცია, ისინი დასავლეთისთვის ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ რჩებიან და შეფასებების ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. თუ ხელისუფლება არსებულ ეჭვნარევ კითხვებს ამომწურავ პასუხს არ გასცემს და „ვსიო ხოროშო, პრეკრასნაია მარკიზა!“-ს სტილში ისაუბრებს, სავარაუდოდ, სულ უფრო ძლიერი წნეხის ქვეშ მოექცევა.

სლოვენიელმა დეპუტატმა **ვიოლეტა ტომიჩმა** მამუკა ბახტაძეს კითხვა დაუსვა ლგბტ აქტივისტების აქციის თაობაზე, რომელიც 2018 წელს ჩაიშალა, და ულტრამემარჯვენეების მუქარებზე მათი მისამართით. მან ჰკითხა ბახტაძეს, თუ რას გააკეთებს მთავრობა იმისთვის, რომ წელს იგივე არ განმეორდეს. პრემიერმა უპასუხა, რომ საქართველოს პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო, რაც ძალიან სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია, ხოლო ნახსენები მემარჯვენე ჯგუფები მარგინალურია და მსგავსი ჯგუფები სხვა ქვეყნებშიც არსებობს. **„ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მიღწევებით და იმ რეკომენდაციებით, რომლებსაც ევროპელი მეგობრებისგან ვიღებთ“, — დასძინა პრემიერმინისტრმა.**

ძნელი სათქმელია, როგორ შეიძლება იამაყო რეკომენდაციებით, თუმცა ფაქტია, რომ ბახტაძემ თავი აარიდა პირდაპირ ფორმულირებას, მას არ უთქვამს: „ჩვენ ყველა საშუალებით დავიცავთ ამ აქციას“ ან რაღაც მსგავსი, რადგან ეს კონსერვატიული საზოგადოების თვალში ბევრ ქულას დააკარგვინებდა, მაგრამ ეს რიტორიკული მანევრი მოვლენათა შესაძლო განვითარებას ვერ შეცვლის — **მაისის მეორე და ივნისის პირველ ნახევარში ქუჩაში, დიდი ალბათობით, როგორც ლგბტ-აქტივისტები, ისე მათი მოწინააღმდეგეებიც გამოვლენ. ერთი შეხედვით, ხელისუფლებას ხელს აძლევს, რომ საზოგადოებამ ყურადღება მმართველი პარტიის კრიზისიდან ამ დაპირისპირებაზე გადაიტანოს, მაგრამ, მეორე მხრივ, ის დასუსტებულია და, სავარაუდოდ, არ სურს, რომ თბილისში 2013 წლის 17 მაისის მოვლენები განმეორდეს. ხელისუფლებას კონსერვატიული საზოგადოების უარყოფითი რეაქციის ეშინია, მაგრამ იმასაც ითვალისწინებს, რომ ზოგიერთი ძალისთვის დასავლეთში თბილისში პრაიდის ჩატარება-არჩატარება მნიშვნელოვან ინდიკატორად იქცა და ამიტომ შეიძლება ამ ღონისძიების აქტიური დაცვა მოუწიოს.** მოკლედ, პრობლემები ნებისმიერ შემთხვევაში შეექმნება, თუმცა ვერაფერს ვიზამთ, გამოუვალ მდგომარეობაში თავი თვითონ ჩაიყენა და მარყუჟში თავი თვითონვე გაყო. ორ სკამზე ჯდომის პოლიტიკა სხვა შედეგს ვერ მოიტანს.

ბოლო წლებში ლგბტ-პრაიდებს მათი მონაწილეების მხარდასაჭერად კანადის, ირლანდიის, შვედეთის, სერბეთისა და სხვა ქვეყნების პრემიერმინისტრები, მინისტრები თუ მერები შეუერთდნენ. საინტერესოა, მოუწევს თუ არა მამუკა ბახტაძესა და მის კაბინეტს ახლო მომავალში იმავე გზის გავლა?!

**ლუკა ნემსაძე**

**ქართველები არიან გამომგონებლები, ფინანსური სფეროს ექსპერტები, არქიტექტორები, ბიოქიმიის ექსპერტები, მაგრამ რაღაც არ გაგვიგონია, ვინმეს აზრად მოსვლოდა თავში, ერთი სპეცოპერაცია ამ მიმართულებითაც ჩაეტარებინა და საყოველთაოდ ცნობილი ქართველები ქართველებისთვისაც გაეცნო; არა — მხოლოდ ქურდები, მძარცველები და მხოლოდ ნეგატივი. ამ ყველაფრის მაყურებელ და მსმენელ ევროპელებს არ გაუკვირდებათ, ერთ დღეს საქართველოს ეკლიანი მავთული რომ შემოარტყან და ციხედ გამოაცხადონ.**

კადრების სამჭედლო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სანამ უცხოელებს მოვუმზადებთ კადრებს, იქნებ ჩვენს ქვეყანაზე გვეფიქრა?!

**ამირან არსენიშვილის გვარი, შესაძლოა, ბევრს არაფერს გეუბნებათ, მაგრამ ეს კაცი მეტროპოლიტენის სადგურების მშენებლობის სპეციალისტია. მან ზუსტად იცის პროექტის დაგეგმარება, გვირაბების გაყვანის სპეციფიკა, ანუ იცის ის, რაც იცის ძალიან ცოტამ — შეუძლია დაიწყოს და დაასრულოს საქმე, რომელიც მეტროპოლიტენის ახალი გვირაბის გაყვანას ეხება. როცა მან სამუშაო საქართველოში ვერ იშოვა, რუსეთში წავიდა, იქ 15 წელი იმუშავა ამ მიმართულებით და საქართველოში დაბრუნდა, პატარა სახლი ჩადგა სოფლად და ახლა სოფლის მეურნეობას ეწევა. ჰო, საქართველოში დაბრუნების შემდეგ აქაც ეძება შესაბამისი სამსახური, ისიც დაასაბუთა, რომ მისი დონის სპეციალისტი, საქართველოში კი არა, მსოფლიოშიც იშვიათია, მაგრამ მშვიდად უთხრეს, რომ ის არ სჭირდებათ...**



ეს არის ერთი რეალური მაგალითი იმ ასიათასიდან, რომელიც საქართველოში გვაქვს. ერი, რომელიც ლამის მთელ ევროპაში ყველაზე განათლებულად ითვლებოდა, მოსახლეობის ოდენობის მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მეტი მეცნიერი და აკადემიკოსი ჰყავდა, ახლა კვალიფიციური კადრების დეფიციტს განიცდის. ეს — ფურცელზე, თორემ...

ოფიციალურად, საქართველოდან საზღვარგარეთ წასული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა მილიონს არ აჭარბებს; არაოფიციალურად — ორ მილიონამდეა. მხოლოდ რუსეთში ცხოვრობს 900 ათასამდე ქართველი და ამას დაუმატეთ ევროპის ლამის ყველა ქვეყანაში ჩასული ათასობით ქართველი და... უფრო საინტერესო კი ის არის, რომ ევროპული ქვეყნები ქართველთა წარმოჩენას მხოლოდ ცუდი კუთხით ცდილობენ. ეს ყველაფერი თავის დროზე **მიხეილ სააკაშვილმა** დაიწყო, როცა ქართველი ერი კრიმინალად გამოაცხადა, ლამის ყოველ მეხუთე ადამიანს პირობითი სასჯელი „აკიდა". არც ამჟამინდელი ვითარებაა უკეთესი — **ბოლო პერიოდში ევროპაში მცხოვრებ ქართველებზე გვესმის მხოლოდ ის, რომ ჩატარებული მასშტაბური სპეცოპერაციის დროს დააკავეს ათეულობით მოქალაქე და მათი უმრავლესობა ქართველია. რომ ისინი ქურდავდნენ ბინებს, ძარცვავდნენ ადამიანებს, რომ შექმნილი ჰქონდათ კრიმინალური სინდიკატი, რომ აქაური სამართალდამცველები ევროპელ კოლეგებთან ერთად სპეცოპერაციას ოთხი თვის განმავლობაში ამზადებდნენ...**

2008-2011 წლებში ბარსელონას გარეუბანში ახალი დასახლება გაჩნდა. ახალ დასახლებაში 400-მდე სახლი აშენდა, რომლებიც იქ მცხოვრებმა ქართველმა დააპროექტა, სამუშაოდაც ქართველები მიიყვანა და სწორედ მათ ააშენეს სახლები. ფრანკფურტის ერთ-ერთ პრესტიჟულ კლინიკაში ქართველი ექიმი **ნინო მეგრელიშვილი** წლებია, საუკეთესო სპეციალიტად ითვლება, თუმცა მხოლოდ ქალბატონ ნინოზე არ გვაქვს საუბარი — **სამედიცინო სფეროში ქართველები მსოფლიოს მასშტაბით უძლიერეს კლინიკებში მუშაობენ და წამყვანი სპეციალისტები არიან. ქართველები არიან გამომგონებლები, ფინანსური სფეროს ექსპერტები, არქიტექტორები, ბიოქიმიის ექსპერტები, მაგრამ რაღაც არ გაგვიგია, ვინმეს აზრად მოსვლოდა თავში, ერთი სპეცოპერაცია ამ მიმართულებითაც ჩაეტარებინა და საყოველთაოდ ცნობილი ქართველები ქართველებისთვისაც გაეცნო. არა, მხოლოდ ქურდები, მძარცველები და მხოლოდ ნეგატივი.** ამ ყველაფრის მაყურებელ და მსმენელ ევროპელებს არ გაუკვირდებათ, ერთ დღეს საქართველოს ეკლიანი მავთული რომ შემოარტყან და ციხედ გამოაცხადონ, რადგან უყურებენ იმას, რომ ქართველები მხოლოდ იპარავენ.

ამხელა შესავალი კი იმის გამო დაგვჭირდა, რომ სამწუხარო რეალობა დაგვიდგა. ქვეყნის პირველმა მოქალაქემ, **ბიძინა ივანიშვილმა** განაცხადა, რომ საქართველოში კვალიფიციური კადრებისთვის სამუშაო აღარ იქნება.

**„სახელმწიფო ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას და სურვილის შემთხვევაში, მათ ლეგალურ დასაქმებას საზღვარგარეთ",** — ეს ფრაზა ივანიშვილმა პატრიარქთან შეხვედრისას განაცხადა.

რას ნიშნავს ეს? შვიდი წელია, „ქართული ოცნება" ხელისუფლებაშია და პირდაპირ ვთქვათ, რომ დაპირებული სამუშაო ადგილები არ თუ ვერ შეიქმნა: არსად ჩანს დაპირებული ქარხნები, არსად ჩანს დაპირებული კეთილდღეობა და მასობრივად დასაქმების პროექტი. ეგ კი არა, დღეს იმაზე ნაკლები ადამიანი მუშაობს, ვიდრე შვიდი წლის წინათ, თუმცა თვითდასაქმებულების რაოდენობა თურმე გაზრდილა, მაგრამ არავინ ამბობს რის ხარჯზე. ჩვენ გეტყვით — ნახევარი საქართველო ტაქსაობს და თავს სწორედ ამით ირჩენს. თუ გახსოვთ, თავის დროზე იმის გამო, რომ „ტაქსისტებს" თვითდასაქმებულები უწოდა, **კახა ბენდუქიძე** ლამის ჯვარზე გავაკარით. ახლა კი, არა მხოლოდ ვაღიარეთ ისინი თვითდასაქმებულებად, არამედ ახალი რეგულაციები დავუწესეთ, მკაცრ შეზღუდვებში მოვაქციეთ და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი მხოლოდ — დედაქალაქში, ანუ იქ, სადაც „ტაქსისტთა" წილი ძალიან დიდია. საზოგადოდ, თბილისს თავკომბალის ფუნქცია არ დაუკარგავს, პირიქით, უფრო გადიდდა — ყველა დედაქალაქში ცდილობს ლუკმაპურის საშოვნელად ჩამოსვლას. სწორედ დედაქალაქის „ტაქსებს" შეეხო რეგულაციები და სწორედ მათი მეშვეობით მოხდება თბილისის ბიუჯეტის შევსება.

მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია ის, რომ ხელისუფლება რეალურად არ ფიქრობს სამუშაო ადგილების შექმნაზე. ამბობენ, რომ მოამზადებენ კვალიფიციურ კადრებს, რათა მათ შეძლონ ევროპაში ლეგალურად დასაქმება. არადა, პირიქით რომ მოხდეს — კვალიფიციურმა კადრებმა საქართველოში დასაქმება რომ შეძლონ, ეგებ არც დაგვჭირდეს უცხოელების მოწვევა და ქართველების დაბრუნებით ამ პრობლემას მოვაგვარებთ?! **დავით სერგეენკომ** ერთხელ დაიწუწუნა: აქ შესაბამისი აპარატურა რომ გვქონდეს, უცხოეთში მოღვაწე ქართველ ექიმებს ჩამოვიყვანდით და მსოფლიოში ქართულ მედიცინას ანალოგი არ ექნებოდაო. მას შემდეგ სერგეენკოს ამაზე სიტყვაც არ დასცდენია, ალბათ, უთხრეს: ხმა აღარ ამოიღოო. არადა, ჯანდაცვის ბიუჯეტი რამდენიმე მილიარდია და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კიდევ რამდენიმე მილიონი რომ დაამატონ, საერთაშორისო დონის ამბულატორიები გაკეთდეს და უმაღლესი ხარისხის აპარატურა ჩამოვიტანოთ, მერე აღარ დაგვჭირდება მეზობელ თურქეთში პაციენტების გაგზავნა; პირიქით, საქართველოში ჩამოვლენ სამკურნალოდ უცხოელები და ბიუჯეტში მართლაც არნახული ფული შევა. რომ ვამბობთ, ტურიზმიდან ყოველწლიურად 5-7 მილიარდია შემოსავალიო, ერთი მაგდენი მკურნალობიდანაც დაემატება და ტურიზმია ესეც, მარტო არავინ ჩამოვა, მარტო არავინ გაიკეთებს ოპერაციას, ყველას გულშემატკივარი და ოჯახის წევრი ჩამოჰყვება, ზუსტად ისე, როგორც ჩვენ დავყვებით ჩვენი ოჯახის წევრებს.




**მუშახელის დიდი ნაწილი შიმშილის ზღვარზეა და მათ კვალიფიკაცია აქვთ, უბრალოდ, გადამზადებაც ეყოფათ. ამით ივანიშვილი არათუ ათასობით კვალიფიციურ კადრს შეჰმატებს ქვეყანას, არამედ ოჯახებს შიმშილისგანაც იხსნის. ადამიანებს სამსახური ექნებათ და მერე ის საპენსიო პროგრამაც იმუშავებს, ახლა რომ ჩავარდნის პირასაა და ხალხს რომ ემუდარებიან, ხელფასის 2 პროცენტი გაიმეტეთ თქვენი მომავლისთვისო. ხალხს მომავალი არ ადარდებს, ვერ ფიქრობს, იმიტომ, რომ აწმყოს პრობლემა უდგას; იმიტომ, რომ ახლა შია; იმიტომ, რომ ის 2 პროცენტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია**

ნამდვილად ვერ გეტყვით, რეალურად რას აპირებს ივანიშვილი, მაგრამ რასაც ამბობს, დამშვიდების საფუძველს ნამდვილად არ გვაძლევს. არავინ მალავს, არც ბატონი ბიძინა, რომ წლების განმავლობაში საქართველოში რამდენიმე მილიარდის ინვესტიცია აქვს განხორციელებული. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, მაგრამ არ იარსებებს იმაზე დიდი ქველმოქმედება, ვიდრე სამუშაო ადგილების შექმნაა. **მუშახელის დიდი ნაწილი შიმშილის ზღვარზეა და მათ კვალიფიკაცია აქვთ, უბრალოდ, გადამზადებაც ეყოფათ. და ამით ივანიშვილი არათუ ათასობით კვალიფიციურ კადრს შეჰმატებს ქვეყანას, არამედ ოჯახებს შიმშილისგანაც იხსნის. ადამიანებს სამსახური ექნებათ და მერე ის საპენსიო პროგრამაც იმუშავებს, ახლა რომ ჩავარდნის პირასაა და ხალხს რომ ემუდარებიან: ხელფასის 2 პროცენტი გაიმეტეთ თქვენი მომავლისთვისო. ხალხს მომავალი არ ადარდებს, ვერ ფიქრობს, იმიტომ, რომ აწმყოს პრობლემა უდგას, იმიტომ, რომ ახლა შია, იმიტომ, რომ ის 2 პროცენტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.**

სამწუხაროდ, სწორედ ამ უმუშევრობის გამო ადამიანები სოფლებში სახლებს ყიდიან, ქალაქში მოდიან, გირაობენ, ქირაობენ და ტაქსაობენ. ან ყიდულობენ და ყიდიან სოფლის პროდუქტს, იმ პროდუქტს, რომელიც თავად მოჰყავდათ თავის დროზე, მაგრამ შედეგი არ ჰქონდათ. ჰოდა, ასე, ნელ-ნელა გლეხი მოვაჭრედ გადაიქცა, ეკონომისტი — „ტაქსისტად", ექიმი — ავტობუსის მძღოლად, ანუ გადასარჩენად ყველა ყველგან მუშაობს, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაკვალიფიცირება, გადამზადება მარტივად ჩაივლის და, სანამ უცხოელებს მოვუმზადებთ კადრებს, იქნებ ჩვენს ქვეყანაზე გვეფიქრა?!

ფაქტია, დღეს იმდენი თავისუფალი მუშახელი, რამდენიც საქართველოშია, ალბათ, არსად არ არის, უბრალოდ, ამ ხალხს გამოყენება უნდა და... ასე შენდება ქვეყანა.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. ერთი მაგალითი: ვინც საკითხში ჩახედულია, იცის, რომ კუბაზე სამედიცინო მომსახურება და სამედიცინო განათლება ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში და უფასოც, მაგრამ არსებობს ერთი ნიუანსი: სახელმწიფო, აძლევს რა თავის მოქალაქეს უფასო სამედიცინო განათლებას, ავალდებულებს, განათლების მიღებიდან შემდგომი 12 წელი კუბის სამკურნალო დაწესებულებებში იმუშაოს, შემდეგ კი ოთხივ კუთხივ გზა ხსნილი აქვს. კვალიფიციური კადრების მომზადება კარგია, მაგრამ, ალბათ, კუბელების მაგალითიც გადმოსაღებია და სამუშაო ადგილები აქ არის შესაქმნელი, რათა კვალიფიციური ხალხი დაასაქმო.**

ეკონომიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელისუფლება ვერ ახერხებს ინფლაციის ნეგატიური შედეგების კომპენსირებას და ეს არის პირდაპირი შედეგი იმისა, რომ ამ პრობლემის მთავარ რეგულატორს, ეროვნულ ბანკს, მკაფიო და მყარად ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოლიტიკა არ აქვს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი რთულია იმის თქმა, რომ მომავალი იქნება უკეთესი. ვერ იქნება. ყოველ შემთხვევაში მე არ ველოდები უკეთესობისკენ მნიშვნელოვან ცვლილებას, რადგან ვერ ვხედავ ქვეყანაში ამის ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინაპირობებს, რომლებიც, ბუნებრივია, ასევე მნიშვნელოვანია და დიდ როლს თამაშობს მიმდინარე პროცესებში“.**

# არის თუ არა საქართველო ეკონომიკურად წარმატებული ქვეყანა

**პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძის ვრცელი ანგარიშის შემდეგ მოხსენებით წარდგა და ოპონენტების მწვავე კრიტიკის ფონზე სრულიად საქართველოს ამაყად აუწყა, რომ, მიუხედავად ყველა სირთულისა და გამოწვევისა, რომლებიც დღეს ქვეყნის წინაშე დგას, ეკონომიკა სტაბილურად იზრდება და ვითარდება. მისი თქმით, საქართველოს ამ მიმართულებით რეგიონში მოწინავე პოზიცია უკავია, რაც თურმე, პირველ რიგში, მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და სხვადასხვა საგარეო ფაქტორის პირდაპირი შედეგია. მისივე შეფასებით, ბოლო პერიოდში მთავრობის ეკონომიკური გუნდის მიერ გატარებული სწორი რეფორმების შედეგად ქვეყანაში სოციალური ფონი უმჯობესდება, იზრდება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და, რაც მთავარია, სიღარიბის მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით, მცირდება.**

თუმცა უმრავლესობის ლიდერს არაფერი უთქვამს იმაზე, რომ მიუხედავად ამ „სწორი და წარმატებული ღონისძიებებისა“, რომელმაც, ქვეყანას, თურმე, ნამდვილი ეკონომიკური ბუმი მოუტანა, ეროვნული ვალუტის კურსი დღითიდღე ეცემა და ინფლაციის მაჩვენებელი იზრდება, რაც ისედაც უმძიმეს სოციალურ პირობებში მყოფი თითოეული მოქალაქისთვის შემოსავლის შემცირებას, ფასების გამუდმებულ მატებასა და გაძვირებულ ცხოვრებას ნიშნავს; მას ასევე არაფერი უთქვამს იმაზე, რომ უმუშევრობის დონე ისევ კრიტიკულად მაღალია, რის გამოც ქვეყნიდან მოსახლეობის მასობრივად გადინება და საზღვარგარეთ იაფ მუშახელად გასვლა გრძელდება. არადა, ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევებით ყველაზე მძიმე მაჩვენებლები სწორედ სოციალური მიმართულებებითაა. განსაკუთრებით საგანგაშო საკვები პროდუქტების ფასების ზრდის ტენდენციაა, რომელმაც უკვე შეიძლება ითქვას, შეუქცევადი ხასიათი მიიღო. მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით, მიმდინარე წლის თებერვალში პურისა და პურპროდუქტების ფასები 10,2%-ით გაიზარდა (ეს შეეხო, როგორც ხორბლის პურს, ისე ფქვილის ფასსაც და, ჯამში, ამ ყველაფერმა ყველაზე მეტად საზოგადოების სოციალურად დაუცველ ნაწილზე იმოქმედა). თუმცა პური ერთადერთი საკვები პროდუქტი არ არის, რომლის ფასმაც უმოკლეს დროში ასე მკვეთრად მოიმატა, იმავე კვლევის თანახმად, 12,5%-ით გაძვირდა თევზეული და სხვა ზღვისპროდუქტები, 4,3 -ით ხორცი და ხორცპროდუქტები, 7,6%-ით ბოსტნეული, 2,5%-ით მინერალური წყლები, უაკოჰოლო სასმელები და წვენები. რაც შეეხება მომსახურების სფეროს, 3,4%-ით გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვა, რამაც მნიშვნელოვნად გააძვირა როგორც ამბულატორიული, ისე საავადმყოფოების მომსახურება. აგრეთვე გაძვირდა სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობები (4,8%-ით), რაც ჯამში მატებით აისახა სამომხმარებლო ფასების ინდექსის ზრდაზე.

მოკლედ, განსხვავებით მთავრობის და საკანონმდებლო ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისგან, რომელთა განცხადებებს, პარტიულ კრიზისსა და არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პოლიტიკური პიარკეკლუცობის ელფერი უფრო დაჰკრავს, ვიდრე რეალურად საქმის კეთების მოტივაციის, სტატისტიკა გვეუბნება, რომ ეკონომიკა სულს ლაფავს. მიუხედავად ამისა, მთავარი და ყველაზე უტყუარი „სტატისტიკა“, რომელსაც მოსახლეობის რეალური ყოფა და ამ ყოფიდან გამომდინარე მისი განწყობები ქვია, ხელისუფლებისთვის ისევ მეორეხარიხოვან თემად, ისევ პოლიტიკური ვაჭრობის და სპეკულაციების საგანად რჩება...

არის თუ არა დღეს რეალურად საქართველო ეკონომიკურად წარმატებული ქვეყანა და რამდენად რეალურია ამ თვალსაზრისით საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, არჩილ თალაკვაძის მიერ რიგგარეშე სხდომაზე გაკეთებული განცხადებები? „საქართველო და მსოფლიომ“ შეფასებები ეკონომიკის ექსპერტებს სთხოვა.



## „ქვეყანა ვერ განვითარდება მხოლოდ ერთი მილიარდერის ინვესტიციებით“

**ვაჟა ბერიძე, ეკონომისტი:**

— თალაკვაძის განცხადების ფაქტობრივი მხარე შეიძლება რეალობასთან ახლოს იდგეს, იმიტომ, რომ გარკვეული ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში მართლაც არის, მაგრამ ერთია ციფრები და მეორე — როგორ აისახება ეს ყველაფერი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. ჩემი აზრით, არ აისახება და ამას თავის მიზეზები აქვს. რაც შეეხება მიდგომებს, ვფიქრობ, ხელისუფლებას სწორი მიდგომები აქვს ეკონომიკის, როგორც პრობლემის და მოცემულობისადმი, მაგრამ ეკონომიკური პოლიტიკა ვერ ასახავს ამ მიდგომებს. მარტივად რომ ვთქვათ, ხელისუფლებას არ აქვს ეკონომიკური განვითარების კონცეფციური ხედვა, რაც არის მთავარი და აუცილებელი გრძელვადიანი პერსპექტივისთვის. სხვათა შორის, ბოლო სატელევიზიო ინტერვიუში, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გავიდა ეთერში, **ივანიშვილმა** განაცხადა, რომ რაც შეეძლოთ, გააკეთეს და მეტს ვერაფერს შემოგვთავაზებენ 2020 წლამდე. კი ბატონო, ეს საკმაოდ პირდაპირი და გულახდილი ნათქვამია, მაგრამ, თუ მეტს ვერაფერს გვთავაზობენ, გამოსავალი რა შეიძლება იყოს. ვფიქრობ, რომ ასეთ შემთხვევაში უნდა წახვიდე და დანიშნო რიგგარეშე არჩევნები, რათა სხვა ძალებმა განაგრძონ ქვეყნის განვითარება. სხვანაირად რამე არსებითი ცვლილების განხორციელება იმ დროს, როცა მმართველი პარტიის თავკაცი პირდაპირ გვეუბნება, რომ 2020 წლამდე პრაქტიკულად რამე ახალს და მნიშვნელოვანს არ უნდა ველოდოთ, ვერ წარმომიდგენია. ახალგაზრდა და გამოუცდელი გოგო-ბიჭების ბრავადა შეიძლება, ნუგეში იყოს ამ საზოგადოების საკმაოდ არასახარბიელო სოციალური მდგომარეობისთვის?

— რა თქმა უნდა, არა. აი, ეს არის რეალობა და არა ის, რომ ეკონომიკის ზრდა სადღაც რაღაც ციფრებში აისახება. კარგია, რომ აისახება, მაგრამ არასაკმარისია. საკმარისი მაშინ შეიძლება იყოს, როცა მოსახლეობის ცხოვრებაზეც აისახება.

**— გაქვთ მოლოდინი, რომ მომავალში აისახება?**

— სამწუხაროდ, არა. ამის საფუძველს რამდენიმე გარემოება მაძლევს. პირველი, ეს არის ელიტური კორუფცია და მისგან გამომდინარე კონკურენციის დაბალი დონე, რომელიც ბოლო პერიოდში სრულიად ახალ ეტაპზეა გადასული. ანუ, უკვე მთელი დარგებია, ეკონომიკისა და ბიზნესის, კარტელური ჯგუფების ხელში გადასული, რაც ბუნებრივია, სერიოზულად აფერხებს ეკონომიკურ წინსვლას და განვითარებას, თუმცა ეს არ არის ერთადერთი ფაქტორი. ასევე სერიოზული შემაფერხებელი გარემოებაა ტერიტორიული პრობლემაც, რომლის მოგვარების პერსპექტივა, სამწუხაროდ, ჯერ არ ჩანს. საერთოდ, ასეთ რეგიონში რთულია, შემოიყვანო მხსვილი ინვესტორები და დააინტერესო გრძელვადიანი პროექტების განსახორციელებლად. რაც შეეხება გამოსავალს, თეორიულად ეს ყველასთვის გასაგებია — საჭიროა მეტი ინვესტიციები და არა ის, რომ ვიყოთ ერთადერთი ინვესტორის, ბიძინა ივანიშვილის, ამარა, რომელიც კი აკეთებს კარგ საქმეებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ქვეყანა ვერ განვითარდება მხოლოდ ერთი მილიარდერის ინვესტიციებით, თუმცა, კიდევ ვიმეორებ: ძალიან რთულია ამ კონფლიქტური რეგიონით სერიოზული ინვესტორების დაინტერესება. ყველა ფრთხილობს და ყველა აანალიზებს იმ შესაძლო გართულებებს, რომლებმაც მათ პროექტებს შეიძლება საფრთხე შეუქმნას.

**— ინფლაციის აღმოფხვრის მიმართულებით თუ არის ეფექტიანი ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა?**

— ჩემი აზრით, ხელისუფლება ვერ ახერხებს ინფლაციის ნეგატიური შედეგების კომპენსირებას და ეს არის პირდაპირი შედეგი იმისა, რომ ამ პრობლემის მთავარ რეგულატორს, ეროვნულ ბანკს, მკაფიო და მყარად ჩამოყალიბებული ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკა არ აქვს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი ძალიან რთულია იმის თქმა, რომ მომავალი იქნება უკეთესი. ვერ იქნება. ყოველ შემთხვევაში მე **არ ველოდები უკეთესობისკენ მნიშვნელოვან ცვლილებას**, რადგან, კიდევ ვიმეორებ: ვერ ვხედავ ქვეყანაში ამის ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინაპირობებს, რომლებიც, ბუნებრივია, ასევე მნიშვნელოვანია და დიდ როლს თამაშობს მიმდინარე პროცესებში.



## „დრო, როცა ვირტუალური კეთილდღეობის სურათით ძალაუფლების შენარჩუნება შესაძლებელი იყო, დასრულდა“

**გია ხუხაშვილი, ეკონომიკის ექსპერტი:**

— ციფრებს და სტატისტიკას თავი რომ დავანებოთ, ყველაფერი, საბოლოო ჯამში, იზომება მაცივრით. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ თუნდაც იყოს ეკონომიკური ზრდა, რომელიც სადღაც რომელიღაც ორგანიზაციის კვლევაშია კონკრეტული ციფრებით აღრიცხული, აზრი არ აქვს, თუ მოქალაქეების კეთილდღეობა არ იზრდება. რაც შეეხება განცხადებებს ამ ზრდაზე, ყველას კარგად გვახსოვს, რომ **თავის დროზე სააკაშვილმა ტვინი წაიღო მსგავსი განცხადებებით და ზუსტად იმავეს ცდილობს დღევანდელი ხელისუფლებაც. თუმცა განსხვავებით „ნაციონალური მოძრაობისგან“, რომელიც ასევე ცინიკურად ცდილობდა მოსახლეობის დარწმუნებას იმაში, რომ თურმე ყველაფერი კარგადაა და ჩვენ ამას ვერ ვხედავთ, ესენი ამ კეთილდღეობის ვირტუალურ სურათს უფრო უნიჭოდ ქმნიან.** რეალობა კიდევ არის ის, რომ მაცივარი იცლება, მიდის ინფლაციური პროცესები და პროდუქტები გამუდმებით ძვირდება. ამ დროს მოქალაქეების შემოსავლის ინდექსაცია არ მომხდარა. ჩნდება შეკითხვა, რა აზრი აქვს ციფრებში ასახულ ეკონომიკურ ზრდას, თუ მოსახლეობა მშიერია?!

**— საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თებერვლის მონაცემებით, პურისა და პურპროდუქტების ფასებმა 10,2 %-ით მოიმატა, თევზი და თევზეული 12,5% -ით გაძვირდა, ხორცი 4,3%-ით, ბოსტნეული — 7,6%-ით. როგორ აისახება ეს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე?**

— ეს არის სამომხმარებლო კალათა და, როდესაც ჩვენ მანიპულირებულ სტატისტიკას წარმოგვიდგენენ რაღაც გაურკვეველი მეთოდიკით, რომლითაც გვარწმუნებენ, რომ თურმე ინფლაცია არის დაბალი, ამით არც არავის ცივა და არც არავის ცხელა. მოქალაქეებს აინტერესებთ, რა ღირს პური და არა რაღაც გაურკვეველი მეთოდოლოგიით გამოყვანილი ციფრები. ამ დროს ხელისუფლება დაკავებულია არა საქმით და საქმეზე ორიენტირებული მოქმედებებით, არამედ ცინიკური განცხადებებით. გასაგებია, მათ ჰგონიათ, რომ ამით რაღაც პოლიტიკურ პიარს იკეთებენ, მაგრამ ამაშიც ცდებიან. აღარ არის ეს უკვე პოლიტიკურად მომგებიანი, იმიტომ, რომ ადამიანები უყურებენ ამ ყველაფერს და ბრაზდებიან. საერთოდ, ის **დრო, როცა ვირტუალური კეთილდღეობის სურათით ძალაუფლების შენარჩუნება შესაძლებელი იყო, ქართულ პოლიტიკაში დასრულდა.** გავიარეთ ეს ეტაპი და ადამიანებმა გაარკვიეს, რომ ეს მხოლოდ პროპაგანდაა. ხელისუფლება კი განაგრძობს ამ პროპაგანდას და რაც დრო გადის, მით უფრო ცინიკური ხდება ეს ყველაფერი. ამიტომაც ეცემა მუდმივად ხელისუფლების რეიტინგი და ამიტომაც არის სულ უფრო რთული მისთვის ძალაუფლების შენარჩუნება.

ესაუბრა **ჯაბა ჭანია**

**«თუნდაც იყოს ეკონომიკური ზრდა, რომელიც სადღაც რომელიღაც ორგანიზაციის კვლევაშია კონკრეტული ციფრებით აღრიცხული, აზრი არ აქვს, თუ მოქალაქეების კეთილდღეობა არ იზრდება. რაც შეეხება განცხადებებს ამ ზრდაზე, ყველას კარგად გვახსოვს, რომ თავის დროზე სააკაშვილმა ტვინი წაიღო მსგავსი განცხადებებით და ზუსტად იმავეს ცდილობს დღევანდელი ხელისუფლებაც. თუმცა განსხვავებით «ნაციონალური მოძრაობისგან», რომელიც ასევე ცინიკურად ცდილობდა მოსახლეობის დარწმუნებას იმაში, რომ თურმე ყველაფერი კარგადაა და ჩვენ ამას ვერ ვხედავთ, ესენი ამ კეთილდღეობის ვირტუალურ სურათს უფრო უნიჭოდ ქმნიან»**

**ქობულიას ქონებრივ დეკლარაციას თუ ჩახედავთ, ნახავთ, რომ მას კრედიტის სახით 600 ათასი დოლარის სესხი აქვს აღებული. ძალიან კარგია, როცა ადამიანი ამის უფლებას აძლევს საკუთარ თავს და უფრო კარგია, რომ ამ თანხის გასტუმრების თავი აქვს. შესაბამისად, ქობულია გვჭირდება, რადგან მას არ უწევს ტელევიზორისა და მაცივრის შესაძენად სესხის აღება, მას უფრო დიადი მიზნები და გეგმები აქვს. ჩვენ კი, რიგითი მოკვდავნი, ცოტა ჩუმად ვიყოთ, თორემ უმაღლესი ხელისუფალი იძახის, არ მჭირდებითო და ვინძლო ერთ მშვენიერ დღეს, სხვა ქვეყანაში არ გადაგვასახლონ. ახლა არ მითხრათ: ვერ გაბედავენო... ასეთები გაუბედავთ?!**

ჩაკუჩსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ეკონომიკის ინკლუზიური მინისტრი

**თუ იცით, რა ღირს „პორშე პანამერა ჯტს“?! რიგითმა მოკვდავებმა, შესაძლოა, არ იციან, რომ მისი ფასი დაახლოებით 400 ათასი ლარია, ანუ, თვეში ხელფასი ხუთი ათასი ლარი რომ გქონდეთ (და ეს ქართული საზომებით, ძალიან დიდი ხელფასია), შვიდი წელი დაგჭირდებათ აღნიშნული „პორშეს“ საყიდლად. ეს იმ შემთხვევაში, თუ არც შეჭამთ, არც გადასახადებს გადაიხდით, არც მაცივარს შეიძენთ და არც ტელევიზორს. „პორშეთი“ კი იმიტომ დავიწყეთ, რომ სწორედ ეს თანხა გადაიხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა აღნიშნულ ავტომობილში (არ ინერვიულოთ, კიდევ ორი ჰყავს). მინისტრად დანიშვნის შემდეგ გიორგი ქობულიამ არაერთხელ გაგვაოცა, მაგრამ ის, რაც გასულ კვირას თქვა, მინისტრის კი არა, ამ ქვეყნის მოქალაქის განცხადებას არ ჰგავს.**

## საქართველოს მთლიანი ვალი 17.5 მილიარდი დოლარია, ანუ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს დაახლოებით 4700 დოლარის დავალიანება აქვს



„ყველას მოვუწოდებთ, ნუ ვიმსჯელებთ შედეგებზე ორი-სამი თვის მიხედვით. ჩვენ ცოტა მეტი დაკვირვება გვინდა. როგორც არაერთხელ გვითქვამს, დაკვირვების შედეგებზე დამყარებით შევიტანთ კორექტივებს რეგულაციებში, თუ ეს იქნება საჭირო. რაც მთავარია, თვითონ რეგულაციების ვექტორი არ შეიცვლება, ანუ, ძირითადად, ეს გენერალური მიმართულება იქნება ისეთი, როგორიც არის დღეს და რა გადაწყვეტილებაც მივიღეთ, ამას არ გადავუხვევთ. ჩვენ არ გვჭირდება ხალხი, რომელიც მიიღებს კრედიტს იმისთვის, რომ მაცივარი ან ტელევიზორი იყიდოს, ამის გამო მერე შავ სიაში ხვდება და შეიძლება ბინაც კი ჰქონდეს გასაყიდი. ჩვენ ამას აღვკვეთთ, უკვე აღვკვეთეთ და ამას არ გადავუხვევთ“, — განაცხადა გიორგი ქობულიამ.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ქობულიასა და მისი ოჯახის წევრებს, სხვადასხვა ბანკში, საერთო ჯამში, 41 ანგარიში აქვთ გახსნილი და სხვადასხვა ოდენობის თანხა ერიცხებათ. ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ქობულია ფლობს კომპანიების ფასიან ქაღალდებს, რომელთა ჯამური ღირებულება მილიონობით დოლარია. არა, ძალიან კარგია, მინისტრი რომ მილიონერია, მით უმეტეს ეკონომიკის მინისტრი, რომელმაც ფულის ფასი და ყადრი იცის, ისიც იცის, რომ ეკონომიკური მდგრადობა სასარგებლოა, მაგრამ **ქობულიას შემთხვევაში სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე: მას ვერ წარმოუდგენია, რომ ადამიანს შეიძლება არ ჰქონდეს ტელევიზორი, მაცივარი და ამისთვის ბანკს მიმართოს, კრედიტი აიღოს, რათა სიმწრით ნაშოვნი ფულით ნაყიდი საჭმელი ზაფხულში არ აუყროლდეს, ხოლო შვილებმა ტელევიზორს მაინც უყურონ, რადგან ძვირად ღირებულ ტელეფონში სხვადასხვა გასართობის ნახვის შანსს ოჯახის ბიუჯეტი ვერ აძლევს.** ჰო, რაც მთავარია, ქობულიას არათუ არ ესმის ასეთი რამ, არამედ ასეთი ადამიანები არ სჭირდება. მოდი, დეტალურად მივყვეთ, რამდენ ადამიანზე ამბობს უარს ეკონომიკის მინისტრი და საინტერესოა, ეთანხმებიან თუ არა მას მთავრობის სხვა წევრები.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ „ქართუ ბანკმა“ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც 2000-ლარიანი კრედიტი ჰქონდათ, ვერ იხდიდნენ და ამის გამო შავ სიაში იყვნენ, დავალიანება გაუნულათ. დღეს იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებსაც დავალიანება გაუნულდათ, 615 164 -ია. ანუ, ზუსტად ამდენმა ადამიანმა ვერ გადაიხადა მაქსიმუმ 2000-ლარიანი კრედიტი.

ახლა ტელევიზორისა და მაცივრის ფასებს გადავხედოთ. ორი ათას ლარად მაცივრის ყიდვაც შეიძლება და ტელევიზორისაც. მართალია, საუკეთესოს ვერ იყიდი, მაგრამ ისეთს ნამდვილად შეიძენ, რამდენიმე წელს გამართულად რომ იმუშავებს. დარწმუნებით შეიძლება იმის თქმაც, რომ ამ 615 164 ადამიანს შორის აუცილებლად იქნებოდა რამდენიმე ათასი ისეთი, ვინც ბანკიდან სესხი სწორედ ტელევიზორისა და მაცივრის შესაძენად აიღო და ვერ გადაიხადა. ასეც რომ არ იყოს, საუბარია იმ ხალხზე, რომელმაც სწორედ რომ ტელევიზორისა და მაცივრის შესაძენად საკმარისი ფულის დაფარვა ვერ მოახერხა, ანუ **ქობულია ამბობს, რომ არ სჭირდება 615 164 ადამიანი.**

როგორ არ გავიხსენოთ ის, რომ მინისტრად დანიშვნის შემდეგ, დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში ქობულიას, უბრალოდ, ვერ პოულობდნენ. ის ქვეყნიდან წავიდა და ვითომც არაფერი, დაიკარგა. ჩემოსვლის შემდეგ განაცხადა, ჩემს ბიზნესებს ვალაგებდი, ხომ უნდა გადამებარებინა ვინმესთვისო და... ისევ წავიდა. ქართული ეკონომიკა რა დღეშიც არის, კი იცით და, მინისტრის ლამის ერთთვიანი უქმობა როგორ მალამოდ დაედებოდა, ესეც ადვილი მისახვედრია. **ამის მიუხედავად, ქობულიასთვის საყვედურიც არავის უთქვამს. მისთვის საყვედური არც მაშინ უთქვამთ, როცა ხმამაღლა და ამაყად განაცხადა: ჩვენი მთავარი მიზანი ეკონომიკის განვითარება არ არისო. ჰო, ჰო, სწორედ ასე თქვა და კონტექსტიდან ამოგლეჯილიაო, მერე რომ არ დაგვაბრალოს, მის ნაუბარს სრულად შემოგთავაზებთ:**

„ეკონომიკის ზრდა არ არის ჩვენი თვითმიზანი, ჩვენი თვითმიზანი არის, რომ საქართველოს მოქალაქეების კეთილდღეობა ავამაღლოთ. ჩვენ თუ მივაღწევთ ეკონომიკის ზრდას მარტო იმით, რომ, ვთქვათ, შემოვიყვანთ დიდ ინვესტორს, რომელიც ააშენებს ძალიან დიდ ქარხანას და ამით გაიზრდება ეკონომიკა, მაგრამ ამით კეთილდღეობა ძირითადი მოსახლეობის არ გაიზრდება იმიტომ, რომ ის ხალხი, რომელიც დღესდღეობით არის რეგიონებში, ის ისევ დაუსაქმებელი დარჩება და სიღარიბის დონე არ შემცირდება, ამიტომაც არის, რომ ჩვენ ვიყენებთ ამ ტერმინს — ინკლუზიურობა, სადაც ჩვენ გვინდა, რომ გავზარდოთ ეკონომიკა და ერთდროულად გავანაწილოთ თანაბრად შემოსავლები მოსახლეობას შორის. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გვინდა, რომ დავასაქმოთ ბევრად მეტი ხალხი და ეს ხალხი რომ იყოს დასაქმებული და გამოიმუშაოს ის სახსრები, რომლითაც იცხოვრებს...“

ამ გამოსვლის გამო, ქობულიას ტაში დაუკრეს: ხედავთ, რა მაგარი რამ თქვაო. მე კი ტერმინი ინკლუზიურობა სხვა მიმართულებით მქონდა გაგებული, სხვა კონტექსტში და ჩავთვალე, რომ შემეშალა, მაგრამ შემდეგ მაინც გადავამოწმე ენციკლოპედიურ ლექსიკონში და...

„ტერმინი ინკლუზია გადმოღებულია ინგლისურიდან, ნიშნავს ჩართვას და გულისხმობს განსხვავებული ნიშნის მქონე ბავშვების რაიმე ფორმით ჩართვას სასწავლო პროცესში სხვა თანატოლებთან ერთად“.

ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ აშკარად ინკლუზიური, ანუ „განსხვავებული ნიშნის მქონე“ ეკონომიკის მინისტრი გვყავს. ინვესტორის ხარჯზე რომ უნდა გაიზარდოს დასაქმებულთა რაოდენობა, მაგას ვამბობთ სწორედ. **როცა ინვესტორი შემოდის, საკუთარი ქვეყნიდან კი არ უნდა შემოიყვანოს მუშახელი, არამედ ხელშეკრულებაში უნდა ჩაუწეროთ, რომ ადგილობრივები დაასაქმოს და მერე ორივე პრობლემა ერთად მოგვარდება — ეკონომიკაც გაიზრდება და ხალხიც დასაქმდება.** გადახედეთ ნებისმიერ ინვესტორს და მათ მიერ განხორციელებულ სამუშაოებს (განსაკუთრებით ჩინურ და ინდურ კომპანიებს). მოდიან და მოჰყავთ საკუთარი მუშა-ხელი, მერე კი, როცა პროექტი დასრულდება, ეს ადამიანები საქართველოში რჩებიან, იღებენ ბინადრობის საბუთს, ჩამოჰყავთ ოჯახები და სწორედ იმ პროექტის განხორციელებაში მიღებული ჯამაგირით იწყებენ მცირე ბიზნესს, რომელსაც იქამდე მივყავართ, რომ ქირაობენ შემდეგ ადგილობრივებს, მათხოვრულ თანხებს უხდიან, თვითონ კი ბატონებივით დააბოტებენ. ეს არის რეალობა და მართლა ვერ ვხვდებით, რატომ არ სურს არავის, ამ რეალობას თვალი გაუსწოროს.

ეკონომიკის ზრდისა რა გითხრათ, მაგრამ ქვეყნის ვალმა ისტორიულ მაქსიმუმს რომ მიაღწია, უკვე გაცხადდა. **საქართველოს მთლიანი ვალი 17.5 მილიარდი დოლარია, ანუ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს დაახლოებით 4700 დოლარის დავალიანება აქვს.** ბატონო გიორგი, იცით, ეს რას ნიშნავს? იმას, რომ ამ ფასად ტელევიზორისა და მაცივრის შეძენაა შესაძლებელი, მაგრამ საქართველოს ყველა მოქალაქეს ეს თანხა ნამდვილად არ აქვს, ამიტომ, თქვენი ლოგიკით, ქვეყნიდან უნდა გავიქცეთ ან საბოლოოდ დავიქცეთ, ან... უმჯობესი ხომ არ იქნება, მინისტრობის არეალი შეავიწროვოთ და მხოლოდ იმ ადამიანების მინისტრი იყოთ, რომლებსაც ყოველთვიური შემოსავალი ოთხნიშნა რიცხვით ეწყება? თქვენც დაისვენებთ, აღარ იტყვით, რომ ასეთი ხალხი არ გჭირდებათ, რეგულაციებსაც უფრო იოლად მიიღებთ, ეკონომიკასაც გაზრდით და ქვეყანასაც ეშველება.

ისე, ქობულიას ქონებრივ დეკლარაციას თუ ჩახედავთ, იმასაც ნახავთ, რომ მას კრედიტის სახით 600 ათასი დოლარის სესხი აქვს აღებული. ძალიან კარგია, როცა ადამიანი ამის უფლებას აძლევს საკუთარ თავს და უფრო კარგია, რომ ამ თანხის გასტუმრების თავი აქვს. შესაბამისად, ქობულია გვჭირდება, რადგან მას არ უწევს ტელევიზორისა და მაცივრის შესაძენად სესხის აღება, მას უფრო დიადი მიზნები და გეგმები აქვს. ჩვენ კი, რიგითი მოკვდავნი, ცოტა ჩუმად ვიყოთ, თორემ უმაღლესი ხელისუფალი იძახის, არ მჭირდებითო და ვინძლო ერთ მშვენიერ დღეს, სხვა ქვეყანაში არ გადაგვასახლონ. ახლა არ მითხრათ: ვერ გაბედავენო... ასეთები გაუბედავთ?!

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S.**

**თქვენ თუ იცით, რა ღირს „პორშე პანამერა ჯტს“?!**

> **ქობულიას შემთხვევაში სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. მას ვერ წარმოუდგენია, რომ ადამიანს შეიძლება არ ჰქონდეს ტელევიზორი, მაცივარი და ამისთვის ბანკს მიმართოს, კრედიტი აიღოს, რათა სიმწრით ნაშოვნი ფულით ნაყიდი საჭმელი ზაფხულში არ აუყროლდეს, ხოლო შვილებმა ტელევიზორს მაინც უყურონ, რადგან ძვირად ღირებულ ტელეფონში სხვადასხვა გასართობის ნახვის შანსს ოჯახის ბიუჯეტი ვერ აძლევს**




პორშე პანამერა ჯტს

## ხმა ბერისა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როცა პროპაგანდის თითქმის ყველა საშუალება მათ ხელშია, უმნიშვნელოვანესია, რომ მოხდეს საზოგადოების ინფორმირება. უნდა ავუხსნათ ფართო საზოგადოებას, რას ნიშნავს დასავლეთის ნეოლიბერალური ძალების მიერ მართული ხელისუფლებისთვის მტკიცე ოჯახი და რას ნიშნავს ჩვენთვის, ჩვენი ტრადიციული კულტურისთვის. ასეთ შემთხვევაში, მერწმუნეთ, აზრს დაკარგავს ნებისმიერი პოლიტიკური ძალის ყველა მცდელობა, რომ ლამაზი სიტყვებით, დაპირებებით საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს და მხარდაჭერა გამოსტყუოს“.**



### მამა გიორგი (რაზმაძე):

# შორს ვარ იმ აზრისგან, რომ, რადგან ივანიშვილი უწმინდესს შეხვდა, ხვალიდან ხელისუფლება გაივსება ეროვნული სულისკვეთების ადამიანებით

**11 აპრილს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე და სულის ჩამდგმელი ბიძინა ივანიშვილი არჩევნების მოახლოებასთან ერთად თავის ყველა რესურსს იყენებს, რათა პოლიტიკურად გაბანკროტებულ ხელისუფლებას საზოგადოების კეთილგანწყობა ხელახლა მოუპოვოს. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს შეხვდა და ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე ესაუბრა. როგორც შეხვედრის შემდეგ საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, საუბარი შეეხო ხალხის პრობლემებს, უმუშევრობას, სიღარიბესა და სხვა სოციალურ საკითხებს.**

„ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, სახელმწიფო ხელს შეუწყობს უმუშევართათვის სამუშაო ადგილების შექმნასა და კვალიფიციური კადრების მომზადებას, რომლებსაც, სურვილის შემთხვევაში, უცხოეთშიც ლეგალურად მუშაობის შესაძლებლობა ექნებათ“, — აღნიშნულია განცხადებაში. იმავე განცხადების თანახმად, შეხვედრაზე ხაზგასმით ითქვა, რომ ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ოჯახის სიმტკიცის დაცვასა და მომავალი თაობების სწორად აღზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს; რომ ამისთვის საჭიროა განათლების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება...

შეგახსენებთ, რომ ხელისუფლებამ ცოტა ხნის წინათ პარლამენტში საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის მიუღებელი ანტიქართული და ანტიეროვნული კანონპროექტის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ განხილვა დაიწყო. მიზეზი კი, რომლითაც ამ კანონპროექტის ავტორების მხრიდან მისი მიღების აუცილებლობა „აიხსნება“, „ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერება“, „მომავალი თაობების სწორად აღზრდა“ და „განვითარებაა“. არადა, კანონპროექტის შინაარსი და სულისკვეთება თავიდან ბოლომდე ეწინააღმდეგება ერის ტრადიციულ ფასეულობებს, მენტალობასა და ღირებულებებს. როგორც ჩანს, ოლიგარქი უწმინდესთან შეხვედრაზეც ზუსტად ამ შინაარსს გულისხმობდა, როცა ძლიერ ოჯახსა და „სწორად აღზრდილ თაობებზე“ საუბრობდა, თუმცა შეხვედრაზე ეს ყველაფერი რა დეტალებში განიხილეს, უცნობია.

**რა მიზანს ემსახურება ივანიშვილის შეხვედრა მის უწმინდესობასთან და როგორ შეიძლება ესმოდეს დღევანდელი ხელისუფლების მთავარ პოლიტიკურ მენტორს ძლიერი ოჯახის ცნება? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, რამდენიმე დღის წინათ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი კათოლიკოს-პატრიარქს შეხვდა და ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე ესაუბრა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ოჯახის სიმტკიცე უმნიშვნელოვანესია. რას შეიძლება გულისხმობდეს ოჯახის სიმტკიცეში ივანიშვილი?**

— დავიწყოთ იმით, რომ დღევანდელი ხელისუფლება პოლიტიკურად გაკოტრებულია და კრიზისს განიცდის თვითონ პარტიასა და საზოგადოებაში არსებული უკიდურესად კრიტიკული განწყობების გამო. აქედან გამომდინარე, მისი ლიდერები ახლა ყველა ხერხს მიმართავენ, რათა წინასაარჩევნოდ მოსახლეობის კეთილგანწყობა მოიპოვონ და ამით თავიდან აიცილონ კარს მომდგარი პოლიტიკური კრახი, რომელიც მათი არასწორი ნაბიჯებისა და ზოგჯერ მიზანმიმართული ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების შედეგია. თუ ვინმე ხედავს, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი, დღიდან ხელისუფლების სათავეში მოსვლისა, გეომეტრიული პროგრესიით ეცემა და ამ რეიტინგით მას, ისევე, როგორც „ნაციონალურ მოძრაობას“, სამართლიან და კონკურენტულ არჩევნებში გამარჯვების შანსი არ აქვს, უწინარესად, არის ივანიშვილი. ამიტომ ის ახლა ყველა თავის შესაძლებლობას იყენებს, რომ როგორმე შეაჩეროს ეს რღვევის პროცესი. სხვათა შორის, აქ საყურადღებოა ერთი მომენტი: **ყოველთვის, როცა ხელისუფლება დგამს საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის მიუღებელ ნაბიჯს, ვთქვათ, საკანონმდებლო ცვლილების სახით ან სხვა კუთხით, ჩნდება გულუბრყვილო შეკითხვა: მიზანმიმართულად კეთდება ეს ყველაფერი თუ რეალურად ვერ ხვდებიან საზოგადოების განწყობას?** დღევანდელი მათი ქმედებები ყველაფერს ცხადყოფს. **ის, რომ არჩევნების წინ „ოცნების“ ლიდერი მიდის საზოგადოებისთვის ყველაზე ავტორიტეტულ პიროვნებასთან და ესაუბრება ოჯახის სიმტკიცის აუცილებლობაზე, ნიშნავს, რომ სინამდვილეში მან ძალიან კარგად იცის, რა სურს საზოგადოებას — როგორი სახელმწიფო, როგორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ა.შ.** უბრალოდ, მოცემულობა არის ასეთი, რომ ერთ მხარეს არის საზოგადოება, მეორე მხარეს — დასავლეთი, რომლის მოთხოვნები არათუ განსხვავდება, პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენი საზოგადოების ინტერესებს. ამ დროს ხელისუფლება ერთმნიშვნელოვნად არჩევანს აკეთებს გარე ძალის დაკვეთებზე. მე, რა თქმა უნდა, **შორს ვარ იმ აზრისგან, რომ, რადგან ივანიშვილი უწმინდესს შეხვდა, ხვალიდან ხელისუფლება გაივსება ეროვნული სულისკვეთების ადამიანებით.** საერთოდ, აქ საკითხავია, რას გულისხმობენ ისინი ოჯახის სიმტკიცეში. ნებისმიერ „ლიბერალს“ რომ ჰკითხო, ისიც გეტყვის, რომ ძლიერი სახელმწიფო უნდა, მაგრამ როგორ წარმოუდგენია ეს ძლიერება, მთავარი ხომ ეს არის... ჩემი აზრით, **ივანიშვილის ნათქვამი სიტყვები, რომ სახელმწიფოს მტკიცე ოჯახი და ჯანსაღი მომავალი თაობა სჭირდება, იგივეა, რაც „ლიბერალების“ მიერ დამკვიდრებული ყბადაღებული „თეზა“, რომ თურმე ილია ლიბერალი იყო.** იმედია, საზოგადოება კიდევ ერთხელ არ დაიჯერებს ამ ტყუილებს და კიდევ ერთხელ არ გახდება დიდი პოლიტიკური აფერის მსხვერპლი, როგორც იყო 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში...

**— გინდათ თქვათ, რომ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის შეხვედრა უწმინდესთან პოლიტიკური პიარის ნაწილი იყო?**

— ცხადია, ამით ივანიშვილმა კოჭი გაუგორა საზოგადოების უდიდეს ნაწილს, რომელიც თავის განწყობებითა და სულისკვეთებით კონსერვატორია. თუმცა, თავის მხრივ, უწმინდესი, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად არის გაცნობიერებული მიმდინარე პროცესებში და, დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ შეხვედრაზე ის ყოველთვის პრინციპულად დააყენებს მთავარ საკითხებს. ვგულისხმობ ტრადიციული ოჯახის დაცვის თემას, მომავალი თაობების აღზრდა-განათლებას და ა.შ. ლიბერალურ პროპაგანდას რაც შეეხება, ბუნებრივია, ისინი ყოველთვის შეეცდებიან, სათავისოდ გამოიყენონ ეს ყველაფერი და ისე მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია, რომ თითქოს ტრადიციებს იცავენ. კიდევ ვიმეორებ: დღევანდელ ვითარებაში, **როცა პროპაგანდის თითქმის ყველა საშუალება მათ ხელშია, უმნიშვნელოვანესია, რომ მოხდეს საზოგადოების ინფორმირება. უნდა ავუხსნათ ფართო საზოგადოებას, რას ნიშნავს დასავლეთის ნეოლიბერალური ძალების მიერ მართული ხელისუფლებისთვის მტკიცე ოჯახი და რას ნიშნავს ჩვენთვის, ჩვენი ტრადიციული კულტურისთვის. ასეთ შემთხვევაში, მერწმუნეთ, აზრს დაკარგავს ნებისმიერი პოლიტიკური ძალის ყველა მცდელობა, რომ ლამაზი სიტყვებით, დაპირებებით საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს და მხარდაჭერა გამოსტყუოს...**

**— კოჭის გაგორება ახსენეთ. რამდენიმე დღის წინათ ივანიშვილი სამეგრელოში ჩავიდა და პირველი პრეზიდენტის დაღუპვის ადგილი მოინახულა. როგორ ფიქრობთ, ხომ არ იყო ესეც ერთგვარი პოლიტიკური კოჭის გაგორება იმ რეგიონისთვის, რომლის მოსახლეობის კეთილგანწყობა ყოველთვის აკლდა „ქართულ ოცნებას“?**

— თავისთავად, ძალიან კარგია, თუ ზვიად გამსახურდიას მუზეუმი გაკეთდება, მაგრამ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით ვკითხო ბატონ ბიძინა ივანიშვილს: **დღეს პარტიაში რამდენი ზვიადის მტერი ჰყავს? რამდენია ისეთი, ვინც თავის დროზე ქუჩაში იარაღით დასდევდა ზვიადის მხარდამჭერებს? შეიძლება, ერთი მხრივ, ადამიანს პატივს მიაგებდე და მეორე მხრივ, მის მტრებს იფარებდე? რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არის პოლიტიკური პიარი, მაგრამ ხელისუფლება უნდა ხედავდეს, რომ მას მხოლოდ სამეგრელოში არ უჭირს, მას სრულიად საქართველოში უჭირს. რატომ? — იმიტომ, რომ შვიდი წელია, საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრიან, ატყუებენ, აბითურებენ და ბოლოს პირში ჩალაგამოვლებულს ტოვებენ.** ისე, მაინტერესებს, ასე ძალიან თუ ადარდებთ ოჯახის სიმტკიცე და მომავალი თაობების ჯანსაღად აღზრდა, რატომ არ გაუჩნდათ პროტესტი, როცა ქალბატონმა **ჩუგოშვილმა** საპარლამენტო უმცირესობის წევრს, ბატონ **ემზარ კვიციანს** მიკროფონი გაუთიშა პატრიარქის სიტყვების ციტირებისას? თვითონ როცა სჭირდება, ხომ იბარებს და ტუქსავს ხოლმე ივანიშვილი თავის პოლიტიკურ გარემოცვას, რატომ არ ჰქონდა ამაზე რეაქცია? ან რატომ იმაზე არ ლაპარაკობენ, რომ ეკლესია-მონასტრებს, ისევ უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნით, კომუნალური გადასახადები გაუძვირეს და დღეს ისე იბეგრებიან, როგორც რესტორნები? აქვე მინდა კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხს შევეხო: ამას წინათ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე პრემიერმინისტრი **მამუკა ბახტაძე** იმყოფებოდა. სიტყვით გამოსვლის შემდეგ მას ჰკითხეს, თუ როგორ აპირებს წელს, 17 მაისს ხელისუფლება ლგბტ პირების „გამოხატვის თავისუფლების“ დაცვას. ბახტაძემ უპასუხა, რომ ამისთვის საქართველოში არსებობს ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოსთვის. თუმცა ეს კიდევ არაფერი, იმავე გამოსვლაში მან ის ხალხი, რომელიც ეწინააღმდეგება მამათმავლობის პროპაგანდას და აპროტესტებს მას, მარგინალურ ექსტრემისტულ ჯგუფებად მოიხსენია. ამით **ბახტაძემ პრაქტიკულად სრულიად მსოფლიოს უთხრა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, მათ შორის, ტრადიციული ქრისტიანული მორალის მქონე ეკლესია, პატრიარქი და საპატრიარქო მარგინალი ექსტრემისტები არიან. აი, ასეთი ნამუსგარეცხილი ადამიანები მერე ხან სამების საკათედრო ტაძარში სააღდგომო წირვას ესწრებიან უწმინდესთან ერთად, ხან საპატრიარქოში მიდიან და იქ საუბრობენ ოჯახის სიმტკიცეზე...** ვფიქრობ, წავიდა ის დრო, როცა ასეთი იაფფასიანი პოლიტიკური ტრიუკებით ახერხებდნენ ძალაუფლების შენარჩუნებას. არ გამოვა ასეთი ორმაგი თამაშით ფონს გასვლა, იმიტომ, რომ, ბოლოს და ბოლოს, გაიგო ხალხმა, ვინც არიან ისინი. 17 მაისს რაც შეეხება, რა ანგარიშიც უნდა აბაროს ბახტაძემ სტრასბურგს, დარწმუნებული ვარ, ხალხი გამოვა და სამღვდელოების საღად მოაზროვნე ნაწილთან ერთად დაიცავს თავის ჯანსაღ მომავალს...

**— როგორც თქვენ ამბობთ, თუ ხალხმა უკვე გაიგო, რეალურად რა ძალაა ქვეყნის სათავეში, მაშინ როგორ ახერხებს ის ძალაუფლების შენარჩუნებას?**

— დარწმუნებული ვარ, როგორც კი გამოჩნდება ქვეყანაში რეალური მესამე ძალა, რომელიც მართლა იქნება საზოგადოების ინტერესების გამომხატველი, არა მხოლოდ ხელისუფლება, მთლიანად პოლიტიკური სპექტრი აღმოჩნდება თამაშგარე მდგომარეობაში. სამწუხაროდ, ასეთი ძალა ჯერ არ ჩამოყალიბებულა და ვფიქრობ, ეს არის ზუსტად ის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს არსებული პოლიტიკური დღის წესრიგის შენარჩუნებას. ღმერთმა ქნას, ჩვენი საზოგადოება მალე გაერთიანდეს და ერთობლივი ძალისხმევით, როგორც 1990-იან წლებში, შეცვალოს ქვეყნის მიმართულება. იმის იმედი, რომ ვიღაც ერთი ლიდერი მოვა და ძირეულ გარდაქმნებს განახორციელებს, არ მაქვს...

**«ბახტაძემ პრაქტიკულად სრულიად მსოფლიოს უთხრა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, მათ შორის, ტრადიციული ქრისტიანული მორალის მქონე ეკლესია, პატრიარქი და საპატრიარქო მარგინალი ექსტრემისტები არიან. აი, ასეთი ნამუსგარეცხილი ადამიანები მერე ხან სამების საკათედრო ტაძარში სააღდგომო წირვას ესწრებიან უწმინდესთან ერთად, ხან საპატრიარქოში მიდიან და იქ ესაუბრებიან ოჯახის სიმტკიცეზე»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„ჩვენ, გამარჯვების დღის აღსანიშნავ ღონისძიებებს ვინც ვგეგმავთ, კარგად ვიცით, ვინც არიან ის ადამიანები, რომლებიც პროვოკაციებს აწყობენ, ვიცით მათი სახელები და გვარები. ეს ადამიანები არიან „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებულები, მათ აქვე ვაფრთხილებ, არ გაბედონ იქ მოსვლა, გაისრისებიან, რადგან ძალიან ბევრი ადამიანი აპირებს მოსვლას 9 მაისის დღესასწაულზე“.**

SOS
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გულბაათ რცხილაძე:

# ლიბერალური ფაშიზმი — მთავარი საფრთხე ჩვენი ქვეყნისთვის

## «9 მაისი არის სიკეთის, სინათლის გამარჯვება ბოროტებასა და სიბნელეზე»

**„რუსოფობია და ანტირუსული ისტერიის ხელოვნური დაძაბვა ფაშიზმის რეანიმაციისკენ პირდაპირი გზაა“, — აღნიშნეს 5 აპრილს თბილისში შეკრებილმა ექსპერტებმა.**

„ეროვნულ ნიადაგზე შეუწყნარებლობა აცოცხლებს მახინჯ და დამანგრეველ ფაშიზმს, რომელიც უზარმაზარი მსხვერპლის ფასად დაამარცხეს ევროპაში“ — ეს იყო საერთო აზრი „საქართველოს რუსი ახალგაზრდობის კავშირის“ (თავმჯდომარე ალექსანდრე ბეჟენცევი) მიერ ორგანიზებული შეხვედრისა, რომელსაც ესწრებოდნენ ქართველი საზოგადოებრიობის აქტიური წევრები: ევგენი პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელი **დიმიტრი ლორთქიფანიძე**, მოძრაობა „ქართული იდეის“ თავმჯდომარე **ლევან ჩაჩუა**, ვიცეპოლკოვნიკი **გივი ვანიშვილი**, პოლიტოლოგი, საქართველოს კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი **თემურ ფიფია**, ისტორიკოსი **ვიქტორ ცაავა**, „სახალხო-პატრიოტული მოძრაობის“ თავმჯდომარე **თეიმურაზ მაკარიძე**, უსაფრთხოების საკითხების სპეციალისტი დავით **ფურცხვანიძე**, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ინტერნეტვერსიის მიმომხილველი **კონსტანტინე ჩიკვილაძე**, „საქართველოს რუსი ახალგაზრდობის კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე **დიმიტრი ბრეგვაძე.** შეხვედრის მოდერატორი გახლდათ პოლიტოლოგი, „ევრაზიის ინსტიტუტის“ დამაარსებელი **გულბაათ რცხილაძე.**

შეხვედრაზე განიხილებოდა თემა „ფაშისტური იდეოლოგიის რეანიმაციის საფრთხე საქართველოსთვის — ბრძოლის მეთოდები“. შეხვედრის მოდერატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსოფობია და ანტირუსული ისტერიის ხელოვნური დაძაბვა ფაშიზმის რეანიმაციისკენ პირდაპირ მიმავალი გზაა. ფაშიზმის რეციდივების გამოვლენის წინაღობას შეიძლება წარმოადგენდნენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა დიდ სამამულო ომზე ისტორიული მეხსიერების შენარჩუნება, ახალგაზრდობის აღზრდა პატრიოტული სულისკვეთებით, ასევე, 9 მაისის გამარჯვების დღის საზეიმოდ რაც შეიძლება მეტი მოქალაქის მოზიდვა, პოლიტოლოგმა ასევე აღნიშნა პროფესორ **ალექსანდრე ჭაჭიას** დამსახურება ამ საქმეში. **დიმიტრი ლორთქიფანიძემ**, თავის მხრივ, გაიხსენა ის ფაქტები, რომლებიც დღევანდელ საქართველოში იჩქმალება ქართულ-რუსული ურთიერთობების ჯანსაღი აღქმისთვის ხელის შეშლის მიზნით. მაგალითად, არაფერს ამბობენ გამოჩენილი რუსი დიპლომატის, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და შემდეგ ქვეყნის პრემიერმინისტრის, აწ განსვენებული **ევგენი პრიმაკოვის** პირად დამსახურებაზე, რომელმაც 1997 წელს, პრაქტიკულად, მთელი აფხაზური ელიტა ჩამოიყვანა საქართველოს დედაქალაქში. თბილისის შეხვედრა წარმატებული და ძალზე იმედისმომცემი გამოდგა, მაგრამ მან, სამწუხაროდ, თავისი გაგრძელება სხვადასხვა მიზეზის გამო ველარ ჰპოვა. მაგრამ პრიმაკოვმა მოახდინა გარღვევა და ქართულ მხარეს მისცა შანსი, ესარგებლა ამ სამშვიდობო მისიით. გულბაათ რცხილაძემ დასძინა, რომ თვითონ გამოაქვეყნა „ევრაზიის ინსტიტუტის“ ვებგვერდზე მასალა პრიმაკოვის დამსახურების შესახებ, ასევე ინფორმაცია იმის თაობაზე, ვინ მოახდინა დაწყებული ქართულ-აფხაზური დიალოგის ტორპედირება. მისი თქმით, აფხაზური დელეგაციის ვიზიტის პარალელურად, საქართველოში იმხანად სტუმრად იმყოფებოდა ამერიკელი სენატორი **მიჩ მაკონელი**, რომელიც ამერიკის პრეზიდენტის სახელით აკეთებდა განცხადებებს. ეს განცხადებები კი ხელს არ უწყობდა საქართველოს ხელისუფლების მოტივაციის განმტკიცებას, გაეგრძელებინა მოლაპარაკებები.

დანარჩენი გამომსვლელები სხვადასხვა თემას შეეხნენ, ეს თემები მთავარ თემასთან, ფაშიზმის პრევენციასთან, იყო დაკავშირებული. **თემურ ფიფიამ** აღნიშნა, რომ მემარცხენე და მემარჯვენე პატრიოტებს, კომუნისტებსა და მორწმუნეებს არაფერი აქვთ გასაყოფი, ყველანი ისინი საქართველოს პატრიოტები არიან და ერთობლივად უნდა იბრძოლონ და იმუშაონ ქვეყნის სასიკეთოდ. ასევე ერთობლივად უნდა აღინიშნოს 9 მაისის ზეიმი, რომელიც აერთიანებს ყველა ნორმალურ ადამიანს, ეროვნული, რელიგიური და პარტიული კუთვნილებისგან დამოუკიდებლად. გულბაათ რცხილაძემ და **გივი ვანიშვილმა** დააანონსეს 9 მაისის საზეიმო ღონისძიებების გამართვა „უკვდავი პოლკის“ პრინციპით, ქვეყნის ზოგიერთი რეგიონიდან ქართველი მოსახლეობის მონაწილეობით. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ქართველები სოლიდარობას გამოუცხადებენ მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს. 9 მაისის ზეიმის აქცენტი გაკეთდება საერთო გამარჯვებაში საქართველოს წვლილზე, ადგილობრივი სპეციფიკისა და მენტალობის გათვალისწინებით.

**გულბაათ რცხილაძემ** ყურადღება გაამახვილა საქართველოს ტერიტორიაზე ყველა საძმო სასაფლაოსა და დიდი სამამულო ომის მონუმენტის აღდგენის აუცილებლობაზე. „ქართველებს არ ეკადრებათ საფლავების დატოვება მოუვლელ მდგომარეობაში, ხოლო ასეთი საფლავები და მონუმენტები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, სამწუხაროდ, ბევრია“, — განაცხადა მან.

**გვესაუბრება 9 მაისს დაგეგმილი ღონისძიებების ერთ-ერთი ორგანიზატორი, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე:**

— საქართველოში პოლიტიკური ფონი დამძიმდა, ხალხის სიდუხჭირემ, ეკონომიკურმა პრობლემებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, პერსპექტივა კი არ ჩანს, აქედან გამომდინარე, ქვეყანაში იქმნება ნოყიერი ნიადაგი იმისა, რომ ფაშისტურმა იდეოლოგიებმა იჩინოს თავი.

**— თქვენ იდეოლოგია მრავლობით ფორმაში წარმოთქვით. რა სახის იდეოლოგიებზეა საუბარი?**



— ლიბერალ-ფაშისტურ იდეოლოგიაზე, რომელიც გაბატონებულია. რას ნიშნავს ლიბერალ-ფაშიზმი? — ეს არის ლიბერალების მომძლავრება, რომლებიც ხელს უშლიან ალტერნატიული აზრის გავრცელებას. ამის ნათელი მაგალითია 13 აპრილს ფილარმონიაში მომხდარი ინციდენტი, როდესაც პუბლიცისტ **დავით მხეიძეს** თავისი აზრის თქმის საშუალება არ მისცეს, მისი აზრის მოსმენა არ ისურვა აგრეთვე, არც ერთმა ტელევიზიამ. ეს შემთხვევითი არ იყო. გარდა იმისა, რომ ლიბერალები ალტერნატიულ აზრს ბლოკავენ, საკუთარის დამკვიდრებას გამალებით ცდილობენ. მაგალითად, რუსეთი მტერია, **პუტინი** საშინელია და ა.შ. სხვა აზრი მათთვის მიუღებელია. ჩვენ გვაქვს კლასიკური მაგალითები, რა დღეში აგდებენ საქართველოში კულტურის სფეროს წარმომადგენლებს, რომლებიც რუსეთში არიან მიწვეულები ღონისძიებებზე. პირდაპირ ტერორი იწყება ამ ადამიანების წინააღმდეგ. ჩვენ გვახსოვს ე.წ. კარვის ქალები, მაგრამ ისინი დღევანდელ ლიბერალებთან მონაგონია, რადგან ეს ყველაფერი სახელმწიფო დონეზეა აყვანილი, ქუჩის დონეს სცილდება, **ქუჩა ახლა დიდ პოლიტიკაშია შემოსული. აქედან გამომდინარე, ლიბერალური ფაშიზმი მთავარი საფრთხეა ჩვენი ქვეყნისთვის, ქვეყნისთვის, რომელსაც ლიბერალ-ფაშისტები მართავენ.**

ამ ყველაფერს საზოგადოებამ არ უნდა დაუპირისპიროს განწყობები და თეორიები, რომლებიც რასისზმსა და ქსენოფობიაში გადადის. დღეს საქართველოში ყველა „პატრიოტის“ მთავარი ლოზუნგია „რუსეთი ოკუპანტია“ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს ამას თუ დაიძახებენ, რაღაც კარი გაიღება და სასწაული მოხდება. არავინ ფიქრობს იმაზე, რომ „რუსეთი ოკუპანტია“-ს ძახილი აუცილებლად წინ დაგვხვდება, თანაც ძალიან ცუდად.

ფაშიზმის საფრთხე არსებობს, თანაც ფონია ხელშემწყობი. ჩვენ შეკრებაზე განვიხილეთ ეს საკითხები და ვთქვით, რომ არსებული ვითარების გასანეიტრალებლად არსებობს არჩვეულებრივი თარიღი — ფაშიზმის დამარცხების დღე 9 მაისი. 9 მაისი იყო ყველანაირ ფაშიზმზე გამარჯვების დღე და არა მხოლოდ ჰიტლერულ ფაშიზმზე ან მუსოლინიზე, ან იაპონიის ფაშისტურ მილიტარიზმზე გამარჯვება, 9 მაისი არის სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე. ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ვაპირებთ 9 მაისი გრანდიოზულად აღვნიშნოთ, ვიზეიმოთ ხალხთან ერთად. ეს არ არის ეროვნული უმცირესობების ან უმრავლესობების ზეიმი, ეს ყველას ზეიმია. ეთნიკურ უმცირესობას და უმრავლესობას ხაზს ნეოლიბერალების გასაგონად ვუსვამ, მინდა ყველამ გაიგოს, რომ ყველას წინაპრები იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ, ეს არ დაავიწყდეს არავის!

**— 9 მაისის ღონისძიებებს არასოდეს ჩაუვლია ინციდენტის გარეშე. როგორ ფიქრობთ, ახალგაზრდები, რომლებსაც ისტორია სხვანაირად აქვთ შესწავლილი და იციან, რომ სტალინი იყო ყველაზე „დიდი ფაშისტი“, არ ჩაშლიან დაგეგმილ ღონისძიებას?**

— 9 მაისის ღონისძიებებს ახალგაზრდები არ შლიან, **ამას აკეთებენ საშუალო ასაკის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე თანამშრომლობნენ კა-გე-ბე-სთან და ახლა კომპლექსები აწუხებთ. მათ სურთ, გადაფარონ წარსული და აიყოლიონ ამაში ახალგაზრდებიც. ჩვენ, გამარჯვების დღის აღსანიშნავ ღონისძიებებს ვინც ვგეგმავთ, კარგად ვიცით, ვინც არიან ის ადამიანები, რომლებიც პროვოკაციებს აწყობენ, ვიცით მათი სახელები და გვარები. ეს ადამიანები არიან „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებულები, მათ აქვე ვაფრთხილებ, არ გაბედონ იქ მოსვლა, გაისრისებიან, რადგან ძალიან ბევრი ადამიანი აპირებს მოსვლას 9 მაისის დღესასწაულზე.** არავის ვებრძვით, პროვოკაციას არ ვაწყობთ, მივდივართ ჩვენი წინაპრების ფოტოებით და გვაქვს ამაღლებული განწყობა. ასე რომ, ყველა გონს მოეგოს, ვისაც ღონისძიების ჩაშლის სურვილი გაუჩნდება, ნუ ჩააფურთხებენ საკუთარ პაპებს საფლავში. დადგნენ ჩვენს გვერდით და ვაქციოთ ეს დღე საქართველოს გაერთიანების დღედ.

**— სოსო ცისკარიშვილმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, „ქართული ოცნება“ იქცა რუსულ ოცნებად და საქართველო ამისგან არის დასაცავიო. თქვენ კი შერიგებაზე საუბრობთ...**

— პიროვნულად არ შევხვედრივარ სოსო ცისკარიშვილს, მაგრამ მისი ბიოგრაფია კარგად მახსოვს. სკოლის მოსწავლე ვიყავი, გერმანულ სკოლაში ვსწავლობდი. ჩემი კლასი მიდიოდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. იმხანად საზღვარგარეთ ხალხის გამგზავრებას ასე ვთქვათ, „ცეკატეკა“ წყვეტდა, ბატონი სოსო მაშინ **ამხანაგი ცისკარიშვილი** იყო, მისი თანამდებობა ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს, რომ ის წყვეტდა, ვინ საწულიყო უცხოეთში და ვინ — არა. გეტყვით იმასაც, რომ ეს იყო 1990 წელს... სოსო ცისკარიშვილი საბჭოთა სისტემის წარმომადგენელი იყო, მსახური კომუნისტური პარტიისა, ამიტომ არ ვიცი, დღეს რა ნამუსით ლაპარაკობს რუსეთზე ასე. ცისკარიშვილი ასევე იყო ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრი მაშინ, როდესაც ბურჯანაძე რამდენჯერმე უკვე შეხვედრილი იყო რუსეთის პრეზიდენტს.

ასეთი ხალხი ხმაურობს, ასეთი ადამიანები აფუჭებენ სიტუაციას. ესენი არიან ის ადამიანები, ზემოთ რომ მოგახსენეთ, ყოფილ „კა-გე-ბეშნიკებზე“, ესენი გვასწავლიან საქართველოს სიყვარულსა და პატრიოტიზმს, რომელსაც მე ვერ მივიღებ. საბედნიეროდ, ჩემსავით ფიქრობს ძალიან ბევრი. ცისკარიშვილისნაირები იყვნენ კომუნისტების კორუფციაში ჩაფლულ ელიტაში, ესენი არიან დღესაც დასავლეთის მიერ დაარსებულ არანაკლებ კორუფცირებულ არასამთავრობოებშიც, პატიოსანი ხალხი კი გაძრცვულია, გასაცოდავებულია, **მათ საქართველო ჯართად გაყიდეს და კიდევ ბედავენ, რომ გვასწავლონ და ჭკუა დაგვარიგონ. არავის დავინდობ, თუ საჭირო გახდა, იარაღსაც ავიღებ ხელში და დავიცავ საქართველოს, ჩემს მოტყუებულ და გაძარცვულ ხალხს. დაწყნარდეს ყველა ლიბერალი, ჩაღუნონ თავი, ჩუმად ისხდნენ და პატრიოტიზმს ჩვენ მივხედავთ, უბრალო ხალხი. გამოვალთ 9 მაისს და ჩვენს სიტყვას ვიტყვით ქართველები, ისე, როგორც აქამდე გვითქვამს!**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საუბარი მანდატების რაოდენობაზე ჯერჯერობით ნაადრევია, თუმცა, კულუარულ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, „ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება მიზნად დაისახოს დაახლოებით 95 (პროპორციული + მაჟორიტარული) მანდატის მოპოვება. ბევრი ამას პარტიის კრიზისისა და დისკრედიტაციის ფონზე, ალბათ, წარმოუდგენლად ჩათვლის და იმასაც გაიხსენებს, რა შედეგს ელოდნენ მმართველი პარტიის ლიდერები საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში.**

# ივანიშვილი — ტელევიზორში, საქართველოს «დამცველები» — ფილარმონიაში

**გასულ კვირას საზოგადოება ორ მთავარ თემას განიხილავდა: ბიძინა ივანიშვილის დიდ ტელეინტერვიუს და მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ შეკრებას, რომელიც 13 აპრილს ფილარმონიაში გაიმართა. რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ივანიშვილის საათნახევრიან მონოლოგში და ვინ ვისგან აპირებს საქართველოს დაცვას?**

მთელი ინტერვიუს განმავლობაში ივანიშვილი ცდილობდა, საუბარი ნებისმიერ თემაზე ერთი მარტივი დასკვნით დაეგვირგვინებინა: ის, ვინც „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებს, ნებსით თუ უნებლიეთ, „ნაციონალური მოძრაობის“ საქმეს აკეთებს. ამ კონტექსტში მან მიუთითა როგორც ძველ პარტნიორებზე — **დავით უსუფაშვილზე, გუბაზ სანიკიძეზე, გია ხუხაშვილზე, შალვა შავგულიძეზე**, ისე „ქართული ოცნებიდან“ ახლახან გასულ დეპუტატებზეც. წყენასა და ყოფილი თანაგუნდელების გაშავების სურვილზე მნიშვნელოვანი აქ, ალბათ, ის არის, რომ ივანიშვილი არ აპირებს, უარი თქვას ორპოლუსიან მოდელზე, რომელიც „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ დაპირისპირებას ეფუძნება, და ამყარებს პრინციპს: „ვინც ჩვენთან არ არის, მტრის საქმეს აკეთებს“. ეს პოლიტიკური მანიქეიზმი არ უშვებს სხვა ფერების არსებობას, თეთრისა და შავის გარდა. „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა შესაძლებლობა, ამ მოდელს დაშორებოდა, თუმცა 2016-ში წინასაარჩევნოდ მან სტრატეგიული არჩევანი გააკეთა და 2012 წლის ორპოლუსიან მოდელს დაეყრდნო.

ივანიშვილმა რეჟიმის მსხვერპლი უწოდა **ვანო ზარდიაშვილს** და ამავე კონტექსტში **ლევანი მურუსიძეზეც** ისაუბრა. ამასთანავე, მიანიშნა, რომ ყოფილი თანაგუნდელები, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებას ებრძოდნენ (მათ შორის პოლიტიკაში ივანიშვილის მოსვლამდე), „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე ასხამდნენ წყალს. საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც სააკაშვილს უპირისპირდებოდა, ეს ძალიან მძიმე მოსასმენი იყო (რაც ნათლად გამოჩნდა თანმდევ კომენტარებში), რადგან სწორედ მათმა ბრძოლამ უდიდესი რისკის პირობებში შექმნა წინაპირობები იმისთვის, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში მოსულიყო და საფუძვლიანად შერყეული რეჟიმი დაემარცხებინა, თუმცა უნდა ითქვას, რომ **ზარდიაშვილის თაობაზე ივანიშვილმა სამართლიანად აღნიშნა, რომ იმ თანაგუნდელებს, რომელთაც მისი წარსული არ მოსწონთ, 2016 წელს, როდესაც მისი გვარი საპარლამენტო სიაში ნახეს, შეეძლოთ ეთქვათ, რომ მასთან ერთ სიაში ყოფნაზე უარს ამბობენ, მაგრამ ეს არ გააკეთეს**.

კომენტატორების ნაწილი მიიჩნევს, რომ ელექტორატის დაშინება სააკაშვილის დაბრუნებით, როგორც მეთოდი, მოძველდა, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ იმ ნახევარი მილიონი „დამატებითი“ ამომრჩევლის ნაწილმა, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნების ტურში ხმა **ზურაბიშვილს** მისცა, უარი სწორედ ძველი რეჟიმის რესტავრაციას უთხრა. მიუხედავად ამისა, ორპოლუსიანი მოდელის ერთგულებამ ივანიშვილს ძველი მხარდამჭერების ნაწილი დააკარგვინა; ალბათ, საუკეთესო ნაწილი, რომელშიც შედარებით განვითარებული, კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანები შედიოდნენ. შავ-თეთრი მითოლოგიის მუდმივი ექსპლუატაცია მათთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც ყველაფერი თავდაყირა დადგა — ვანო ზარდიაშვილი ძველი რეჟიმის მსხვერპლად გამოცხადდა, ხოლო, მაგალითად, **ლევან გოგიჩაიშვილი** — მისი ინტერესების უნებლიე გამტარებლად (კიდევ კარგი, პირდაპირ „აგენტს“ არ უწოდებს).

უკმაყოფილებას კიდევ ერთი, დაახლოებით ხუთი წლის წინათ გაკეთებული არჩევანი აღრმავებს. მაშინ ივანიშვილმა „ადეიშვილის ეპოქის“ მოსამართლეებთან სტრატეგიული ალიანსის გაფორმება გადაწყვიტა. **9 აპრილს „იმედის“ ეთერში ის ირწმუნებოდა, რომ სასამართლო გაუმჯობესდა და ნდობა მის მიმართ მაღალია, ხოლო „ნაცმოძრაობა“ და მის მიერ მართული არასამთავრობო ორგანიზაციები ამ გაჯანსაღებული სისტემის დისკრედიტაციას ცდილობენ, რათა მასზე კონტროლი დაიბრუნონ.** ივანიშვილმა თქვა, რომ გირგვლიანის მკვლელების საქმეში (სააპელაციო სტადიაზე) ადვოკატმა შალვა შავგულიძემ „ნაცმოძრაობისთვის“ მოსამართლე ლევან მურუსიძეზე უკეთესი როლი შეასრულა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ შავგულიძისა და „თავისუფალი დემოკრატების“ ალიანსმა „ევროპულ საქართველოსთან“ მთაწმინდის შუალედურ არჩევნებში ივანიშვილს საინფორმაციო კოზირი მისცა — შავგულიძის მაგალითს ის ყველა ყოფილი თანამებრძოლის დისკრედიტაციისთვის იყენებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, შემდეგი გარემოების ხაზგასმაა: მთელ რიგ სადავო საკითხებზე (უცნაური სიმბიოზი „ნაცმოძრაობასთან“, მოსამართლეები და ა. შ.), რომელთა გამო ივანიშვილს ყოფილი მხარდამჭერები აკრიტიკებენ, მას მანევრის შესაძლებლობა დაკარგული აქვს. ეს არ არის კანაფის კულტივაციის ან „ტაქსების“ ლიცენზირების თემა, სადაც ადრინდელი გადაწყვეტილება შეიძლება, ასე თუ ისე, მარტივად შეცვალო. **ივანიშვილს აღარ შეუძლია გაყაროს „ადეიშვილის მოსამართლეები“ ან მასშტაბური „დენაციფიკაცია“ დაიწყოს. მას ნამდვილად შეეძლო შესაბამისი პროცესების ინიცირება 2012-13 წლებში, მაგრამ დღეს ამის რესურსი აღარ არსებობს, მატარებელი წავიდა, ამიტომ ის მომავალშიც დაიცავს მურუსიძესა და ზარდიაშვილს. ორივე სხვადასხვა სფეროში „ქართული ოცნების“ პოლიტიკის სიმბოლოდ იქცა.** ადრე „2012 წლის ამომრჩევლებს“ ჰქონდათ იმის იმედი, რომ ივანიშვილი პოლიტიკას შეცვლის, თუმცა







დღეს, ალბათ, აშკარაა, რომ ამის არა მხოლოდ სურვილი, არამედ შესაძლებლობაც აღარ აქვს და საპარლამენტო არჩევნების დღეს „ქართული ოცნება“ ისევე იქნება ასოცირებული **ირაკლი კობახიძესა** და მის ჯგუფთან, ვანო ზარდიაშვილსა და ლევან მურუსიძესთან, როგორც დღეს.

დღეს ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ ეს მმართველ პარტიას მომავალ არჩევნებში ყოველგვარ პერსპექტივას წაართმევს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ივანიშვილს უზარმაზარი ფინანსური რესურსი და ადმინისტრაციული ბერკეტები რჩება, აგრეთვე, დალაგებული ურთიერთობა რეგიონულ ელიტებთან, რაც მაჟორიტარულ ოლქებში მისი პარტიის შანსს მკვეთრად ზრდის. **საუბარი მანდატების რაოდენობაზე ჯერჯერობით ნაადრევია, თუმცა, კულუარულ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, „ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება მიზნად დაისახოს დაახლოებით 95 (პროპორციული + მაჟორიტარული) მანდატის მოპოვება. ბევრი ამას პარტიის კრიზისისა და დისკრედიტაციის ფონზე, ალბათ, წარმოუდგენლად ჩათვლის და იმასაც გაიხსენებს, რა შედეგს ელოდნენ მმართველი პარტიის ლიდერები საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში.** აქ გაცილებით მნიშვნელოვანია რომ საპარლამენტო არჩევნებში (თუ მაჟორიტარულ ოლქებში მეორე ტურს არ ჩავთვლით) შედარებით რთული იქნება ბიპოლარული მოდელის („ოცნება“-„ნაცმოძრაობა“) გამოყენება, მით უმეტეს, რომ ამდენი ამომრჩეველი ალტერნატივას ეძებს.

საექსპერტო საზოგადოება და, ალბათ, მმართველი პარტიაც მშვენივრად ხედავს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა ძველი „ანტიმიშისტი“ ამომრჩევლების ნაწილი, რომელთა პოზიციას ფრაქციაში (უფრო ავად, ვიდრე კარგად) ე. წ. ძველი გვარდია ახმოვანებდა. მათი ხმების უმრავლესობა გარანტირებულად არ წავა „ნაცმოძრაობასთან“ და „ევროპულ საქართველოსთან“; ამ ნიშაში შეღწევას შეეცდებიან, უპირველესად, ელისაშვილის „სამოქალაქო მოძრაობა“, „პატრიოტთა ალიანსი“ და „დაიცავი საქართველო“, რომელმაც თანამოაზრეები 13 აპრილს ფილარმონიაში შეკრიბა.

ბოლო პერიოდში გახშირდა აპელირება „2012 წლის იდეალების“ მიმართ. ცხადია, არ შეიძლება მათი გათანაბრება „ქართული ოცნების“ იმდროინდელ პროგრამასთან და ლოზუნგებთან ან მხოლოდ „ანტიმიშიზმთან“ და ძველი რეჟიმის უარყოფასთან. პრინციპში, შეუძლებელია იმის ზუსტი განსაზღვრა, რას წარმოადგენს „2012 წლის იდეალები“. ამის თაობაზე ყველას საკუთარი ვერსია აქვს, თუმცა ნამდვილად არსებობს ცნება, რომელიც განსხვავებულ თვალსაზრისს აერთიანებს. ეს სამართლიანობაა. ყველა პრეტენზია, რომლებიც ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ მიმართ სხვადასხვა სფეროში არსებობს, საბოლოო ჯამში მათ მიერ შექმნილი სისტემის უსამართლობამდე დაიყვანება.

ეს სიტყვა ხშირად ისმოდა 13 აპრილს ფილარმონიაში, სადაც შეკრებილთა უმრავლესობა „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი და მხარდამჭერი იყო. ოპონირება ივანიშვილის მიმართ, მაშინ, როდესაც მის ტელეინტერვიუს აუდიტორიისთვის აქტუალობა ჯერ არ დაუკარგავს, დრამატურგიული თვალსაზრისით საკმაოდ მოსახერხებელი იყო.

**ჯერჯერობით გაუგებარია, ჩამოყალიბდება „დაიცავი საქართველო“ „ქართული ოცნების“ ყოფილი დეპუტატების კლუბად თუ მათ სხვა ჯგუფებიც შეუერთდებიან. ეს არა მხოლოდ მატერიალურ და ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას მოითხოვს, არამედ შიგა სიტუაციის დაბალანსებასაც. ერთია, როდესაც სიტუაციას ახალი გაერთიანების შიგნით ერთი ლიდერი თუ სპონსორი ალაგებს (მაგალითად, ივანიშვილი ან 2007 წელს პატარკაციშვილი) და სულ სხვაა, როდესაც დაახლოებით თანაბარი რანგის ლიდერები, რომლებიც ერთმანეთს კონკურენტებად აღიქვამენ, ერთმანეთის პირისპირ რჩებიან.** ამასთანავე, თუ ახალ გაერთიანებას ექნება პრეტენზია, რომ თუნდაც გარკვეული სეგმენტის თვალში „მესამე ძალა“ განასახიეროს, მას მოუწევს იმის გათვალისწინება, რომ საზოგადოებაში გაიზარდა მოთხოვნა პოზიტიურ პროგრამაზე და ის ფონს ვერ გავა მხოლოდ უარყოფით „არა ნაცმოძრაობას!“, „არა ქართულ ოცნებას!“, „არა მოსამართლეთა კლანს!“ და ა.შ.

ნაციონალები და მათთან აფილირებული კომენტატორები ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ „დაიცავი საქართველო“ ივანიშვილის დაკვეთას ასრულებს და ამ ნიადაგზე შეიძლება გაჩნდეს ვარაუდი, რომ მან მიზანმიმართულად განდევნა „ძველი გვარდია“ „ქართული ოცნებიდან“ და გაქცეულ ამომრჩევლებს „დაადევნა“, რათა მათი კონსოლიდაცია ახალი სატელიტური ორგანიზაციის (მომავალში შესაძლო კოალიციური პარტნიორის) ქოლგის ქვეშ უზრუნველყოს, თუმცა ეს ეჭვები, სავარაუდოდ, არ იმოქმედებს „ანტიმიშისტ“ ამომრჩევლებზე, თუ „დაიცავი საქართველო“ ძალიან მკაფიოდ გამოაცხადებს პროგრამა-მინიმუმს (ის შეკრებაზე დავით მაღრაძემ გაახმიანა):

1) ორპოლუსიანი სისტემის განადგურება; 2) „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან გაშვება ისე, რომ მისი ადგილი „ნაცმოძრაობამ“ არ დაიკავოს. მაგრამ, თუ ახალი მოძრაობის ლიდერები თუნდაც ქვეტექსტში გამოხატავენ მოწიწებას ივანიშვილის მიმართ, ისე როგორც ამას ცოტა ხნის წინათ აკეთებდნენ, ამან მათ რეიტინგზე შეიძლება გამანადგურებელი გავლენა მოახდინოს.

**3 წლის განმავლობაში „გუნდის შიგნით პროტესტი“ ცოტა ღიმილისმომგვრელიცაა და ამას გარდა, საკითხავია: თუკი ვანო ზარდიაშვილი ასეთი ქვეყნის დამაქცევარი და ურჩხული იყო, რატომ გქონდათ პროტესტი მხოლოდ „გუნდის შიგნით“ და რატომ არ აყვირდით მაშინვე: არიქა! „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი უღირს ადამიანებს სვამს საპარლამენტო სიაში და, თუ ის ჩვენს აზრს არ გაითვალისწინებს, „ოცნების“ რიგებს დავტოვებთო?**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კათოლიკური საქორწინო რიტუალის დროს წესია ასეთი: მღვდელი სვამს კითხვას — ხომ არ არსებობს ვინმე, ვისაც აქვს სათქმელი რაიმე არგუმენტი, რომლის გამოც ეს ქორწინება არ უნდა შედგეს? თუ ასეთი არსებობს, თქვას ან ახლავე, ან არასოდეს. ვფიქრობ, ეს უნდა იყოს პასუხისმგებლობის მქონე ადამიანების ცხოვრებისეული კრედოც არა მხოლოდ ქორწინების, არამედ ნებისმიერი ცხოვრებისეული მოვლენის დროსაც. მაგალითად, თუკი მიგაჩნია, რომ გვერდით არის ვინმე უღირსი ადამიანი და შენი მეგობრები ამას ვერ ან არ ხვდებიან, უნდა თქვა ეს ან იმ ადამიანის დანახვისთანავე, ან აღარასოდეს. რა შუაშია ეს ბიძინასთან და „ქართულ ოცნებასთან“? კავშირი საკმაოდ თვალნათელია.**

# ბასა-20-არი 2020, ანუ ეკა ბესელიას ნინობურჯანაძიზაცია

მოდი, დავუსვათ კითხვა ქალბატონ **ეკა ბესელიას:** 2016 წელს, როდესაც ჩაიხედეთ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაში და იქ **ვანო ზარდიაშვილის** გვარი ამოიკითხეთ (სხვებისაც), რატომ დათანახმდით ასეთი უღირსი ადამიანის გვერდით მჯდარიყავით პარლამენტში, თანაც „ერთი და განუყოფელი გუნდის“ ეგიდით?

ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობისას, ბესელია ხან ერთ უაზრობას აბრეხვებს, ხან — მეორეს, მაგრამ მისგან დამაჯერებელთან მიახლოებული პასუხიც კი ვერ მოვისმინე. მტკიცება იმისა, რომ თურმე ამის გამო მას „გუნდის შიგნით ჰქონდა პროტესტი“ — არასერიოზულია. **3 წლის განმავლობაში „გუნდის შიგნით პროტესტი“ ცოტა ღიმილის მომგვრელიცაა და ამას გარდა, საკითხავია: თუკი ვანო ზარდიაშვილი ასეთი ქვეყნის დამაქცევარი და ურჩხული იყო, რატომ გქონდათ პროტესტი მხოლოდ „გუნდის შიგნით“ და რატომ არ აყვირდით მაშინვე: არიქა! „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი უღირს ადამიანებს სვამს საპარლამენტო სიაში და, თუ ის ჩვენს აზრს არ გაითვალისწინებს, „ოცნების“ რიგებს დავტოვებთო?**

ალბათ, არ ესიამოვნებათ „ოცნებიდან“ გაქცეულებს, მაგრამ აქ პასუხი ერთადერთია: ამ ადამიანებისთვის „ყველაფერი კარგადაა“, სანამ თვითონ კარგად ჭამენ; მაგრამ, როდესაც აშკარად ხედავენ ე.წ. კარმუშკის გადაკეტვის საფრთხეს, მაშინ ზარდიაშვილი საფრთხობელა ხდება.

ასეთმა ვითარებამ ადამიანს ისეთი სისულელეც კი შეიძლება ათქმევინოს, როგორიც თქვა, მაგალითად, ეკა ბესელიამ „ტვ პირველის“ ეთერში: **„მე ვებრძოდი ბობოლებს და მაღალჩინოსნებს, ზარდიაშვილის მსგავს დაბალი ფენის შემსრულებლებთან არ მქონია შეხება, ამიტომ 2016 წელს არც კი ვიცოდი, ვინ იყო ზარდიაშვილი, მისი გვარი გაგონილიც კი არ მქონდა, ამიტომაც არ გავაპროტესტე მაშინდელი გამსვლელი საპარლამენტო სია“.** ეს რომ მტკნარი ტყუილია, ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება. ელემენტარულად, ეკა ბესელია იურისტია და გამორიცხულია, თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის უფროსი ვინ იყო 2010-2012 წლებში (მანამდე კი ზურაბ ადეიშვილის მარჯვენა ხელი), არ სცოდნოდა. ზარდიაშვილი, ფაქტობრივად, ყველა სასამართლოს მანდატურების უფროსი იყო და მის წინააღმდეგ 2011 წელს საქალაქო სასამართლოს მანდატურებმა საპროტესტო აქციაც კი მოაწყვეს: ზარდიაშვილი უკანონო დავალებებს გვაძლევსო. ეს არ იცოდა ეკა ბესელიამ? დაუჯერებელია, მაგრამ კეთილი, დავუშვათ, არ იცოდა.

2016 წელსვე, როდესაც გამოქვეყნდა „ქართული ოცნების“ გამსვლელი საპარლამენტო სია, სოციალურ ქსელებში უამრავმა ადამიანმა დაწერა, ვინც იყო ზარდიაშვილი. პირადად ეკა ბესელიასადმი მიმართვებიც გამოაქვეყნეს; მას პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ ვანო ზარდიაშვილის (და სხვების) გვერდით ჯდომა პარლამენტში, თანაც „ერთი გუნდის“ სტატუსით, ძალიან სამარცხვინო იყო იმ ადამიანებისთვის, რომლებიც „ოცნების ძველი გვარდიის“ წარმომადგენლობას იჩემებდნენ და რომლებსაც არაერთხელ განუცხადებიათ, რომ „კოაბიტაცია“ და „ნაცების პორტირება“ მმართველ პარტიაში არაჯანსაღი პროცესია.

სხვათა შორის, მეც გამოვაქვეყნე ასეთი მიმართვა. არც ეკა ბესელიას, არც **გედი ფოფხაძეს,** არც **ლევან გოგიჩაიშვილს** ყურიც არ შეუბერტყავს. არც საკრებულოელ „ოცნებელებს“ — **ვატო შაქარიშვილსა** და **ჯაბა ჯიშკარიანს** ამოუღიათ ხმა. მეტიც — პირადად ეკა ბესელიასგან და სხვებისგანაც პასუხად ჭკუის დარიგება მივიღეთ, — ეს ადამიანებიც ხომ ჩვენი თანამოქალაქეები, ქართველები არიან და რას ვიზამთ, ხომ არ დავხვრეტთო? ეს ცნობილი დემაგოგიური მსჯელობა ახლა რატომ აღარ არის აქტუალური? ახლა გახდა ვანო ზარდიაშვილი „დასახვრეტი“? ჩვენ მაშინვე გავეცით ამ დემაგოგიას პასუხი და ახლაც ვიმეორებთ — არავინ არავის დახვრეტასა და დაპატიმრებას არ ითხოვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოფილი „ნაცები“ პარლამენტში „ოცნების“ სიით შეიყვანოთ! მაგრამ ამის შემდეგ უკვე „ბოლმიანები“, „შურიანები“ და „გაბოროტებულები“ გვიწოდეს, „საკუთარი წარუმატებლობის მძევლები“ და ა.შ.

ეს ყოველივე მეტი დამაჯერებლობისთვის გავიხსენეთ, თორემ ეკა ბესელია და მისნაირნი რომ ხალხის თვალში პოპულისტური განცხადებების კეთებით თვალთმაქცობდნენ და სინამდვილეში დიდად არ აწუხებდათ „კოაბიტაციის“ პროცესი, თუკი თვითონ ექნებოდათ თანამდებობა და ფული, ეს 2014 წელსვე ცხადი იყო.

ფაქტი — 2014 წელს ეკა ბესელიამ გააკეთა არაერთი მკვეთრი განცხადება „კოაბიტაციისა“ და ნაცების აქტივისტთა „ოცნებაში“ პორტირების



**2016 წელს ეკა ბესელიას, გედი ფოფხაძესა და სხვებს მართლაც რომ გამოეთქვათ პროტესტი, მაშინვე რომ წასულიყვნენ «ოცნების» გუნდიდან, როდესაც მეც და ხალხიც ამას მოვუწოდებდით, დაენახვებინათ მართლაც პრინციპული პოზიცია, ფილარმონიასაც გაავსებდნენ და «დინამოს» სტადიონსაც. მაგრამ 3 წელი «იგულავო», გქონდეს იმის იმედი, რომ შენსას მაინც მიიღებ და გაიტან, რომ ვერავინ ვერაფერს გაგიბედავს და ამიტომ ზარდიაშვილის გვერდითაც არხეინად იჯდე და არაფერი განაღვლებდეს, ხოლო 3-წლიანი «თანაჯდომის» შემდეგ, როცა უკვე რეალური საფრთხე დაემუქრა შენს თანამდებობასა და კეთილდღეობას, უცებ «გაგახსენდეს», თურმე ვის გვერდით მჯდარხარ, ამას არავინ აღარ ჭამს, «ძვირფასებო»**

პროცესის წინააღმდეგ. მან ხმამაღლა განაცხადა, რომ „ნაცრეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანების დავიწყება და იმ ადამიანების წამოწევა, რომლებიც რეჟიმს მხარს უჭერდნენ, არ არის სწორი და ეს პროცესი უნდა დასრულდეს!“ ხომ ძალიან კარგი და მომხიბლავი სიტყვებია? ახლა საქმე ნახეთ — ასეთი განცხადებებიდან ოროდე თვეში ეკა ბესელიამ იმ საპარლამენტო კომიტეტში, რომლის თავმჯდომარეც თვითონ იყო, სამუშაოდ მიიწვია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი **ირაკლი მაისურაძე** და მას პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულება ჩააბარა... როგორ მოგწონთ? ან, **იქნებ, ეკა ბესელიამ, ვანო ზარდიაშვილის არ იყოს, არც ის იცოდა, ვინ იყო ირაკლი მაისურაძე და მისი გვარიც არ ჰქონდა მანამდე გაგონილი?**

აი, ასეთია „ოცნებიდან“ უსამართლობის საბაბით გაქცეულთა სიტყვა და საქმე. სწორედ ამის შედეგი იყო კვირას ფილარმონიაში ვერშევსებული დარბაზი და, სავარაუდოდ, „დაიცავი საქართველო“ 2020 წლისთვის ვერც დადებს რაიმე მნიშვნელოვან შედეგს არჩევნებზე, თუ კი იქამდე მიაღწია.

ქართველი საზოგადოება უკვე ძალიან გამობრძმედილია ასეთ საკითხებში, ამიტომ სავარაუდოა, რომ, 2003 წელს რაც „ვჭამეთ“ (თუმცა მე ყველგან ვუსვამ ხაზს, რომ არასოდეს დამიჭერია პირადად მხარი ე.წ. ვარდების რევოლუციისთვის), იმას ისე მარტივად აღარ „ვჭამთ“.

ხალხი კარგად ხედავს, რომ ეს ადამიანები მხოლოდ მაშინ იხსენებენ სამართლიანობას და იმას, ვინ ვინ არის, როდესაც თვითონ მათ ემუქრებათ თანამდებობებიდან მოხსნის ან გუნდიდან გაშვების საფრთხე. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ბიძინას გაცილებით მეტი გულშემატკივარი და მხარდამჭერი დარჩა, ვიდრე იქიდან ვითომ „სამართლიანობის“ მოთხოვნით გაქცეულებს გაჰყვა. კი, ბატონო, უამრავი პრობლემა არსებობს „ქართული ოცნებისა“ და პირადად ბიძინა ივანიშვილის გარშემოც, მაგრამ წერილის დასაწყისში ნახსენები კათოლიკური ქორწინების პრინციპი მაინც მტკიცედ მოქმედებს — ან უნდა გეთქვათ 2016-შივე, ან აღარ უნდა გეთქვათ აღარასოდეს და ბოლომდე ამოდგომოდით მხარში გუნდს.

დარწმუნებული ვარ, **2016 წელს ეკა ბესელიას, გედი ფოფხაძესა და სხვებს მართლაც რომ გამოეთქვათ პროტესტი, მაშინვე რომ წასულიყვნენ „ოცნების“ გუნდიდან, როდესაც მეც და ხალხიც ამას მოვუწოდებდით, დაენახვებინათ მართლაც პრინციპული პოზიცია, ფილარმონიასაც გაავსებდნენ და „დინამოს“ სტადიონსაც.**

მაგრამ 3 წელი „იგულავო“, გქონდეს იმის იმედი, რომ შენსას მაინც მიიღებ და გაიტან, რომ ვერავინ შეგეხება და ვერავინ ვერაფერს გაგიბედავს და ამიტომ ზარდიაშვილის გვერდითაც არხეინად იჯდე და არაფერი განაღვლებდეს, ხოლო 3-წლიანი „თანაჯდომის“ შემდეგ, როცა უკვე რეალური საფრთხე დაემუქრა შენს თანამდებობასა და კეთილდღეობას, უცებ „გაგახსენდეს“ ვის გვერდით მჯდარხარ 3 წლის განმავლობაში, ამას არავინ აღარ ჭამს, „ძვირფასებო“.

საბოლოოდ, ჩემი აზრით, მიმდინარე პროცესს პირდაპირ შეგვიძლია დავარქვათ „ეკა ბესელიას განინობურჯანაძება“, რადგან ნინო ბურჯანაძის შემთხვევაშიც სწორედ ასე მოხდა — 2007 წლის 7 ნოემბერს იგი „რკინის ლედი“ იყო და „მიშას რეჟიმის რეჟიმობას“ ვერ ამჩნევდა. მანამდე **სანდრო გირგვლიანის** გახმაურებულმა მკვლელობამაც ვერ დაანახვა პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს, რომ ნაციონალები ქვეყნისა და სახელმწიფოსთვის საშიშნი იყვნენ. ვერც დევნილებისა და ომის ვეტერანების მიმართ ხელისუფლების წარმომადგენელთა სასტიკმა მოპყრობამ მოულბო გული ქალბატონ ნინოს. მხოლოდ მაშინ, როდესაც **მიშა სააკაშვილმა** კატეგორიულად იუარა ბურჯანაძისთვის სასურველი პერსონების შეყვანა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს გამსვლელ სიებში, მაშინ იხუვლა ნინო ბუჯანაძეში სამართლიანობის დაუოკებელმა მოთხოვნამ და ნაციონალების წინააღმდეგ ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტიის ჩამოყალიბება სცადა...

მანამდე რატომ არ აპროტესტებდით? — ამ კითხვაზე ზუსტად ისეთივე პასუხი ჰქონდა და აქვს ნინო ბურჯანაძეს, როგორიც ეკა ბესელიას, — გუნდის შიგნით ვაპროტესტებდი და გარეთ არ გამომქონდაო. ეს კი, არგუმენტირებული პასუხი კი არა, უკვე ძალიან გაცვეთილი და არადამაჯერებელი თავის მართლება უფროა.

გრიგოლ ოქიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ანდროპოვი ლუბიანკის (სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების შენობა ლუბიანკის მოედანზე მოსკოვში) ისტორიაში პირველი პიროვნებაა, რომელიც პარტიის გენერალური მდივანი გახდა. ის ებრძოდა კორუფციონერებს, ქვეყნიდან აძევებდა დისიდენტებს, შემოიღო სადამსჯელო ფსიქიატრია, ავღანეთში დაიწყო ომი და უზბეკური მაფია კუთხეში მიიმწყვდია. აი სულ ეს არის. საბჭოთა კავშირის ყველაზე იდუმალი მმართველი უმაღლესი ხელისუფლებისკენ თხუთმეტი წლის განმავლობაში მიილტვოდა და მის მწვერვალზე მხოლოდ 15 თვე დაჰყო, სანამ თირკმლების უკმარისობით რეანიმაციის განყოფილებაში არ გარდაიცვალა.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №13, 2019 წ.

# სტალინი და სახელმწიფო

## როგორ მართავდა სტალინი უზარმაზარ ქვეყანას

**1946 წელს ქალაქ გორში საშინელი მკვლელობა მოხდა — ბოროტმოქმედებმა ოჯახი (დედა, მამა, ოთხი შვილი და ბებია) ნაჯახით დაჩეხეს. მკვლელობა ძარცვის მიზნით არ იყო ჩადენილი, სახლიდან არაფერი წაუღიათ, თუმცა არც არაფერი იყო წასაღები. სრულიად აუხსნელ ვითარებაში ჩადენილი ბოროტმოქმედება თითქოს სცდებოდა ჩვეულებრივი კრიმინალური დანაშაულის ჩარჩოებს და საერთაშორისო შურისძიების ეჭვს აჩენდა. შემზარავი მკვლელობის ფაქტი დაუყოვნებლივ სტალინს აცნობეს დაშიფრული ტელეგრამით. ტელეგრამაზე გაჩნდა რეზოლუცია „48 საათის განმავლობაში მოხსენდეს პოლიტბიუროს". დეპეშაზე სტალინის ეს რეზოლუცია სიგნალი იყო, რომ სრულიად განსხვავებულ შემთხვევასთან ჰქონდათ საქმე.**



**ადგილობრივი ლიდერების შვილები ამერიკაში სტაჟირებისთვის მიემგზავრებოდნენ. სწორედ მათი დახმარებით გაიოლდა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი. არკადი ვოლსკის ნაამბობის მიხედვით, რომელიც ელცინის პერიოდში რუსეთის მეწარმეთა კავშირს ხელმძღვანელობდა, 1980 წლების დასაწყისში ანდროპოვის ახალგაზრდა მიმდევრები სერიოზულად ამუშავებდნენ იდეას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი, ნაციონალური რესპუბლიკების ნაცვლად, 41 მულტიკულტურულ შტატად დაეყოთ**

ოპერატიულ საქმიანობაში ჩაერთო დაზვერვა და კონტრდაზვერვა, შინაგან საქმეთა და გზათა სამინისტროები, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების საჭირო შემადგენლობა, ამას ემატებოდა სტალინის პირადი დაზვერვისა და კონტრდაზვერვის, ვინ იცის, რამდენი უძლიერესი სპეციალისტი. ყოველი წუთი უმკაცრეს კონტროლზე იყო აყვანილი. საფიქრებელი იყო, რომ სტალინი ან თავის ხალხს ამოწმებდა ომის შემდგომი საქმიანობისათვის, ან ტერორიზმის საფრთხესთან იყო დაკავშირებული მისი ასეთი სიმკაცრე ამ დანაშაულზე. მკითხველი დაახლოებით მაინც წარმოიდგენს, რა დაძაბულად იმუშავებდნენ სახელმწიფო სტრუქტურები, 48 საათში შედეგი რომ დამდგარიყო. 7 საათი იყო დარჩენილი იმ 48 საათიდან, რომელიც სტალინმა განსაზღვრა პოლიტბიუროს სხდომამდე, რომელზეც შედეგი უნდა განეხილათ, რომ სოჭში, ზღვის სანაპიროზე, 5 დამსვენებელი დააკავეს. დაკავებულებმა აღიარეს, რომ გორში ჩადენილი დანაშაული მათი ჩადენილი იყო. გორში ჩაყვანილმა დამნაშავეებმა, რომელთაგან არც ერთი არ იყო ქართველი, მიაგნეს სახლს, რომელშიც მკვლელობა ჩაიდინეს და ზუსტად მიუთითეს ადგილები, ოჯახის რომელი წევრი სად მოკლეს. პოლიტბიუროს სხდომაზე ოპერაციაში ჩართულ ყველა ორგანიზაციასა და პირს მადლობა გამოუცხადეს, ხოლო სამართალდამცავ ორგანოებს მისცეს მითითება, გამოწვლილვით ჩაეტარებინათ გამოძიება და შედეგიც შესაბამისი დამდგარიყო.

ძვირფასო მკითხველო, ეს ფაქტი იმიტომ გაგაცანით, რომ წარმოიდგინოთ, რა შეუძლია სახელმწიფოს, თუკი ესა თუ ის საკითხი პრიორიტეტად მიაჩნია, სტალინს კი სახელმწიფოში დიდი თუ პატარა საკითხი პრიორიტეტად მიაჩნდა და პირადად აკონტროლებდა მათ შესრულებას. სწორედ ამის გამო ეწოდა მას **ადამიანი-სახელმწიფო და მეფე-მამა.** ამას ვწერ იმიტომ, რომ ადამიანი-სახელმწიფოს მკვლელი დღემდე ვერ დაადგინა სახელმწიფომ. ვერ დაადგინდა თუნდაც ახლახან მოკლული **ზვიად გამსახურდიას** მკვლელი, **ზურაბ ჟვანიასა** და **გურამ შარაძის** მკვლელები — ეს საქართველოს მასშტაბით. ახლა ვნახოთ, რა ვერ დადგინდა და რა ვერ გამოიძია სახელმწიფომ სტალინის სიკვდილის შემდეგ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ადამიან-სახელმწიფოსთან ერთად მოკვდა სახელმწიფოც. გვინდა თუ არა, სტალინის შემდგომდროინდელ საზოგადოებრივ განვითარებას მივყავართ იმ დასკვნისკენ, რომ სახელმწიფო ადამიანი ვერ იქნება, ხოლო ადამიანი შეიძლება იყოს სახელმწიფო. კარგი მეფის ხელში უღარიბესმა ხალხებმა იმპერიები შექმნეს, ხოლო უვარგისი მმართველის ხელში უზარმაზარი იმპერიები დაიშალა. და, **როდესაც თითქმის ყველა დიდი იმპერია დაიშალა, სტალინმა ზუსტად მაშინ დაიწყო იმპერიის აშენება კაციან რუსეთში და ეს ჩამორჩენილი ქვეყანა 30 წლის განმავლობაში ზესახელმწიფოდ აქცია.**

**როგორ დაინგრა სტალინური დიდი იმპერია და რა წყალქვეშა დინებები მიმდინარეობდა სტალინის გარდაცვალების შემდეგ?**

**ხრუშჩოვის** პიროვნების განხილვა და მისი პოლიტიკური წონის განსაზღვრა არ არის ჩვენი კვლევის მიზანი, რადგან ის ფსიქიატრებისა თუ ფსიქოლოგების კვლევის ობიექტი უფროა. ხრუშჩოვი თავისი გამოხდომებითა და სიცრუის ტირაჟირებით ადამიანთა ჯგუფს არ განეკუთვნება. იქნებ ის ამით არის „გამორჩეული" და „გენიოსი"?!

**ბრეჟნევი** — კეთილი, ცრემლიანი ადამიანი. ის კარგი კაცი იყო, მაგრამ არ იყო ადამიანი-სახელმწიფო. სწორედ ბრეჟნევის პერიოდში მომწიფდა ზემძლავრი სახელმწიფოს ღალატის საფუძველი. მისმა სუსტმა ხასიათმა საშუალება მისცა ათასი ჯურის ავანტიურისტებს ქვეყნისა და პარტიის ერთგულ პირად წარმოეჩინათ თავი, სინამდვილეში კი ძირი გამოეთხარათ ქვეყნის ინტერესებისთვის. სწორედ ასეთი ადამიანის ტიპური მაგალითია **იური ანდროპოვი.** მისი პირადი და პარტიული ცხოვრება იდუმალების ბურუსით არის მოცული, აგრეთვე, მისი წარმოშობა და ბავშვობაც კი.

თუ სტალინი თავის ყველა ნაბიჯს დოკუმენტურად ასახავდა და არქივში უნახავდა შთამომავლობას, ანდროპოვს პირადი ცხოვრების არც ერთი ეპიზოდი არ ჰქონდა ისეთი, რომელიც მეორე პირის მიერ იქნებოდა დამოწმებული, მისი მემუარები კი კითხვის ნიშნებს აჩენს ჩვენს საზოგადოებაში.

სტალინს უამრავი მეგობარი ჰყავდა, ანდროპოვს კი, არათუ მეგობრები, თვითონ მეგობრობის გრძნობაც კი არ ჰქონდა. მათ შორის მსგავსება მხოლოდ ის არის, რომ ორივეს მეორე ცოლი ჰყავდა. ორივე ფსიქიკურად გაუწონასწორებელი იყო.

რა ვიცით და გვახსენდება, როდესაც ანდროპოვზე ვსაუბრობთ?

ჩემი მონათხრობი დაეყრდნობა ანდროპოვის თანამედროვეთა და „თანამებრძოლთა" მოგონებებს, რომლებიც სხვადასხვა წყაროსა და მემუარებში მოვიძიე.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ანდროპოვი ბნელით მოცული პიროვნებაა, რომელსაც არ უყვარდა „დოკუმენტების შედგენა" და საარქივო მასალის შექმნა. ანდროპოველები ხომ დოკუმენტებს „საფერფლეებზე წვავდნენ".

**ანდროპოვი** ლუბიანკის (სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების შენობა **ლუბიანკის მოედანზე მოსკოვში) ისტორიაში პირველი პიროვნებაა, რომელიც პარტიის გენერალური მდივანი გახდა. ის ებრძოდა კორუფციონერებს, ქვეყნიდან აძევებდა დისიდენტებს, შემოიღო სადამსჯელო ფსიქიატრია, ავღანეთში დაიწყო ომი და უზბეკური მაფია კუთხეში მიიმწყვდია. აი სულ ეს არის. საბჭოთა კავშირის ყველაზე იდუმალი მმართველი უმაღლესი ხელისუფლებისკენ თხუთმეტი წლის განმავლობაში მიილტვოდა და მის მწვერვალზე მხოლოდ 15 თვე დაჰყო, სანამ თირკმლების უკმარისობით რეანიმაციის განყოფილებაში არ გარდაიცვალა.** უამრავი გაუგებრობისა და თავსატეხის გამო კაგე-ბეს იმჟამინდელი ხელმძღვანელის ნამდვილი ბიოგრაფია მისმა მემკვიდრე ჩეკისტებმაც კი არ იციან სათანადოდ. ბევრი თვლიდა, რომ ის იყო ებრაელი, რომელიც მშობლების შესახებ მონაცემებს საგულდაგულოდ მალავდა. **ბიოგრაფები, რომლებიც ცდილობდნენ, გაეგოთ, თუ ვინ იყო ანდროპოვი, იძულებულები იყვნენ, ყველაზე არასაიმედო წყაროს დაყრდნობოდნენ — ანდროპოვის მემუარებს.**

ანდროპოვი დიდებული კონსპირატორი გახლდათ, არავისთან მეგობრობდა და ჩანაწერებს არ აწარმოებდა. ვერავინ ბედავდა მასზე კომპრომატების მოპოვებას. ანდროპოვის მეტოქეები სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებდნენ, ერთობ საეჭვო ვითარებაში იწამლებოდნენ ან მოულოდნელად იღუპებოდნენ სწორედ იმ მომენტში, როცა კა-გე-ბეს შეფისთვის ეს განსაკუთრებით მომგებიანი იყო. 1976 წლიდან საბჭოთა კავშირს სიკვდილის ეპიდემია მოედო — ათობით ადამიანი დაიღუპა უეცრად. პირველი, ვინც მოულოდნელად გარდაიცვალა, იყო თავდაცვის მინისტრი **ანდრეი გრეჩკო.** იგი ანდროპოვის ოპონენტი იყო. 1956 წლის უნგრეთის ამბოხებისა და 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის რევოლუციის პერიოდიდან იგი ამტკიცებდა რომ ჯარი ვალდებული იყო, ქვეყანა დაეცვა და პოლიტიკაში არ ჩარეულიყო. მარშლის სიკვდილის მიზეზი ვერ დადგინდა. გრეჩკოს სიკვდილის შემდეგ სამინისტროს სათავეში სამხედრო ოფიცერი და ანდროპოვის მრჩეველი **დიმიტრი უსტინოვი** ჩაუდგა. შემდეგი მსხვერპლი იყო ცეკას მდივანი სოფლის მეურნეობის დარგში — **ფიოდირ კულაკოვი.** 1978 წელს ექსპერტიზის შედეგად დადგენილი სიკვდილის მიზეზები გასაიდუმლოებული იქნა. კულაკოვის ადგილი **მიხეილ გორბაჩოვმა** დაიკავა. 1980 წლის ოქტომბერში ავტოკატასტროფაში დაიღუპა ბელორუსიის პარტიული ლიდერი, საბჭოთა კავშირის გმირი **პეტრე მაშეროვი.** მისი კორტეჟი გზაზე მოულოდნელად შეეჯახა სატვირთო მანქანას. ტრაგედია მოხდა ორი კვირით ადრე პლენუმამდე, რომელზეც იგი პოლიტბიუროს წევრად უნდა გამოეცხადებინათ. მაშეროვის ადგილი საბჭოთა კავშირის მომავალმა მესაფლავემ — გორბაჩოვმა დაიკავა, როდესაც ბელორუსიაში მაშეროვის მემკვიდრე **ტიხონ კისელიოვი** უდროოდ გარდაიცვალა (1983 წ.), მინსკში კულისებს მიღმა ალაპარაკდნენ, რომ ანდროპოვს ქვეყნის სათავეში თავისი ხალხის მოყვანა სურდა, რათა ხელისუფლებისთვის ძველი გვარდია ჩამოეშორებინა.

მოგვიანებით ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ: საქართველოს მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელი **ზურაბ პატარიძე**, თურქმენეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **იბრაიმოვი,** ავიაკატასტროფაში დაიღუპა წყნარი ოკეანის ფლოტის ხელმძღვანელობა, მათ შორის, ადმირალი **სპირიდონოვი;** მოულოდნელად გარდაიცვალა მსოფლიოს ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი **ნიკოლაი ინოზემცევი**, ერთადერთი ეკონომისტი, რომელსაც ბრეჟნევი ენდობოდა; 1982 წლის 19 იანვარს ანდროპოვის პირველმა მოადგილემ, სახელმწიფო უშიშროების გენერალმა **სემიონ ცვიგუნმა** თავი მოიკლა, კა-გე-ბეში ისიც ბრეჟნევის დანიშნული იყო; 25 იანვარს კი, სამედიცინო გამოკვლევისას, მოულოდნელად გარდაიცვალა **მიხეილ სუსლოვი,** სსრკ-ის ე.წ.რუხი კარდინალი, რომელიც ცენზურას, კულტურასა და განათლებას ხელმძღვანელობდა. მისი თანამდებობა ანდროპოვმა დაიკავა, სუსლოვის მკურნალი ექიმი კი ერთი თვის შემდეგ ჩამომხრჩვალი იპოვეს. ექვსი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა თანდათანობით დასუსტებული ბრეჟნევის დისკრედიტაცია. საქმე მისი ქალიშვილის ბრილიანტებისადმი დაუოკებელ სიყვარულს ეხებოდა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კი ლეონიდ ილიჩმა დღიურში ჩაწერა, რომ მას უძილობისგან თავის დასაღწევად ანდროპოვმა ყვითელი აბები მისცა. ლიბერალური ტელევიზიების გადაცემებიდან, უკვე სამი ათეული წელია, გვიმტკიცებენ, რომ ეს იყო სრულიად უმნიშვნელო წამალი, რომელსაც ცენტრალური კომიტეტის წევრებისთვის ქვეყნის ლაბორატორიებში აწარმოებდნენ და მოსყიდული ექთნების დახმარებით ისე იფუთებოდა, როგორც საძილე საშუალება. ასე რომ, ზემოთ ჩამოთვლილი სასიკვდილო შემთხვევები ხელისუფლებისთვის ბრძოლის შედე- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელი ზურაბ პატარიძე, თურქმენეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იბრაიმოვი, ავიაკატასტროფაში დაიღუპა წყნარი ოკეანის ფლოტის ხელმძღვანელობა, მათ შორის, ადმირალი სპირიდონოვი. მოულოდნელად გარდაიცვალა მსოფლიოს ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნიკოლაი ინოზემცევი — ერთადერთი ეკონომისტი, რომელსაც ბრეჟნევი ენდობოდა. 1982 წლის 19 იანვარს ანდროპოვის პირველმა მოადგილემ, სახელმწიფო უშიშროების გენერალმა სემიონ ცვიგუნმა თავი მოიკლა; 25 იანვარს კი, სამედიცინო გამოკვლევისას, მოულოდნელად გარდაიცვალა მიხეილ სუსლოვი, სსრკ-ის ე.წ.რუხი კარდინალი.**

◀გი იყო, თუმცა იხოცებოდნენ მხოლოდ ბრეჟნევის მომხრეები, რომლებსაც ანდროპოვის ჩეკისტები დარაჯობდნენ. უწყებების ახალარჩეული ლიბერალი ხელმძღვანელები კი ანდროპოვის საიდუმლოებების გამჟღავნებას არ ჩქარობენ...

**ალან დალესის** გეგმების განხორციელება სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც 1967 წელს, ლუბიანკის სათავეში ჩაუდგა ერთობ ნიჭიერი და პროდასავლელი იური ანდროპოვი. კა-გე-ბეს შეფი, რომელიც 1973 წელს პოლიტბიუროს წევრი გახდა, საბჭოთა კავშირის დაშლის საქმეში ისეთი ფიგურების წინ წაწევას უწყობდა ხელს, როგორებიც იყვნენ **შევარდნაძე, ალიევი, გორბაჩოვი, ელცინი.** მაგალითად, ჰეიდარ ალიევმა თავის იუბილეზე ინტერვიუში ერთი ამოსუნთქვით მოყვა, როგორ დაჟინებით მოითხოვდა ანდროპოვი აზერბაიჯანის ხელისუფლებაში რუსი ეროვნების კანდიდატის ნაცვლად აზერბაიჯანელი კაცი დაესვათ. ამით აზერბაიჯანელთა დისკრიმაციას წერტილი დაესვა და შემდეგშიც მას სულ უფრო ზემოთ, პოლიტბიუროსაკენ მიაქანებდა.

პარტიულ თანამდებობაზე არც ერთი დანიშვნა არ განხორციელებულა კა-გე-ბეს თანხმობის გარეშე. ანდროპოვის მიერ ხელისუფლებაში ჯერ კიდევ 1969 წელს ჩანერგილმა გორბაჩოვმა ცოტა ხნის წინათ აღიარა: „გარდაქმნის წამოწყებისას იმედი მქონდა, რომ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი საბჭოთა კავშირის ინიციატივის წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებდნენ“.

**ვიქტორ კაზნაჩეევი,** რომელიც სტავროპოლის მხარეში გორბაჩოვის შემდეგ მეორე კაცი იყო, თავის უფროსზე წერს: **„ის ჯერ კიდევ იმ დროს წარმოუდგენლად მდიდარი იყო. მაშინ, როდესაც მთელი საბჭოთა ელიტა ისვენებდა, მკურნალობდა და პირად კავშირებს ამყარებდა, სტავროპოლმა სახელი გაითქვა, როგორც ფარული ეკონომიკისა და პოლიტიკური ინტრიგების ბუდემ. დაკვირვებულმა გორბაჩოვმა ანდროპოვს ტომსკის ოლქის პარტიული კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე ეგორ ლიგაჩოვი ურჩია. ასე მიიღო ანდროპოვმა შესაძლებლობა, რომ ყველგან თავისი ხალხი ჰყოლოდა, თვითონ კი ბოლომდე ჩრდილში დარჩენილიყო.**

ეგორ კუზმიჩის მოღვაწეობა ერთ-ერთმა დასავლელმა პოლიტოლოგმა უმაღლესი ნიშნით შეაფასა. ლეგაჩოვის დავალება საოლქო და სამხარეო პარტიულ ხელმძღვანელობას შორის ანდროპოვის რევოლუციის განხორციელება იყო. 1983 წელს პარტიის მდივნების 20 პროცენტი შეიცვალა, მინისტრთა საბჭოსა და ცეკას აპარატში — ხელმძღვანელთა 22 პროცენტი. ამ გადაადგილებებმა ანდროპოვის ახალ მიმართულებას გაუხსნა გზა, მაგრამ საბჭოთა ხალხს ეჭვიც არ გასჩენია, როგორ ჩიხში აღმოჩნდებოდა რამდენიმე წელიწადში. მას არც ინტელიგენციის რეპრესიების ახალი ტალღის შესახებ გამოძახილისა ესმოდა. ადამიანები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ანდროპოვი შერყეული სისტემის გამაგრებას ცდილობდა, თუმცა ზოგჯერ ზედმეტიც მოსდიოდა. მაგალითად, როცა სამსახურის გაცდენისა და დაგვიანებისთვის დასჯის ბრძანებას გასცემდა. მაგრამ მას მაინც აქებდნენ, ბოლოს და ბოლოს, წესრიგს ამყარებდა, თანაც ალკოჰოლური სასმელი გააიაფა. მის პატივსაცემად არაყი „ანდროპოვკაც“ გამოუშვეს. ვერავინ ამჩნევდა, რომ სახელისუფლო სტრუქტურებში ეშმაკებივით ხან გორბაჩოვი გამოხტებოდა, ხან — ელცინი.

„1983 დეკემბრის ბოლოს ანდროპოვმა დამირეკა, — იხსენებდა ლიგაჩოვი, — და მთხოვა, სვერდლოვსკში ელცინის სანახავად ჩავსულიყავი. არ დავმალავ და ვიტყვი, რომ ჩემი ყურადღება მიიქცია ადამიანებთან ურთიერთობისკენ სწრაფვის მისმა სურვილმა, ენერგიულობამ და გადაწყვეტილების მიღების უნარმა. შესამჩნევი იყო, რომ ბევრი პატივსცემით ეპყრობოდა. ელცინი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად ყოველგვარი დახმარების გარეშე აირჩიეს. **ჩუბაისი, კოხი, გლაზევი, გაიდარი, იაკოვლევი, არბატოვი** და სხვა გარდამქმნელები ანდროპოვის ბარტყები არიან. დაახლოებით 1979 წლისთვის ანდროპოვი მივიდა დასკვნამდე, რომ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის პროექტი კრახს განიცდიდა და, რადგან პრობლემას ეკონომიკაში ხედავდა, მისი გადაჭრა ეკონომიკის რეფორმით წარმოედგინა. მისი მიზანი იყო, საბჭოთა კავშირი გადაექცია უზარმაზარ კორპორაციად, რომელსაც უცხოურ საწარმოებთან ერთობლივად ღიად უნდა ემოქმედა. დღის წესრიგში ეკონომიკის დარგში კვალიფიციური სპეციალისტების საკითხი დადგა. ანდროპოვმა შემოწმებული გზით სიარული არჩია. ვინაიდან ქვეყანას სპეციალისტები არ ჰყავდა და ქვეყნის შიგნით არც მასწავლებლები იყვნენ, საჭირო იყო საზღვარგარეთ სწავლება. პარადოქსი სწორედ ის იყო, რომ ისტორიაში პირველად ხდებოდა, რომ სახელმწიფოს მომავალ ლიდერებს განათლება საზღვარგარეთ უნდა მიეღოთ. ეს კი ლენინის ნაკვალევზე სიარულს ნიშნავდა, რომელმაც 1910 წელს საფრანგეთის ქალაქ ლონჟიუმოში მომავალი კომუნისტური ელიტისთვის პარტიული სკოლა შექმნა. ამ გზით **გაიდარის გუნდმა ხუთი ვიცეპრემიერი, რვა მინისტრი და რვა მინისტრის მოადგილე მისცა რუსეთს. ჩუბაისის ლენინგრადულმა წრემ კი — სამი ვიცეპრემიერი, ორი მინისტრი და ხუთი მინისტრის მოადგილე.** ანდროპოვი ისე ფრთხილად თამაშობდა ორმაგ თამაშს, რომ მის სიცოცხლეში ვერავინ ვერაფერს ხვდებოდა, თუმცა სხვა რესპუბლიკებში რუსები მიხვდნენ, რომ საქმე ცუდად იყო. მალე ხელისუფლებაში გორბაჩოვი მოვიდა და მოიტანა თავის ცნობილი ფრაზაც: „პროცესი დაიწყო“.

ანდოპოვმა უშიშროების ორგანოებს ცენტრისგან მეტი თავისუფლება მიანიჭა და ალიევის წარმატების შემდეგ სხვა რესპუბლიკებსაც ნება დართო, ადგილობრივი კა-გე-

**ვიქტორ კაზნაჩეევი, რომელიც სტავროპოლის მხარეში გორბაჩოვის შემდეგ მეორე კაცი იყო, თავის უფროსზე წერს: «ის ჯერ კიდევ იმ დროს წარმოუდგენლად მდიდარი იყო. მაშინ, როდესაც მთელი საბჭოთა ელიტა ისვენებდა, მკურნალობდა და პირად კავშირებს ამყარებდა, სტავროპოლმა სახელი გაითქვა, როგორც ფარული ეკონომიკისა და პოლიტიკური ინტრიგების ბუდემ. დაკვირვებულმა გორბაჩოვმა ანდროპოვს ტომსკის ოლქის პარტიული კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე ეგორ ლიგაჩოვი ურჩია. ასე მიიღო ანდროპოვმა შესაძლებლობა, რომ ყველგან თავის ხალხი ჰყოლოდა, თვითონ კი ბოლომდე ჩრდილში დარჩენილიყო**


ნიკოლოზ II


ლენინი


სტალინი


ხრუშჩოვი


ბრეჟნევი


ანდროპოვი


ჩერნენკო


გორბაჩოვი


ელცინი

ბედან ხელისუფლებაში წარმომადგენლები ჰყოლოდათ. ამის შემდეგ ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად ყველგან კლანური ბრძოლა დაიწყო. **ამერიკაში სტაჟირებისთვის ადგილობრივი ლიდერების შვილები მიემგზავრებოდნენ. სწორედ მათი დახმარებით გაიოლდა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი. არკადი ვოლსკის ნაამბობის მიხედვით, რომელიც ელცინის პერიოდში რუსეთის მეწარმეთა კავშირს ხელმძღვანელობდა, 1980 წლების დასაწყისში ანდროპოვის ახალგაზრდა მიმდევრები სერიოზულად ამუშავებდნენ იდეას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ნაციონალური რესპუბლიკების ნაცვლად 41 მულტიკულტურულ შტატად დაეყოთ.** ანდროპოვის მთავარი მიღწევა, რომელსაც ლიბერალებიც არ უკარგავენ, კორუფციასთან ბრძოლა იყო. ეს ბრძოლა უზბეკეთიდან დაიწყო, პასუხისმგებლობით სავსე რესპუბლიკაში, სადაც სსრკ-ის ორმოცდაორი ერის წარმომადგენელი ცხოვრობდა. რუსი ეროვნების ხალხის რაოდენობა, რომელმაც გიგანტური ევრაზიული სივრცის შეკვრას შეუწყო ხელი და მისი, როგორც კოლონიების, შთანთქმის საშუალება არავის მისცა, 1939-დან 1979 წლამდე საბჭოთა კავშირის მასშტაბით 37 პროცენტით გაიზარდა, უზბეკეთში კი — 120 პროცენტით. უამრავ საქმეში საკმაოდ დიდი წვლილი მებრძოლ **შარაფ რაშიდოვს** მიუძღვის, რომელიც სამარყანდის კლანიდან იყო გამოსული. მან თითქმის საუკუნის მეოთხედში (1959 წლიდან მოყოლებული) ხელისუფლების გარშემო სხვა უზბეკი წარმომადგენლების შემოკრება შეძლო და უფლება არ მისცა, სადავეები ხელში მხოლოდ ერთ ადამიანს ჩაეგდო. **1966 წელს, მიწისძრვამდე, უზბეკეთი აზიის ლიდერი იყო, რაც დასავლეთის სპეცსამსახურებსაც არ დარჩენიათ შეუმჩნეველი. მათ მშვენივრად ესმოდათ, რომ უზბეკეთის სიმშვიდის დარღვევა დიდი რეაქციის გამოწვევას ნიშნავდა, რაც მათ საბჭოთა კავშირის დანაწევრების შესაძლებლობას მისცემდა. რაშიდოვის დისკრედიტაციის გარეშე კი ეს შეუძლებელი იყო.** ანდროპოვის კაგე-ბე რაშიდოვის ფეხქვეშ მიწას 1967 წლიდან ქექავდა. რაშიდოვის დადანაშაულების საფუძველი 1974 წელს იპოვეს, სახელმწიფოსთვის ბამბის ჩაბარებისას ერთ მილიონზე მეტი მაფიის ჯიბეში ილექებოდა. ბრეჟნევი კი რაშიდოვის მიმართ წარმოქმნილ ნებისმიერ წინააღმდეგობას აგვარებდა, ვინაიდან კარგად ესმოდა ამ რეგიონში სიმშვიდის ფასი. უზბეკეთის რესპუბლიკას საქართველოსა და სომხეთთან შედარებით მცირე ინვესტიცია სჭირდებოდა, სამაგიეროდ ქვეყანას მეტ მოგებას აძლევდა. ბამბა — თეთრი ოქრო, რომელსაც სახელმწიფო კაპიკებად იძენდა და 34 ქვეყანაში დოლარზე ყიდდა, საბჭოთა კავშირის ტექსტილის ინდუსტრიას სრულიად უზრუნველყოფდა. ამასთანავე, უზბეკეთის რესპუბლიკა ოქროს მოპოვების მხრივ ქვეყანაში მეორე ადგილს იკავებდა. იქ მოქმედი ყველაზე მსხვილი საწარმო წელიწადში ორმოცდაათ ტონა ოქროს მოიპოვებდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, აგრეთვე, ქვანახშირი, სპილენძი, ნავთობი და აბრეშუმი, რომლებსაც ეს რესპუბლიკა აწარმოებდა. რა თქმა უნდა, კორუფცია არსებობდა, სამაგიეროდ არანაირი სეპარატიზმი არ იყო. ნამდვილი კორუფციული ჭაობი საქართველოსა და აზერბაიჯანში წარმოიქმნა, რომლებიც საბჭოთა კავშირის მთავარ სამოძრაო ცენტრებს წარმოადგენდა. სამოცდაათიანი წლების დასასრულს ანდროპოვის გუნდს ბრეჟნევის დისკრედიტაცია და უზბეკეთში კავკასიური გავლენის გაფართოება უნდა განეხორციელებინა. იმხანად უზბეკეთის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ბევრი სომეხი ეროვნების ადამიანი მოღვაწეობდა, თუმცა სომხური დიასპორა ადგილობრივებთან შედარებით ძალიან მცირერიცხოვანი იყო. გეგმის მიხედვით, ქართველი და სომეხი ეროვნების წარმომადგენლებისთვის საშუალება უნდა მიეცათ, ჯერ რესპუბლიკა, შემდეგ მთელი შუა აზია ფეხქვეშ გაეთელათ. ეს თუ ვერ მოხერხდებოდა, ხალხში დაპირისპირების გამოწვევა მაინც უნდა ეცადათ. 1983 წლის 31 ოქტომბერს მოულოდნელად გარდაიცვალა უზბეკეთის სსრ-ის კომპარტიის პირველი მდივანი რაშიდოვი; 1984 წლის 9 თებერვალს კი ანდროპოვიც მოკვდა, მაგრამ გენერალურმა მდივანმა საბჭოთა კავშირის დასაშლელად საფუძვლის შექმნა მაინც მოასწრო. მისი სიკვდილისთანავე შუა აზიაში, სადაც უკვე ნარკოტიკებზე დამოკიდებული ახალგაზრდობის დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირს აკრიტიკებდა, კლანური ბრძოლები გაჩაღდა. ეს ყველაფერი იმ რუს ადამიანებზე აისახა, რომლებიც თანამდებობას იკავებდნენ. გორბაჩოვის პერიოდში რესპუბლიკაზე შეტევა გაძლიერდა. გლობალისტებს, რაშიდოვის სიკვდილი კი არა, ინტერნაციონალიზმის მარცხი სჭირდებოდათ. 22 ათასი ადამიანი (უზბეკები, რუსები, ბერძნები, ტაჯიკები, თურქმენები, თათრები), სომხების გარდა, თანამდებობიდან დაითხოვეს. ასობით პირი ციხეში აღმოჩნდა. ეველაფერი წარმოუდგენლად ვითარდებოდა, მაგრამ, როგორც კი დაკითხულები მექრთამეობაზე ალაპარაკდნენ, საქმემ რღვევა ზედა ეშელონებიდან დაიწყო.

**(გაგრძელება იქნება)**

უსამართლოდ დავიწყებულნი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებით, ომის დამთავრების შემდეგ გერმანიის ტერიტორიის ნაწილი საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში მოექცა და საბჭოთა ჯარების მიერ იქნა ოკუპირებული. საბჭოთა დიპლომატები არაერთგზის შეეცადნენ გერმანიის მთლიანობის აღდგენას, მაგრამ აშშ და დიდი ბრიტანეთი არ ეთანხმებოდნენ, რადგან თავიანთი სამხედრო ბაზების განსალაგებლად სსრკ-ის საზღვრებთან ახალი ტერიტორიები სჭირდებოდათ. 1949 წლის სექტემბერში აშშ-დიდი ბრიტანეთის ოკუპაციის ზონაში შექმნეს ახალი სახელმწიფო — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. საბჭოთა მთავრობამ პასუხად იმავე წლის ოქტომბერში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოაყალიბა.**



# იუბილე, რომელიც აღნიშვნის ღირსია

დასასრული. დასაწყისი იხ. №11-13, 2019 წ.

**1951 წლის ნოემბერში საქართველოში დააპატიმრეს რიგი ხელმძღვანელი მუშაკებისა. ისინი ბერიას გარემოცვის უახლოეს წრეში შედიოდნენ (ე.წ. მეგრელების საქმე). მათ ბრალად დასდეს ნაციონალიზმი და თურქეთზე ორიენტაცია, მაგრამ ამ საქმის ნამდვილი მიზეზი ლავრენტი ბერია იყო. სტალინი ერთგულ თანამებრძოლს აფრთხილებდა, რომ, დამსახურების მიუხედავად, მას ნებისმიერ დროს თავიდან მოიცილებდნენ: ქვეყანაში შეუცვლელი არავინაა.**

იმხანად ბერიასთვის ხელი არავის უხლია.

**1953 წლის 1 მარტს კუნცევოს აგარაკზე დაცვამ სტალინი იატაკზე უმწეო მდგომარეობაში მყოფი იპოვა. ის ტახტზე დააწვინეს და ტელეფონით თავიანთ უშუალო უფროსს, სახელმწიფო უშიშროების მინისტრ იგნატიევს დაურეკეს. მან ურჩია, რომ ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობას დაკავშირებოდნენ.**

ღამით პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, რომლებიც სტალინთან სხვებზე მეტად დაახლოებულნი იყვნენ (ბერია, მალენკოვი, ხრუშჩოვი და ბულგანინი), სტალინის აგარაკზე სიტუაციის გასაანალიზებლად შეიკრიბნენ. სტალინის შეწუხება ვერ გაბედეს. დაცვის განცხადებით, მას ეძინა. ექიმების მოწვევაზე ლაპარაკიც არ იყო, რადგან სტალინს ისინი მკვლელებად მიაჩნდა. („ექიმების საქმე“) და გარისკვა ვერავინ გაბედა.

მეორე დილით დაცვამ, იმის შიშით, რომ უმოქმედობა არ დაბრალებოდა, კვლავ დარეკა „ზევით“. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო პოლიტბიურომ გადაწყვეტილება ექიმების სტალინთან გამოძახების თაობაზე. დიაგნოზი უმძიმესი იყო — ტვინში სისხლის ჩაქცევა.

4 მარტს გაზეთებში გამოქვეყნდა პირველი ოფიციალური ცნობა სტალინის ავადმყოფობის შესახებ. ეს ნიშნავდა, რომ გამოჯანმრთელების იმედი არ არსებობდა.

**იმავე დღეს ბერიამ და მალენკოვმა მოამზადეს წინადადება ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის შესახებ, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მეორე დღესვე ერთხმად მიიღეს. იქმნებოდა ძალაუფლების ისეთი სისტემა, რომლის დროსაც არავის ექნებოდა უპირობო ლიდერობის პრეტენზია. ცენტრალური კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელობა მიანდეს ნიკიტა ხრუშჩოვს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ანუ მთავრობის მეთაური გახდა გიორგი მალენკოვი, მისი ერთ-ერთი პირველი მოადგილე — ლავრენტი ბერია. მასვე დაევალა შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შესრულება. სტალინის კანდიდატურა არც ერთ ხელმძღვანელ პოსტზე არ განიხილებოდა, იგი ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიუროში ფორმალურად იყო ჩართული.**

**1953 წლის 5 მარტს, 21 საათსა და 50 წუთზე, საშინელი აგონიის შემდეგ სტალინი გარდაიცვალა.**

## ასე აშენებდნენ სოციალიზმს

„ჩვენგან წავიდა ადამიანი, რომელიც ყველაზე უფრო ახლობელი და მშობლიური იყო ყველა საბჭოთა ადამიანისთვის, მსოფლიოს მილიონობით მშრომელისთვის, გარდაიცვალა სტალინი“, — განაცხადა ლავრენტი ბერიამ მავზოლეუმის ტრიბუნიდან ბელადის დაკრძალვის გამო წითელ მოედანზე გამართულ მიტინგზე.

მოგვიანებით გაჩნდა ვერსია, რომ სტალინი მოწამლეს, ხოლო შეთქმულება მის წინააღმდეგ ბერიას მიერ იყო მოწყობილი. ამ ბრალდების არავითარი სერიოზული საფუძველი არ არსებობს, რადგან ბერიას საამისოდ არანაირი ბერკეტი არ გააჩნია.

**სტალინის გარდაცვალების შემდეგ ლავრენტი ბერიას იმ პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების შანსი გაუჩნდა, რომლებიც, სტალინის დებულების თანახმად, ქვეყანაში დიდი ხნის მომწიფებული იყო.**

**შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა კვლავ რომ დაიკავა, ბერია შეუდგა რეაბილიტაციისა და გაყალბებული საქმეების გადახედვას. გამოიცა ბრძანება დაპატიმრებულთა მიმართ იძულებითი და ფიზიკური ზემოქმედების (წამების) აკრძალვის შესახებ. ბერიამ შეიტანა წინადადება მოქალაქეთა უფლებების გაფართოების თაობაზე, კერძოდ, საპასპორტო შეზღუდვების გაუქმებაზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში 1953 წლის 15 მაისს გაგზავნილ წერილში ნათქვამი იყო, რომ ასეთი შეზღუდვები მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობდა.**

**1953 წლის მარტში ბერიამ კიდევ ერთი ინიციატივის განხორციელების საკითხი დააყენა, საქმე ეხებოდა მილიონამდე ადამიანის რეაბილიტაციას. ამნისტიას ექვემდებარებოდა სასჯელმისჯილთა რამდენიმე კატეგორია, მათ შორის იყვნენ ხუთ წლამდე პატიმრობამისჯილები, მცირეწლოვანი შვილების დედები და ორსული ქალები, არასრულწლოვანები, ხანდაზმულები და უკურნებელი სენით დაავადებულები.**

ეს წერილი ბერიამ სამუშაო დოკუმენტის სახით იურიდიული შემადგენლის გარეშე წარადგინა, მაგრამ ერთი დღის შემდეგ გენერალურ პროკურატურასთან და იუსტიციის სამინისტროსთან კონსულტაციის ჩაუტარებლად საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **კლიმენტ ვოროშილოვმა** და პრეზიდიუმის მდივანმა **პეგოვმა** ხელი მოაწერეს ბრძანებულებას ამნისტიის შესახებ. ასეთ აჩქარებას შედეგად მოჰყვა ის, რომ აღნიშნული კატეგორიების პატიმრებთან ერთად გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის დამნაშავეთა დიდი ჯგუფები, რამაც ქვეყანაში დანაშაულის არნახული ზრდა გამოიწვია.

ამ ამნისტიას ხალხმა ვოროშილოვის ამნისტია უწოდა. ბერიას დაპატიმრების შემდეგ ყველაფერი უარყოფითი, რაც ამ ღონისძიებას მოჰყვა, ხრუშჩოვმა ბერიას მიაწერა.

**ქვეყანაში მოქალაქეთა ცხოვრების რეალური დონის შესახებ ბერიამ საბჭოთა ქვეყნის სხვა ხელმძღვანელებზე უკეთ იცოდა: მოუგვარებელი საცხოვრებელი პირობები, პირველი მოხმარების საქონლის ნაკლებობა, გლეხების გაღატაკება. ბერია გამოდიოდა სამხედრო ხარჯების შემცირებისა და ძვირად ღირებული მშენებლობების კონსერვაციის მოთხოვნით. მან წამოაყენა სახალხო მეურნეობის მართვაში პარტიის ჩარევის მინიმუმამდე დაყვანის წინადადება. დაიწყო რესპუბლიკებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ეროვნული კადრების, ანუ მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლების დაწინაურება. ბერია აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო პრობლემების მოგვარებაში. მისი მოთხოვნით დაიწყო მოლაპარაკება ჩრდილოეთ კორეასა და სამხრეთ კორეას შორის მიმდინარე ომის შესაწყვეტად. ბერიამ ასევე დაიწყო იუგოსლავიასთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენაზე ზრუნვა.**

საერთაშორისო პოლიტიკის უმწვავეს საკითხად რჩებოდა დამარცხებული გერმანიის ბედის განსაზღვრა. იალტასა და პოტსტდამში მიღებული შეთანხმებების მიხედვით, იგი უნდა აღმდგარიყო, როგორც ერთიანი სახელმწიფო, რომელიც არც ერთ სამხედრო ბლოკში არ იქნებოდა გაერთიანებული, მაგრამ ისტორიამ სხვაგვარად განსაჯა.

**1953 წელს გერმანია ორად იყო გაყოფილი — აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიებად. ბერია ამ ქვეყნის გაერთიანების მომხრე იყო, თანაც — რაც შეიძლება მალე. მისი აზრით, ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობდა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებული დაძაბულობის განმუხტვას.**

**იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებით, ომის დამთავრების შემდეგ გერმანიის ტერიტორიის ნაწილი საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში მოექცა და საბჭოთა ჯარების მიერ იქნა ოკუპირებული. საბჭოთა დიპლომატები არაერთგზის შეეცადნენ გერმანიის მთლიანობის აღდგენას, მაგრამ აშშ და დიდი ბრიტანეთი არ ეთანხმებოდნენ, რადგან თავიანთი სამხედრო ბაზების განსალაგებლად სსრკ-ის საზღვრებთ-** ▶



სამგლოვიარო საპატიო ყარაულში: ვოროშილოვი, ბერია, მალენკოვი

**ქვეყანაში მოქალაქეთა ცხოვრების რეალური დონის შესახებ ბერიამ საბჭოთა ქვეყნის სხვა ხელმძღვანელებზე უკეთ იცოდა: მოუგვარებელი საცხოვრებელი პირობები, პირველი მოხმარების საქონლის ნაკლებობა, გლეხების გაღატაკება**

**თვითმხილველები აცხადებენ, რომ ბუნკერიდან, რომელშიც თითქოს მოთავსებული იყო პატიმარი, დაკითხვებზე გამოჰყავდათ პირსახოცით სახედაფარული კაცი, რომელსაც ბერიას შლაპა ეხურა. ბევრი მათგანი, ვინც 1953 წლის 29 დეკემბერს ესწრებოდა ლავრენტი ბერიას სასამართლოს, ამტკიცებდა, რომ ცოცხალი ბრალდებული იქ არ უნახავთ. იმ პროცესზე ბერიას ან მის ორეულს ბრალად დასდეს დიდი ბრიტანეთის აგენტობა, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და სხვა დანაშაული**

2002 წლის მაისში რუსეთის ფედერაციის სამხედრო კოლეგიამ ლავრენტი ბერია საბოლოოდ მიიჩნია პირად, რომელსაც რეაბილიტაცია არასოდეს შეეხება. მასობრივ რეპრესიებში თანამონაწილეობამ და ხალხთა დეპორტაციის ორგანიზებამ გადაწონა ყველაფერი, რაც კი მან ქვეყანისთვის გააკეთა: ომისა და ომის შემდგომ წლებში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ატომური ბომბის, ბაქტეოროლოგიური იარაღისა და სარაკეტო-კოსმოსური ჯარების შესაქმნელად მასშტაბური სამუშაოების ორგანიზება, რის გარეშეც საბჭოთა კავშირი ვერ დაამყარებდა სამხედრო პარიტეტს შეერთებულ შტატებთან.

უსამართლოდ დავიწყებული
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 2002 წლის მაისში რუსეთის ფედერაციის სამხედრო კოლეგიამ ლავრენტი ბერია საბოლოოდ მიიჩნია პირად, რომელსაც რეაბილიტაცია არასოდეს შეეხება. მასობრივ რეპრესიებში თანამონაწილეობამ და ხალხთა დეპორტაციის ორგანიზებამ გადაწონა ყველაფერი, რაც კი მან ქვეყნისთვის გააკეთა. მომდევნო თაობებისთვის იგი წარმოდგა, როგორც შურიანი ტირანი, რომელიც სისხლში ახრჩობდა თავის მტრებს



ბელადის იუბილეზე მოსკოვის დიდ თეატრში. პირველ რიგში: მიქოიანი, ბულგანინი, ბერია, მალენკოვი. მეორე რიგში: მაო ძედუნი, სტალინი, სუსლოვი

◀ ან ახალი ტერიტორიები სჭირდებოდათ.

**1949 წლის სექტემბერში აშშ-დიდი ბრიტანეთის ოკუპაციის ზონაში შექმნეს ახალი სახელმწიფო — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. საბჭოთა მთავრობამ პასუხად იმავე წლის ოქტომბერში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოაყალიბა.**

ბერია მთავრობის წევრებს სთავაზობდა საბჭოთა სახელმწიფო სისტემის მასშტაბურ გარდაქმნას. ეს წინადადებები მისი ლიკვიდაციის შემდეგ განხორციელდა.

ბერიას აქტიურობამ შეაშფოთა ხრუშჩოვი და პარტიული ბიუროკრატია. ბერიას ქმედებებსა და განცხადებებში მათ დაინახეს ქვეყნის ხელმძღვანელობაში პირველი ადგილის მოპოვების სურვილი და მისწრაფება. ამასთანავე, ბერია ფლობდა მაკომპრომენტირებელ მასალებს საბჭოთა ლიდერებზე ოციანი წლებიდან მოყოლებული.

ბერია ხრუშჩოვს სერიოზულად არ აღიქვამდა, ხოლო თავისი უახლოესი მეგობრის, გიორგი მალენკოვის, მხრიდან ღალატს აბსოლუტურად გამორიცხავდა.

მაგრამ ხრუშჩოვმა, რომელიც განსაკუთრებულად გასაიდუმლოებულ პირობებში ამზადებდა შეთქმულებას ბერიას წინააღმდეგ, მალენკოვის გადაბირება შეძლო.

თავდაცვის მინისტრმა ბულგანინმა არმიის მხარდაჭერა უზრუნველყო. მარშალი ჟუკოვიც შეთქმულთა მხარეს დადგა.

ლავრენტი ბერიას დაპატიმრება და სიკვდილი დღემდე გაურკვეველია. ოფიციალური ვერსიით, 1953 წლის 26 ივნისს ბერია საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე დასასწრებლად მიიწვიეს. მას ბრალად დასდეს ბურჟუაზიული გადაგვარება და სახელმწიფო გადატრიალების მომზადება. ხრუშჩოვის მიერ მიცემული ნიშნისთანავე სხდომათა დარბაზში შევიდა შეიარაღებული სამხედროების ჯგუფი. ბერია დააპატიმრეს და მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის მიწისქვეშა ბუნკერში გამოამწყვდიეს, სადაც იგი ნახევარი წლის განმავლობაში სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდა.

ბევრს არ სჯერა, რომ მართლაც ასე იყო. ფიქრობდნენ, რომ იგი დაპატიმრებისთანავე მოკლეს. სხვა ვერსიით, დააპატიმრეს არა კრემლში, არამედ მის სახლში, მალაია ნიკიტსკაიას ქუჩაზე. ბერია დახვრიტეს მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის ბუნკერში სასიკვდილო განაჩენის გამოტანამდე დიდი ხნით ადრე.

## დიდი ფარსი სასამართლოს სახით

ბერიას საქმეში ბევრი უცნაურობა და შეუთავსებლობაა. მაგალითად, მისი დაპატიმრების დადგენილება გამოწერილია 1953 წლის 8 ივლისს, ანუ დაპატიმრების ოფიციალური თარიღიდან 12 დღის შემდეგ. სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ არის ბერიას ფოტოსურათები და მისი თითების ანაბეჭდები, რაც საბჭოთა საქმის წარმოებაში აბსოლუტურად დაუშვებელი რამ იყო. არ არის პირში წაყენების არც ერთი ოქმი, არც ერთ დოკუმენტზე არ არის ბერიას ხელმოწერა.

**თვითმხილველები აცხადებენ, რომ ბუნკერიდან, რომელშიც თითქოს მოთავსებული იყო პატიმარი, დაკითხვებზე გამოჰყავდათ პირსახოცით სახედაფარული კაცი, რომელსაც ბერიას შლაპა ეხურა. ბევრი მათგანი, ვინც 1953 წლის 29 დეკემბერს ესწრებოდა ლავრენტი ბერიას სასამართლოს, ამტკიცებდა, რომ ცოცხალი ბრალდებული იქ არ უნახავთ. იმ პროცესზე ბერიას ან მის ორეულს ბრალად დასდეს დიდი ბრიტანეთის აგენტობა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და სხვა დანაშაული.**

მაგრამ ამ სასამართლო სხდომამდე დიდი ხნით ადრე, ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ხრუშჩოვმა იგი ავანტიურისტად და დიდ ინტრიგანად მონათლა, დამსწრეთ შეახსენა მისი საქმიანობა მუსავატელთა კონტრდაზვერვაში და შემდეგ განაცხადა: „მოხერხებულობა, თავხედობა და ურცხვობა ბერიას ძირითადი თვისებებია“.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს მხარი აუბეს ცენტრალურმა გაზეთებმა. პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, რომელმაც ააფორიაქა საბჭოთა მოქალაქეები: ბერია თითქოს ძალადობდა ქალებზე და არც არასრულწლოვან გოგონებზე ამბობდა უარს. მოარული ხმების მიხედვით, შინსახკომის თანამშრომლები მათ მოსკოვის ქუჩებში იჭერდნენ და მინისტრთან შინ მიჰყავდათ.

მორალური გახრწნის ბრალდება ხალხში სწრაფად გავრცელდა და სხვა ბრალდებებთან შედარებით ყველაზე ცხოველუნარიანი აღმოჩნდა.

სუსტი სქესი ბერიას მართლაც უყვარდა, მაგრამ ეს შეხვედრები ორმხრივი თანხმობით ხდებოდა...

ბერიას დაპატიმრების შესახებ ცნობის გამოქვეყნების მეორე დღესვე ვინმე **ვალენტინა დროზდოვამ** პროკურატურაში განცხადება შეიტანა. იგი ჩიოდა, რომ ოთხი წლის წინათ, როცა 16 წლისა იყო, ბერიამ გააუპატიურა.

როგორც შემდეგ გაირკვა, დროზდოვა წლების განმავლობაში ბერიას საყვარელი იყო, მათ გოგოც შეეძინათ, პროკურატურას კი იმიტომ მიმართა, რომ შეეშინდა, არ წაერთმიათ შვილი, რომლის მამაც სახელმწიფო დამნაშავედ გამოაცხადეს. სასამართლო ასეთი დეტალებით არ დაინტერესებულა — მცირეწლოვანების გახრწნა, რომელიც ბერიას წაუყენეს, დამტკიცებულად ითვლებოდა.

ბერიას ცოლი **ნინო გეგეჭკორი** და მისი ვაჟი **სერგო** ლეფორტოვოს ციხეში გამოამწყვდიეს. არც ერთ მათგანს ახლობელი ადამიანის წინააღმდეგ ჩვენება არ მიუცია. ასე მოიქცნენ ბერიას უახლოესი თანამებრძოლებიც, რომლებიც, რა თქმა უნდა, დააპატიმრეს.

1953 წლის 24 დეკემბერს გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა მასალა ბერიასა და სხვების სისხლის სამართლის ბრალდებით გასამართლების შესახებ. პუბლიკაციაში ჩამოთვლილი იყო ბერიასა და კიდევ 6 ბრალდებულის დანაშაულები და ქვეყნდებოდა განაჩენი — დახვრეტა. მუქი შრიფტით იყო დაბეჭდილი: „განაჩენი აღსრულებულია“.

სად არის დამარხული ბერია, დღემდე არავინ იცის. ოფიციალურად ითვლება, რომ დონის ახალი სასაფლაოს ერთ-ერთ საერთო სამარხში არის დაკრძალული, მაგრამ გვამის კრემაციის დამადასტურებელი ცნობა არსად ჩანს.

1952 წელს გამოვიდა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-5 ტომი, რომელშიც დაბეჭდილი იყო ბერიასადმი მიძღვნილი სტატია მისი პორტრეტით. 1954 წელს დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ხელმომწერებმა მიიღეს წერილი რედაქციისგან: მათ დაბეჯითებით ურჩევდნენ, მაკრატლით ამოეჭრათ ბერიასადმი მიძღვნილი გვერდები და ჩაეწებებინათ სხვა გვერდები, რომლებიც იმავე წერილით იყო დაგზავნილი.



ბერია, მალენკოვი, მოლოტოვი, სტალინი წითელ მოედანზე

ხრუშჩოვის მმართველობის წლებში პრესასა და ლიტერატურაში გამოქვეყნებული მასალებით ბერიას დემონიზება მოხდა, მას, როგორც მთავარ დამნაშავეს, დაბრალდა ყველა მასობრივი რეპრესიის განხორციელება. იმ ეპოქის ყველა ცოდვა მას აჰკიდეს.

**2002 წლის მაისში რუსეთის ფედერაციის სამხედრო კოლეგიამ ლავრენტი ბერია საბოლოოდ მიიჩნია პირად, რომელსაც რეაბილიტაცია არასოდეს შეეხება. მასობრივ რეპრესიებში თანამონაწილეობამ და ხალხთა დეპორტაციის ორგანიზებამ გადაწონა ყველაფერი, რაც კი მან ქვეყნისთვის გააკეთა: ომისა და ომის შემდგომ წლებში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ატომური ბომბის, ბაქტეოროლოგიური იარაღისა და სარაკეტო-კოსმოსური ჯარების შესაქმნელად მასშტაბური სამუშაოების ორგანიზება, რომლის გარეშეც საბჭოთა კავშირი ვერ დაამყარებდა სამხედრო პარიტეტს შეერთებულ შტატებთან.**

**დაივიწყეს გულაგში რეჟიმის შერბილება, უსამართლოდ მსჯავრდებულთა პირველი რეაბილიტაციებიც და საბჭოთა კავშირის მმართველობის სისტემის დემოკრატიზაციის მცდელობაც.**

**მომდევნო თაობებისთვის იგი წარმოდგა, როგორც შურიანი ტირანი, რომელიც სისხლში ახრჩობდა თავის მტრებს.**

## ბოლოთქმის ნაცვლად

„საქართველო და მსოფლიოს“ ეს პუბლიკაცია (ჩვენმა მკითხველმა, რა თქმა უნდა, შენიშნა) კომპილაციური მასალაა, ამიტომ თქვენთვის წარმოდგენილი საგაზეთო ვერსიის დასკვნითი აბზაციც ამ მიმოხილვაში გამოყენებული ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომის ავტორისეული უნდა იყოს, ცხადია.

**ბორის სოკოლოვი** 2003 წელს მოსკოვში გამოცემული თავისი წიგნის „ბერია: ყოვლისშემძლე სახალხო კომისრის ბედი“ წერს: **„ბერია, ალბათ, არ არის მშობლიური თუ მსოფლიო ისტორიის ყველაზე სიმპათიური პერსონაჟი, მაგრამ არასიმპათიურებსაც აქვთ უფლება, ჰქონდეთ ობიექტური ბიოგრაფია... მსურდა, ამომეხსნა „ლუბიანკის მარშლის“ სულიერი საიდუმლო — განიცდიდა თუ არა სინდისის ქეჯნას მაშინ, როცა უდანაშაულოებს ხვრეტდა, როცა ქმნიდა XX საუკუნის ყველაზე უფრო დამანგრეველ იარაღს, ეცოდებოდა თუ არა თავისი მსხვერპლი... რა მიზანს ემსახურებოდა. მინდოდა, მომეთხრო ჩემი გმირის როგორც ბოროტ, ასევე კეთილ საქმეთა შესახებ; ვცდილობდი, არ მიმეჩქმალა არც დანაშაულობანი, არც გამარჯვებები. მკითხველმა კი განსაჯოს, ლავრენტი ბერიას საქმეთაგან რომელი გადაწონის ისტორიის სასწორზე“.**

ქართული საგაზეთო ვარიანტი უცხოეთის ტელეფილმების, წიგნებისა და პუბლიკაციების მიხედვით მოამზადა

**არმაზ სანებლიძემ**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამჟამად საქართველოს, დიმიტრი თავდადებული კი არა, გიორგი ბრწყინვალე სჭირდება, რათა პოლიტიკოსებად წოდებული, ნატომანიით შეპყრობილი ვაიქართველების მიერ გრდემლსა და უროს შორის მოყოლილი, დასაღუპავად განწირული საქართველო იხსნას ევროამერიკული ჯადოქრის საბედისწერო ტყვეობიდან.**


გივი სომხიშვილი

# ევროამერიკელი ჯადოქრის ტყვეობაში

**აღზევებულ ლიბერასტ ბლენძებს ევროპელთა რეკომენდაციებად წოდებული დავალებებით როკვა, ხალხს კვნესა-გოდებად რომ უჯდება, წარმატება ჰგონიათ. ამგვარი განცხრომის ნაყოფს აუცილებლად გაუსინჯავენ გემოს, რადგან ხალხის არაფრად ჩაგდება და მისი ინტერესების დაწიხვლა ჰარაკირის ტოლფასია. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ლოზუნგით საქართველო ღრმად ჩაეეფლო ევროამერიკელი ჯადოქრის მაგიაში. უკეთესი მომავლის მოლოდინში ქვეყანა დიდი იმედით ხვდება ყველა ახალი ხელისუფლების მოსვლას, რასაც იმედგაცრუების მწარე სინანული მოსდევს. პოლიტიკად წოდებულ წინასწარგამიზნულ დაპირებას, რომელსაც ევრო-ამერიკული ჯადოქრის აღვირი აქვს ამოდებული და უბედურებისკენ ერეკება ყოველ სასიკეთო მცდელობას, როდემდე შეუძლია გულუბრყვილოთა შეცდენა?!**

ახალფეხადგმული ეროვნული ხელისუფლება სისხლისღვრით რომ დაამხეს და **შევარდნაძის** მუხანათობით შეცვალეს, არ ვიცოდით, შევარდნაძის ნაკვალევზე მხოლოდ ღალატისა და ბოროტების ნარეკალი რომ ხარობდა?! ახლა თუ ვინმეს შეატყვეს ერის სასიკეთოდ გაბრძოლება, ევროამერიკელი ჯადოქარი სასწრაფოდ შეცვლის მას თავისი ერთგული ქაჯიშვილით.

**„მოქალაქეთა კავშირის“ გახრწნილი სხეულიდან აღმოცენებული „ნაციონალური მოძრაობა“ ეროვნულად სასიკეთო ნაყოფს რომ არ გამოისხამდა ბოროტებითა და ღალატით გამდიდრებული ნიადაგიდან, ამის გამოცნობას წინასწარმეტყველი სჭირდებოდა?!** ხალხის ნდობას მოფრთხილება უნდა, რადგან მრისხანებამ უნდობლობად გადაქცევა იცის და ნდობის მეორედ მოპოვების მცდელობა ციდან ვარსკვლავის მოწყვეტის ტოლფასია. შევარდნაძის სამარცხვინო მმართველობის შემდეგ ხალხი ნდობითა და იმედით შეხვდა „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელმაც შემდეგ, აღვირახსნილი ძალადობის გამო, სიძულვილი და ზიზღი დაიმსახურა.

საქართველოდან გაქცეულები მტაცებლის ბოროტი ყმუილით, აქ დარჩენილებთან ერთად, კვლავ იწევენ ხელისუფლების სადაავებისკენ და, მიუხედავად მათი ევროატლანტიკელი მფარველების დიდი ძალისხმევისა, ქართველი ხალხისგან იმას მიიღებენ, რასაც იმსახურებენ. მეოთხედ საუკუნეზე მეტია, ევროატლანტიკელი ჯადოქრის მაგიის ტყვეობაში მყოფმა ქართველმა ხალხმა იმდენი უბედურების სამსალა იგემა, რომ შავის თეთრად მოჩვენების ჯადო ძველებურად აღარ ჭრის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ევროატლანტიკური კურსის ქებით მზეს აბნელებენ. ხოლო, თუ ვინმე რამე სასიკეთოს თქმას შეეცდება, რაც ევროატლანტიკურ ჯადოქრობაში არ ჯდება, ავი ნაგაზებივით დაესევიან. როგორ შეიძლება, დაარწმუნო მწყემსი, რომ მგლები ცხვრებს დაიცავენ, თუ მან თავისი თვალით იხილა მგლების მიერ ცხვრის ფარის გაწეწვა?! **წლებია, რაც ამერიკის აღვირამოდებული თავისუფლებით მივყვებით ნატოში შესვლის ილუზიას და ვერ ვხვდებით, ეს რომ ილუზიაა. ამდენი ხნის განმავლობაში ამას ის გოშიაც მიხვდებოდა, რომელსაც ლუკმის მიგდების იმედით დათვის გასაღიზიანებლად აყეფებენ.** ნატოში შესვლის ბედნიერების სიყალბით თავბრუს გვახვევენ ევროამერიკელი გოშიები. **ვინ ჰკითხავს ნატოს კარის გახსნა- დახურვას, როცა ამერიკას ჯაჭვზე ჰყავს გამობმული და თავის ხუშტურზე ავი ძოფაკივით მიუქსევს მას, ვისაც მოისურვებს?!** ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** საქართველოში ყოფნისას კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ, გაგვახარა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. მადლობა გადაგვიხადა დიდი სამხედრო კონტინგენტით მათ მისიებში მონაწილეობისთვის. **ამ ნატოს იმედი გვაქვს, ჩვენი ხელით რომ უნდა ნარის გლეჯა?! რამდენიც უნდა ეცადონ ნატოსთვის სიკეთისა და სამართლიანობისთვის მებრძოლის ნიღბის მორგებას, ბოროტი ჯადოქრის სახეს მაინც ვერ დაფარავენ.**

ეს ის ნატოა სერბეთის მშვიდობიანი მოსახლეობა ვანდალური დაუნდობლობით რომ დაბომბა, სერბეთი დაშალა და მისი ნაწილები დამოუკიდებლად გამოაცხადა; ამით სათავე დაუდო წართმეული ტერიტორიების დამოუკიდებლად გამოცხადების ფარსს. ააოხრა ერაყი, ლიბია, სირია, ხოლო აწიოკებული მოსახლეობა ევროპის ქვეყნებს შეესია. თუ სამართალი და დემოკრატიაა, ჰააგის ტრიბუნალში განსასჯელის სკამზე პირველი **ჯორჯ ბუში** უნდა დამჯდარიყო. ფაშისტებმა პოლონეთში შეჭრის საბაბით საკუთარი გლიაივიცკის რადიოსადგური დაარბიეს და პოლონელებს დააბრალეს. ბრიტანელებმა კი **სკრიპალების** მოწამვლა რუსებს დააბრალეს, შედეგად დასავლეთის რამდენიმე ქვეყნიდან რუსეთის საელჩოს თანამშრომლები გააძევეს. სასაცილო იყო ამ ალიაქოთში საქართველოს მონაწილეობა. სკრიპალები საღ-სალამათები არიან. ეტყობა, ევროპელები რუსოფობიისგან ვერ გაკურნა ვერც ნაპოლეონიზმისა და ვერც ჰიტლერიზმის საწინააღმდეგო ვაქცინამ და ახლა ამერიკელთა დირიჟორობით რუსეთის საზღვრებთან საომარ როკვას არიან აყოლილნი. ევროპელებს, რაც უნდათ, ის უქნიათ, მაგრამ ვაი, რომ პოლიტიკოსებად წოდებული თვალთმაქცები ამ როკვის ავანგარდში საქართველოს ითრევენ. უცხოეთიდან გულუხვად დაფინანსებული ზნედაცემული ლიბერასტების შემოტევას ქართულ ზნეკეთილობაზე საზღვარი არ აქვს. საქართველოს ევროპისკენ სწრაფვა სხვა არაფერია, თუ არა ლიბერასტული გარყვნილების რელსებზე ქართველთა შეყენების მცდელობა. კაცთმოყვარე, რაინდული, საამაყო ეროვნული ტრადიციები ქართველი ხალხის გენში შეზრდილია, რომელსაც ევროამერიკული ლიბარასტული მაგიის ტყვეები უზნეოთა უტიფრობით ებრძვიან.




**თუ სამართალია, ჰააგის ტრიბუნალის საბრალდებო სკამზე სააკაშვილი და მისი ბანდის წევრები უნდა ისხდნენ. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზა კი რუსეთზე გადის, რომელიც ევროამერიკულმა ჯადოქრებმა შლაგბაუმით გადაკეტეს და ყარაულად თავიანთი ცერბერი – «ნაციონალური მოძრაობა» მიუჩინეს, რათა მისი გაღება არავინ სცადოს**



ფაშიზმმა გერმანელთა ერთი ნაწილის მოწამვლა შეძლო და ისინი დაისაჯნენ. გერმანელი ხალხი საშინელი განსაცდელის ფასად განიკურნა. ფაშიზმის ჯადოქრების ამოშანთვა კი ჭკუის სასწავლებლად უნდა ჰყოფნოდა ყველა ეშმაკეულს, თუნდაც ევროატლანტიკური გარყვნილების მქადაგებელთ, რომელთა თავხედობა სულ უფრო აუტანელი ხდება. რაც უნდა გახანგრძლივდეს, ყველა ბოროტებას დამსახურებისამებრ მიეზღვება. სპეტაკი და სხივნათელი ბედნიერი მომავლის ცივილიზაცია სათანადო ადგილს მიუჩენს ყველა ბოროტებას.

კოშმარშიც კი არავის დაესიზმრება ისეთი გარყვნილება, რაც ერთი და იმავე სქესი პირთა შორის ქორწინების დაკანონებას ახლავს. საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატამ მიიღო დადგენილება დედისა და მამის ნაცვლად მშობელი №1 და მშობელი №2-ის შემოღებაზე. **ევროატლანტიკური ჯადოქრობის ძალაზე მეტყველებს გათხოვილი მამაკაცების მინისტრობა. არც ასეთების პრემიერობა და პრეზიდენტობაა უკვე გასაკვირი. ყველა ჯურის სქესობრივი სიბილწით დაავადებულთა საზოგადოებისგან იზოლაციის პირობებში მკურნალებაა საჭირო, რათა სხვებიც არ წაბიოლწოს საზიზღარი გარყვნილებით.**

**უამრავ მტერთან ბრძოლით საუკუნეებს გამოვლილმა ქართველმა ერმა რა სახის მუხთლობას არ გაუძლო, მაგრამ, ამჟამად რაც ხდება, ყველა ერთად შეკრებილ უბედურებაზე საზარელია.** სექსუალური მანიაკების ალლუმის მოსაწყობად ევროპელთა დავალებების მონა ლიბერასტებს კბილები უკაწკაწებთ. ამ ბილწთა მსვლელობის ზიზღით შემხედვარეთა დასჯით ფრთაშესხმულები თამამად შეგრიალდებიან ევროპაში.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

**გივი სომხიშვილი,**
მწერალი




**აქ მისულს აუცილებლად თვალში მოხვდება წითლად შეღებილ რკინის კარზე ფლომასტერით მიწერილი 30 (უთუოდ — სარგებლობის ფასი) და იქვე მიწებებული თაბახის თეთრი ფურცლის ნაგლეჯზე, მთვრალი თუ არა, ფეხარეული ასოებით გამოყვანილი მრისხანე გაფრთხილება: „მუქთა არ დაიშვება“.**

ვიდრე ჰხვალ?
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**და აკაკი წერეთლის სახელობის პროსპექტი იწყება, სადაც ქართველების საფიცარი მგოსნის დიდებული ძეგლი დგას, ერთ, სრულიად არაპრესტიჟულ ობიექტზე ერთი დამსახურებული კაცი მუშაობს.**
**რათა ერთი?**
**იმიტომ, რომ მეტი საჭირო არ არის...**

# იქ, სადაც ბაზრობა მთავრდება




მიკედლებულები

დაინტერესებულხართ ოდესმე ბაზრობაზე მოვაჭრეთა ბიოგრაფიებით? ალბათ, არა, რადგან იმ სივრცეში შესულთა ერთადერთი საფიქრალი საქონლის ფასია: ერთი მხარისთვის — სარფიანად გაყიდვა, მეორისთვის — იაფად შეძენა.

ვინმე გონიერი (და შეძლებული) რომ დაინტერესებულიყო, უნიკალურ მასალას შეაგროვებდა გამოჩენილი პიროვნებების ამერიკული ენციკლოპედიის მსგავსი ქართული კრებულის გამოსაცემად — „ვინ ვინ არის“ ან „ვინ ვიყავით და რანი გავხდით“.

ვაჭარბებ? რა თქმა უნდა.

მაგრამ — არც მაინცდამაინც...

იქ ერთადერთი პრინციპი ბატონობს: „იყიდე — გაყიდე!“

Купи - продай! — ვინ მითხრა?

**გურამ ასლამაზაშვილმა**, რომელიც ზემოთ ნახსენებ ობიექტზე მუშაობს — საერთო სარგებლობის ფრიად საჭირო და აუცილებელი დაწესებულება — WC-ში, ანუ საპირფარეშოს დირექტორიცაა და მომსახურე პერსონალიც, ერთპიროვნული მმართველიც და ერთადერთი დაქირავებულიც — სტატუსების შეთავსების უნიკალური მაგალითი!..

ფიცრულის კედელში გაჭრილი სარკმლის რაფაზე 50-თეთრიანი გორგალი უდევს და მომსვლელს ავტომატიზმამდე დახვეწილი მოძრაობით მოუხევს „სტანდარტული“ სიგრძის ტუალეტის ქაღალდს:

— ინებეთ!

კლიენტების მომსახურების ერთადერთი ფორმა ესაა:

— ინებეთ! ინებეთ! ინებეთ!

ზრდილობიანად და მოწიწებით.

ეს ელემენტარული სერვისი ისეთი უშუალობით ხორციელდება, რომ უხერხულობა, რომელიც ინტიმური ქმედების გასაჯაროების გამო ბუნებრივად უჩნდება აქ მისულ კაცსა თუ ქალს (უმეტესად), უცებვე ქრება.

მეტი არც არაფერია საჭირო.

**მართალია, საქართველოში არსებობენ ისეთი კატეგორიის შემოქმედნი, რომელთაც მაინცდამაინც ტუალეტში ეწვევათ მუზა, ე.წ. უბორნიის პოეტები, რომლებსაც მაქსიმალური კომფორტის მოთხოვნილება აქვთ, მაგრამ ისინი აქ არ მოდიან, რადგან საკუთარი, კეთილმოწყობილი „ჩეჩმები“ გააჩნიათ, ეს ერთი, და, მეორე, ბანკების დაწესებული პრემიების მიღებით არიან დაკავებულები. ხოლო ამ ჯილდოებს, მოგეხსენებათ, სუნი არ უდის.**

**სული ყარს!..**

აქ მისულს აუცილებლად თვალში მოხვდება წითლად შეღებილ რკინის კარზე ფლომასტერით მიწერილი რიცხვი 30 (უთუოდ — სარგებლობის ფასი) და იქვე მიწებებული თაბახის თეთრი ფურცლის ნაგლეჯზე, მთვრალი თუ არა, ფეხარეული ასოებით გამოყვანილი მრისხანე გაფრთხილება: „მუქთა არ დაიშვება“. როგორც ელექტროგამანაწილებელ ჯიხურებზე მიკრული ტრაფარეტი: „ფრთხილად, სასიკვდილოა!“

რას ნიშნავს, ადვილი მისახვედრია, რატომ დაიწერა, ამის გარკვევის მცდელობით დაიწყო ჩემი ნაცნობობა ბატონ გურამ ასლამაზაშვილთან.

— მაშინ ეს სკვერი ბაზრობას ჰქონდა დაპყრობილი. ლოთები იყრიდნენ აქ თავს. შემოდიოდნენ და ერთ თეთრსაც არ იხდიდნენ — ფული არ გვაქვსო. მუქთაზე იყვნენ. ვეუბნებოდი, ერთი ჭიქით ნაკლები დალიეთ და გექნებათ-მეთქი. არ გაჭრა, მაშინ „გავაოფიციალურე“ ჩემი მოთხოვნა და განცხადება გავაკარი. არ უშველა. „დოკუმენტი“ დარჩა.

არაფრისმთქმელი, ისეთივე ზედმეტი, როგორიც თავად ასლამაზაშვილი აღმოჩნდა სახელგანთქმული УВМ („უვე-ემის“) ქარხნის დახურვის შემდეგ, რომელშიც ათ წელიწადს იმუშავა ჯერ ელექტრომემონტაჟედ, შემდეგ — უბნის უფროსად, ბოლოს მე-7 საამქროს უფროსად.

გამომთვლელი მანქანების ეს საწარმო საბჭოთა კავშირში მოქმედი შრომის განაწილების პრინციპით გარკვეულ დეტალებს ამზადებდა ატომური ელექტროსადგურებისთვის. სხვა დეტალები სხვაგან კეთდებოდა და საბოლოოდ სადღაც, რომელიღაც გასამხედროებულ „საფოსტო ყუთში“ იღებდა საბოლოო პროდუქციის სახეს.

**აქვე ვთქვათ, რომ იმ დროს ქართველი სპეციალისტების მიერ შემუშავებული ატომური ელექტროსადგურების 12-დონიანი დაცვის სისტემა დღეს უთანამედროვეს ატომურ ელექტროსადგურებშია დამონტაჟებული.**

**დაიხურა ქარხანა და უმუშევრები დარჩნენ აქ დასაქმებული მაღალკვალიფიციური მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მათ შორის — გურამ ლამაზაშვილიც.**

ქარხნამდე, სადაც მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მივიდა, ბალტიისპირეთში, ელგავის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში ჩააბარა მისაღები გამოცდები. მამა მეფუტკრე ჰყავდა და მეფუტკრეობის მეურნეობაც ჰქონდათ. მომგებიანად ამუშავებდნენ, მაგრამ, მხედრიონის დრო რომ დადგა და ყაჩაღობა დაიწყო საქართველოში, ფუტკრის 150 ოჯახი ჩააბარეს პატრონს, რომლისგანაც იჯარით ჰქონდათ აღებული, იძულებული გახდა, აკადემიისთვისაც თავი დაენებებინა...

ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭივით იზრდებოდა. მაგრამ მაინც გამორჩეულად — ბევრისთვის საოცნებო 35-ე სკოლაში სწავლობდა — ფეხბურთელთა აღზრდის სპეციალიზებულ სკოლაში, ლეგენდარულ „ტრიდცადპიატიში“.

ნაძალადეველია.

(**ვოვა გუცაევმა**, ქართული ფეხბურთის ოქროს ხანის „დინამოს“ ფლანგზე თამაშის ვირტუოზმა, ერთ-ერთ ინტერვიუში მითხრა: „ფეხბურთი ღარიბების თამაშია. ხელმოკლე ოჯახებიდან არიან **ტიერი ანრი, ზიდანი, პელე, მარადონა, კრუიფის** დედა „აიაქსის“ კლუბში დამლაგებლად მუშაობდა... ნაძალადევი თბილისის ღარიბი უბანი იყო ყოველთვის. ნაძალადევიდან არიან **მიშა მესხი, ზაურ კალოევი, მე, ძმები მაჩაიძეები, საშა ჩივაძე,** რამდენიც გინდა!“).



**სატიტულო ერის წარმომადგენელს — გურამ ასლამაზაშვილს ისე გაუხდა საქმე, რომ იძულებულია, ტუალეტში იმუშაოს. WC-ში, საზოგადოებრივი სარგებლობის საპირფარეშოში, რომელიც თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სატრანსპორტო პარკის დროიდან შემორჩენილია იქ, სადაც დღეს ბაზრობა მთავრდება**

— ცხონებული **შუდრა** გვავარჯიშებდა (**დოროხოვის** შემდეგი თაობის მეკარე) — განაგრძობს გურამი, — ტრიკოტაჟის კომბინატის სტადიონზე ვვარჯიშობდით. მაჩაიძესთან მითამაშია, მის ძმასთან, დათო ყიფიანთანაც. მითამაშია რა — უფროსები იყვნენ, დავდევდით სტადიონზე და გვიხაროდა. **საშა ჩივაძე** ჩვენგან **ვოვა ელოშვილთან** გადავიდა. „დინამოს“ მეორე ნომერი იყო ვოვა, შემდეგ ცნობილი მწვრთნელი გახდა.

— მარჯვენა კრაი ვიყავი (გარემარბიო, — გადმომითარგმნა)... ახლა „ბარსელონას“ ვბალელშჩიკობ, მესის (ვგულშემატკვრობო, —ესეც გამოასწორა. ნეტავი ჩვენი მთავრობის წევრებიც ასე იცავდნენ ქართული ენის სიწმინდეს).

მიხეილ მესხის სახელობის ქუჩაზე ცხოვრობს ნაძალადევის უბანში. უწინ „პრავდის“ ქუჩა რომ ერქვა, იქ.

ნაძალადეველია-მეთქი, გითხარით და რა გასაკვირია, თუ უმუშევრად დარჩენილი იმ უბნიდან რკინიგზაზე გადასასვლელი ხიდით ბაზრობაზე გადმოვიდა და აქ შეეცადა ცხოვრების თავიდან დაწყებას.

ჯერ მანქანის ნაწილებს ჰყიდდა.

— ბაზრობა ქუჩაში იყო გამოსული. მერიდებოდა, ვინმეს რომ არ ვეცანი, სომბრერო თვალებამდე მქონდა ჩამოფხატული. თანდათან შევეჩვიე და ფართო ფარფლები შევჭერი.

მაგრამ ის კოოპერატივი („ნინო-91“), ავტონაწილებით რომ ვაჭრობდა, დაიშალა. ვერ ივარგა მისმა დაარსებულმა შემნახველმა საკანმაც. აღარავის დაჭირდა. ახლა, ხომ ხედავთ, სადაც ვარ და, ვითომც არაფერი, ვმუშაობ.

ორი შვილი ჰყავს. ორივე — უმაღლესი განათლებით. ორივე უმუშევარი. აქ ნაშოვნი კაპიკები რას ეყოფა და ბოჭორიშვილის სახელობის ინფექციურ საავადმყოფოში მორიგედ მსახურობს.

მაინც არაფერი გამოდის...

წარმოშობით ახალციხელია.

— ჩემი პირველი გვარია გოგებაშვილი. სოფელ გოგაშენში იყვნენ დასახლებული ჩემი წინაპრები. მთაში. მაღლა. ასე ვიცი გადმოცემით. იქიდან ბოლნისის რაიონის სოფელ რატევანში ჩამოსულან. დაობლებული მამაჩემი პაპამ გაზარდა — ილია ასლამაზაშვილმა. ვენაცვალე იმის სულსა. თავის გვარზე გადაიყვანა. ასე გავხდი ასლამაზაშვილი. ბევრჯერ მითხრეს, დაიბრუნე შენი გვარიო. მაგრამ, რა ვიცი, არ გადავედი.

**მოკლედ, სისხლითა და ხორცით, სულითა და კაცობით ქართველია, მაგრამ ეს თურმე არავითარ უპირატესობას არ ანიჭებს მშობლიური დედაქალაქის მკვიდრს, რადგან თბილისის თავკაცობა საააკაშვილის დროიდან მოყოლებული, სოვდაგარ მაკარ ტყუილკოტრიაშვილის პრინციპით ხელმძღვანელობს: „იყიდე — გაყიდე!“**

**ქარვასლაა!**

რომლის სამოქმედო პრინციპი ძალიან ჰგავს მარქსის ფორმულას — „საქონელი — ფული — საქონელი“. საქონელი თბილისია, ჩვენ შემთხვევაში, ყოფილი პლეხანოვის პროსპექტი, აქედან — ორ ნაბიჯში (ღარიბების მაღაზიების ქსელში არ აგერიოთ), სარფიანადა მიყიდული ჩამოთესლილი უცხოტომელებისთვის, რომლებსაც თავიანთი კაფეებით, სასადილოებით, „სულთნის რესტორნებით“, მარკეტებით და ა.შ. სრულად (ან თითქმის სრულად) აქვთ ანექსირებული თბილისის ეს ტრადიციული უბანი.

ხოლო სატიტულო ერის წარმომადგენელს გურამ ასლამაზაშვილს ისე გაუხდა საქმე, რომ იძულებულია, ტუალეტში იმუშაოს. WC-ში, საზოგადოებრივი სარგებლობის საპირფარეშოში, რომელიც თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სატრანსპორტო პარკის დროიდან შემორჩენილია იქ, სადაც დღეს ბაზრობა მთავრდება.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. „ვინც არ იცის, საით უნდა წავიდეს, ძალიან გაჰკვირდება, იქ რომ არ აღმოჩნდება“ (საითაც მიდიოდა), — წერს სამუელ ლენგჰორნ კლემანსი.**

**ვინ იყო კლემანსი, ჩვენმა განათლებულმა მკითხველმა იცის. ვისაც დაავიწყდა, გადაშლის ენციკლოპედიას და გაიხსენებს. ვინც არ იცის და არც აინტერესებს, ის დღემდე დარწმუნებულია, რომ ამქვეყნიური სამოთხისკენ მივდივართ ნაბოძები „ისტორიული პრივილეგიის“ — უვიზო რეჟიმის — წყალობით.**

**მივყვებით ამ გზას და, როგორც ზემოთ მოხმობილ ციტატაშია ნათქვამი, ძალიან გვიკვირს, რომ იქ არ აღმოვჩნდით, საითაც მივისწრაფოდით.**

**„ვიდრე ჰხვალ?“**

**სამუელ ლენგჰორნ კლემანსს კი მსოფლიო მარკ ტვენად იცნობს.**

**ა.ს.**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „სადღაა ქართული ენა? ქართველობა გათავ-თავდა, მამული – აგრეთვე, სადღა გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის?“

**მამული!**

**„ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თვითეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს“. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ჩვენთვის ის ტკივილი, რომელმაც დიდ ილიას ეს სიტყვები ათქმევინა, რამეთუ საფრთხის წინაშე დღესაც დადგა ქართული ენის შენარჩუნება და, ცხადია, ქართული სახელმწიფოს არსებობაც...**

**შეიძლება მავანმა დამამუნათოს: ენას ვინ გვართმევს, პირიქით — „ვამდიდრებთ“ ახალ-ახალი სიტყვებითა და ტერმინებითო...**

**როგორ?**

**აი როგორ: გაიარეთ თუნდაც დედაქალაქის ქუჩებში, უამრავ აბრას ნახავთ არა მხოლოდ უცხოენოვანი წარწერით, არამედ ქართული ასოებით დაწერილი უცხო სიტყვებით (ალბათ, ეს — მათთვის, ვინაც უცხო ენაზე წერა-კითხვა არ იცის). ასე რომ, ყველაფერი გათვალისწინებულია ჩვენი ერის „განსანათლებლად“.**

**და ასე „გამდიდრებულ“ ენაზე საუბრობენ, ორატორობენ თუ წერენ ის „თანამედროვე“ ადამიანები, რომელთათვისაც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ ყავლი გაუვიდა. მაპატიეთ, ალბათ, ვადაგასული უნდა მეთქვა, აბა, რაღა დროს „ყავლია“?!**

**იმედს ვიტოვებ, რომ ბრძოლას ჩვენი ენის სიწმინდის დასაცავად ყავლი (მაინც ასე ვიტყვი!) არასოდეს გაუვა და ჩემს მკითხველს ამჯერად 14 აპრილს — ქართული ენის დღეს — მივულოცავ და თან 1876 წელს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილ ილიას წერილს შევთავაზებ.**

## «სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ?»




„მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება – ეგ ჭირთაჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა – მთელის ხალხისა და მთელს ხალხს — თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა — დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია, და ყოველში ყველა არის.

**ჩვენში? ჩვენშიაც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰქონია თურმე. იცი როდის? როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყევარში ერთად ბმულა.** ახლაო, მკითხავ, მკითხველო? ნუთუ მაგას კითხვა-ღა უნდა? განა შენ თითონ არ იცი, რომ ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თვითეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, — ბინასა, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია. სადღაა მამული? **ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც ზედ მოსდევს: განვთვითეულდით, და რამოდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძლურია და პატარა, იმოდენად თვითეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძლურდა, დაპატარავდა. ჩვენს დაფუყებულს და შევიწროებულს გონებას სადღა შეეძლო ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა?** მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა — მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვანად შემოწმებული; მამულის სიმაგრე — ტყრუშული ღობეა, ვენახ გარეშემო შემორტყმული; მამულის პატივი — ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის-შვილობა — მხვნელისა და მთესველის სახელიღაა.

ზღვა კოვზით არ დაილევაო, ნათქვამია. აი თუ არ დაილევა, სად არის მამულის ყოვლად-მპყრობელი, ვრცელი, ფრთა-გასაშლელი მნიშვნელობა?

განვიმეორებ, **განვთვითეულდით და თვითეულის ზურგმა ველარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდია.** თვითეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ველარ იტვირთა.

რაღა უნდა გვექნა ამის შემდეგ? ავიღეთ და მთელი მამული, ერთიანი ჩვენი ბინა დავყავით, გავინამცეცეთ თვითეულის ღონის კვალობაზედ ასე, რომ ზიდვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენის ქონდრის-კაცობისათვის და დაპატარავებულს ტვინშიაც მოთავსებულიყო. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა, და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი „მამული“ დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივენით, და ჩვენი ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტივეთ; დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი; **დიდი „მამული“ დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ, და აქაც გავამართლეთ ჩვენის რუსთაველის სიტყვა: ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო.**

თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი, თავთავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმან საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა, ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ველარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა.

**ეხლა, ჩემო მკითხველო, შენ შენს კერძო მამულზედ სწუხხარ და სტირი, მე ჩემს კერძო მამულზედა, ყველას გაცალკევებული, საკუთარი და კერძო ნაღველი გვაქვს, როგორღა მივუყენებთ ერთმანეთს აზრსა?** რადგანაც ვიცით, რომ ველარ მივუყენებთ ერთმანეთს აზრსა, ამიტომაც სალაპარაკოდაც აღარ შევყრილვართ. ან სალაპარაკოდ რიღასთვის უნდა შევყრილიყავით? ლაპარაკი აზრის აღებ-მიცემობაა. მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, საერთო აზრის აღებ-მიცემობა გაგვეწივა. რაკი შენ იმერლობა დაირქვი და მე კახელობა, მე შენთან სალაპარაკო აღარა მაქვს-რა და შენ — ჩემთან; რაკი შენ შენს სახნავს მიწას და ერთობ შენს უძრავს ქონებას შენი მამული დაარქვი და მე ჩემსას — ჩემი, მე შენთან საერთო მოსაფიქრებელი აღარა მაქვს-რა, და შენ — ჩემთანა.

ამიტომაც დავშორდით ჩვენ ერთმანეთსა, შენ იქით წახველ და მე აქეთ წამოვედი, და მას აქეთ მე და შენ ერთად აღარ გვილაპარაკნია. დიდის ხნის ულაპარაკობამ, როგორც აზრით, ისე სიტყვითაც, ერთმანეთს დაგვაშორა. ერთიერთმანეთის სიტყვას ყური გადავაჩვიეთ: შენ ჩემი სიტყვა ან სულ არ გესმის და, თუ გესმის, შენებურად გესმის, მე კიდევ შენი სიტყვა ჩემებურად მესმის.

ამიტომაც ქართველი ველარავის გვიცვნია, **თუმცა კი ყველანი ქართულად ვლაპარაკობთ. რათ მოხდა ესე? იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ ყოველსფერში გავთავ-თავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავთავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საქმის ნიშანია, გათავთავდა.** ამიტომაც ჩვენი ენა კილოიანი გახდა, იგავიანი, ორპირი შეიქმნა ასე, რომ ერთ და იგივე სიტყვას მრავალგვარი აზრი მიეცა. აბა რა გითხრა იმისთანა, რომ შენ კილო არ გამოაბა? მ ი ი რ თ ვ ი ც რომ გითხრა, ამ კარგს დარბაისლურს სიტყვას, თუ მოინდომებ, ცუდად ჩამომართმევ, თუ ნამეტნავად ზოგიერთა კაცის გულის გარყვნილებაში შენც წილი ჩაგიდვია.

შ ე მ ო ბ რ ძ ა ნ დ ი რომ მითხრა, ხომ კაი სიტყვაა, ეგ ჩემზედ ჰკიდია, საწყენად მივიღო თუ სალხენად. აი აქ „ჰ კ ი დ ი ა“ ვიხმარე და შენც ათასჯერ ხმარობ, მაგრამ ვშიშობ, რომ მაგ სიტყვას ერთმა ბრიყვმა ვინმე თავისის წამხდარისა და გარყვნილის გონების აზრი არ მიაწეროს.

**სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ?** გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა? თუნდ რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინღა სთხოვს? ჩვენ თითონ დავცალიერდით გუდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებიღა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. **სხვა რისთვის გვინდა ენა? საერთო სახელი ქართველი კერძოობითად გავხადეთ, მამული დანეხვილ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, პატივი — ნეხვად, თავი — გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?**

## «სხვა რისთვის გვინდა ენა? საერთო სახელი ქართველი კერძოობითად გავხადეთ, მამული დანეხვილ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, პატივი — ნეხვად, თავი — გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?»

ჩვენ რომ ერთი-ერთმანეთს გადუდექით, თავი შევიკეტეთ ჩვენს პატარა ხუხულაებში და ერთი-ერთმანეთს აღარ გაველაპარაკენით, რასაკვირველია, ენაც დაგვიმუნჯდებოდა და დაგვიკოჭლდებოდა. მეტყველების ნიჭს ისეთი ვარჯიშობა უნდა, როგორც ყველაფერს სხვას. **მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრებაა. ჩვენ განკერძოვების შემდეგ გონებითად აღარ გვიცხოვრია და რადგანაც ენას მაინც პირში ტოკვა უნდოდა ჩვეულებისამებრ, ავიღეთ და უაზრო ხმები, რომელიც ჩვენი ხუხულაების გარეშემო პირუტყვის ბუნებაში ისმოდა, ენის სალაქლაქო ქართულ სიტყვებად ვაქციეთ, და მადლობა ღმერთსა, დღევანდლამდე ამგვარის სიტყვებით იოლად მივდივართ.**

ამიტომაც პირუტყვ-ბუნების ხმის მსგავსის სიტყვებით აივსო ჩვენი ენა, და დახე, თუ ერთი გონებითი აზრის მცველი სიტყვა ემატნა. მაგალითები ათასია: ფრიალი, კრიალი, ბრიალი, პრიალი, გრიალი, ქრიალი, ღრიალი, ჭრიალი, ხრუტუნი, ღრუტუნი, სრუტუნი, წრუტუნი, ჟრუტუნი, ფრუტუნი, და ათასი ამისთანით აივსო აზრმოკლებული, უნიადაგო ჩვენი უბედური ენა. სადღაა ქართული ენა? ქართველობა გათავ-თავდა, მამული — აგრეთვე, **სადღა გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის?** კიდევ იმას ვიტყვი, რაც ზემოთა ვსთქვი: მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, რომ ერთმანეთის აზრის აღებ-მიცემობისათვის საერთო მნიშვნელობის სიტყვა და ენა შეგვექმნა? შენ შენთვისო, მე ჩემთვისო, ძმებმა ერთმანეთს ვუთხარით, ცივად ერთმანეთს თავი დავუკარით, უცრემლოდ ძმა ძმას გამოვესალმენით, უკანასკნელი საერთო სიტყვა „მშვიდობით“ უკანასკნელადღა ვახსენეთ, შენ იქით წახველ და მე — აქეთ, თვითვეულად, თავ-თავად, და ვინ იცის, როდისღა შევხვდებით ერთმანეთს, რომ კიდევ ძმური, ერთიანი, განუყოფელი ქართული „გამარჯვება“ მითხრა შენ — მე, და მე — შენ, ჩემო დაკარგულო ძმაო თუ დაო!.. ***(დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“, 1876 წ., 14 მარტი, №27).***

**P.S. დღეს „სადღა გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის?“**

**აი ეს არის საკითხავი.**

**დღეს საქართველოს კანონმდებლობა ყველა კომპანიასა თუ ორგანიზაციას ავალდებულებს, დაწესებულების აღმნიშვნელი აბრა თუ ბანერი აუცილებლად იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე. დასაშვებია უცხო ენაზე შესრულებული აბრაც, თუმცა ერთ-ერთი ენა ქართული აუცილებლად უნდა იყოს. ამ საკითხს არეგულირებს ორი კანონი: „საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ“ და „საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“.**

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის»





















**დღეს საქართველოს კანონმდებლობა ყველა კომპანიასა თუ ორგანიზაციას ავალდებულებს, დაწესებულების აღმნიშვნელი აბრა თუ ბანერი აუცილებლად იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე. დასაშვებია უცხო ენაზე შესრულებული აბრაც, თუმცა ერთ-ერთი ენა ქართული აუცილებლად უნდა იყოს. ამ საკითხს არეგულირებს ორი კანონი: „საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ“ და „საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“.**

**სარეკლამო ბანერები არაქართულ ენაზე სახელმწიფო ენის შესახებ კანონის დარღვევაა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ირღვევა, სახელმწიფო დეპარტამენტი უძლურია — მას რაიმე სანქციების გამოყენების უფლება არ აქვს! ის მხოლოდ აღრიცხავს და აფრთხილებს კანონის დამრღვევებს!**

კანონის თანახმად, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი წარწერები სახელმწიფო ენაზე უნდა გაკეთდეს. არასახელმწიფო, მათ შორის ეროვნული უმცირესობების ენებზე წარწერების წარმოდგენის განრიგს ენის სახელმწიფო დეპარტამენტი ადგენს და ამტკიცებს.

კანონი სახელმწიფო ენის შესახებ ამტკიცებს ქართული ენის საკონსტიტუციო სტატუსს, ადგენს მისი გამოყენებისა და დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს სახელმწიფო და არასახელმწიფოებრივი ენების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

**თითქოს ყველაფერი მშვენივრადაა აწყობილ-დალაგებული — ენის სახელმწიფო დეპარტამენტი აკონტროლებს, რომ სარეკლამო წარწერები ქართულ ენაზე იყოს.**

**და წერია კიდეც ბევრ ადგილას, მაგალითად: ვინდამ გრანდი, ანდერგრაუნდი, მუთლუ, სერფ ენ ფრაისე, ართთაიმი, სპარი, ნეილ ბიუთი...**

**ნუთუ ამ წარწერებზე შეიძლება თქვა: ქართულენოვანიაო?!**

სარეკლამო ბანერები არაქართულ ენაზე სახელმწიფო ენის შესახებ კანონის დარღვევაა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ირღვევა, სახელმწიფო დეპარტამენტი უძლურია — **მას რაიმე სანქციების გამოყენების უფლება არ აქვს! ის მხოლოდ აღრიცხავს და აფრთხილებს კანონის დამრღვევებს!**

**კომიკური სიტუაციაა, მაგრამ როგორ გინდა, ამაზე გაიცინო?!**

**რა გაგაცინებს, როდესაც თბილისის ცენტრში ქართული ენა იგნორირებულია?!**

არსებობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 ივნისის დადგენილება, რომლის შესაბამისად, მერია დედაქალაქის იერ-სახის, რეკლამისა და აბრის განთავსების დარღვევის ფაქტების გამოვლენას და მათ კანონმდებლობასთან შესაბამისობას აკონტროლებს. თუ როგორ სრულდება ეს დადგენილება, ვცადეთ, ფოტოკოლაჟის სახით წარმოგვედგინა, რასაც ძალიან მარტივად და სწრაფად გავართვით თავი, რადგან მსგავსი ბანერების ძებნაში დრო არ დაგვიკარგავს, ისინი ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე უამრავია.

**„მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის“** და „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული ენაა“, ამიტომ ილიას მიერ დაარსებული „ივერია“ ქართული ენის უფლებებისთვის ხმალამოწვდილი იბრძოდა. „ივერიას“ დაარსებიდანვე ცხარე პოლემიკა მოუხდა ქართული ენის მტრებთან, ინდიფერენტულ ადამიანებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან და მაღალი რანგის „ჩინოვნიკებთან“, მაგრამ არავისთვის არაფერი შეურჩენია, არასოდეს უკან არ დაუხევია. ეს ბრძოლა არც ერთი წუთით არ შეუწყვეტია. ის ბოლომდე ერთგული დარჩა სიჭაბუკის დევიზისა — ჩვენ დედაენის შებღალვას მშობელ დედასაც არ ვაპატიებთო.

დღეს ჩვენ უნდა ავიღოთ ეს პასუხისმგებლობა და ისევე დავუდგეთ ქომაგად მშობლიურ ენას, როგორც ილია და მისი თანამებრძოლები.

მივუბრუნდეთ ისევ ისტორიას: ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის თეზისი, რომ ენის კანონმდებელი ხალხია და სალიტერატურო ენა ხალხის მეტყველებას უნდა დაუახლოვდეს, ბევრმა უკუღმართად გაიგო, ხოლო „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ პროცესმა ცალმხრივი მიმართულება მიიღო; 70-იან წლებში კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა; დიალექტიზმების უკონტროლო, კანონს დაუქვემდებარებელმა მოზღვავებამ ენაში ქაოსი წარმოშვა. სამწუხაროდ, ამ მხრივ ცუდი როლი ითამაშეს „დროებამ“, „იმედმა“ და „მნათობმა“, რამაც საბაბი მისცა ძველი თაობის ისეთ ქურუმებს, როგორებიც იყვნენ გრიგოლ ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი, ხმა აღემაღლებინათ ქართულ სალიტერატურო ენაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის წინააღმდეგ.

მათ ცოცხალი მაგალითებით წარმოუდგინეს მკითხველს, რა განსაცდელში ჩავარდა **„სალიტერატურო ქართული ახალი პატრონების ხელში“,** რომლებიც არავითარ წესსა და კანონს, არავითარ გრამატიკას არ სცნობდნენ.

ილია ჭავჭავაძეს პასუხი არ გაუცია მათთვის, ძირითადად, უთუოდ იზიარებდა გრიგოლ ორბელიანის შენიშვნებს. მასში თანდათან მწიფდებოდა ის აზრი, რომ აუცილებელი იყო 1861 წელს დაწყებული საქმის გაგრძელება, დაშვებული შეცდომების გამოსწორება, ახალი სალიტერატურო ენის პრობლემათა პრაქტიკულად გადაწყვეტა.

ილიამ პირველი ნომრიდანვე მწვავედ დააყენა სალიტერატურო ენის პრობლემა და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, პრაქტიკულად გვიჩვენა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნიმუშები.

მოწინააღმდეგეებმა პირველი ნომრიდან ცხარე კამათი გაუმართეს რედაქტორს. ამტკიცებდნენ, **„უფალ ჭავჭავაძეს ეხლა ალბათ შეშინებია იმ მიმართულების, რომელიც თვითონვე დაამყარაო. „ივერიის“ პირველ ნომერში ის უკან დახეულა ძველ მწიგნობრულ ენისკენ“.**

აშკარაა, რომ ამ აზრის მომხრეებს მართებული წარმოდგენა არ ჰქონიათ სალიტერატურო ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოების არსზე. მოზღვავებულ დიალექტიზმებს, პროვინციის ანარქიულ მოძალებას შეკავება ესაჭიროებოდა. „ივერიას“ სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, ამითაც გამართლებული იქნებოდა მისი არსებობა.

სალიტერატურო ენის გარშემო კამათმა ბევრი მტერი გაუჩინა „ივერიას“ და პირადად ილია ჭავჭავაძეს. მოწინააღმდეგეები პროვინციალიზმებით დანაგვიანებულ „უგრამატიკო ენას“ უწოდებდნენ „ახალს“, ხოლო კანონებს დაფუძნებულ, ერთიან სალიტერატურო ენას — „ძველს“.

„ივერია“ უკომპრომისოდ ებრძოდა პროვინციალიზმს. „საყმაწვილო ჟურნალში სრულიად არ უნდა ჰქონდეს ხელი პროვინციალიზმებს, ენა უნდა იყოს წმინდა ქართული, ლიტერატურული“ (მ. ნასიძე). „პროვინციალიზმი მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს ენაში, როდესაც რომელიმე საგნის ცნება არ მოიპოვება სალიტერატურო ენაში“ (სტ. ჭრელაშვილი).

ილია ჭავჭავაძემ ყველაფერი იღონა იმისათვის, რათა „ივერიას“ არა მარტო თეორიულად დაეცვა ერთიანი სალიტერატურო ენის პრინციპები, არამედ შემოქმედებითი პრაქტიკითაც დაემტკიცებინა მისი უპირატესობა, დაემკვიდრებინა იგი ყველა ჟანრში. ილია პირადად ასწორებდა თითოეულ მასალას და, როგორც ს. მგალობლიშვილის, ი. მანსვეტაშვილის, ა. ახნაზაროვის, გ. ლასხიშვილისა და სხვათა მოგონებებით ირკვევა, ხშირად რამდენიმე საათს ანდომებდა ერთი პატარა წერილის გასწორებას.

ილია ჭავჭავაძეს არ აკმაყოფილებდა ქართული ენის მეცნიერული შესწავლის არსებული მდგომარეობა და „ივერია“ დაჟინებით მოითხოვდა ქართული გრამატიკის შექმნას. ამ ამოცანებს ემსახურებოდა რედაქციაში დაწესებული „ხუთშაბათობები“, რომელთაც პირადად ილია უძღვებოდა.

სალიტერატურო ენის განვითარების, დაცვისა და დამკვიდრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა „ივერიის“ მხატვრულ-ლიტერატურულ ნაწარმოებებს. ილიამ „ივერიის“ კარი ფართოდ გაუღო სამაგალითო მოქართულეებს: აკაკი წერეთელს, ალექსანდრე ყაზბეგს, ივანე მაჩაბელს, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ლომოურს, სოფრომ მგალობლიშვილს, ეკატერინე გაბაშვილს, იონა მეუნარგიას, გრიგოლ ყიფშიძესა და სხვებს.

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## სამი «არა» და ორი «კი»

**ამერიკელი მომღერალი არ კელი (რობერტ სილვესტრ კელი) კვლავ დააპატიმრეს, ამჯერად ყოფილი ცოლისთვის ალიმენტის გადაუხდელობის გამო, იუწყება CNN კუკის ოლქის შერიფის (ილინოისის შტატი) განცხადების დამოწმებით.**

გავრცელებული ინფორმაციით, 2009 წლის 8 იანვარს საოლქო სასამართლომ დაავალდებულა მომღერალი, ყოფილი ცოლისთვის გადაეხადა ალიმენტები 20,8 ათასი დოლარის ოდენობით. არ კელი სასამართლოს იმ სხდომაზე არ გამოცხადებულა და, ეტყობა, არად ჩააგდო ვერდიქტი. 2018 წლის თებერვლისთვის გადაუხდელი ალიმენტების ოდენობამ 169 ათას დოლარს გადააჭარბა.

საოლქო სასამართლომ დაავალა არ კელის, 6 მარტამდე დაეფარა დავალიანება. ამიტომ იგი კვლავ დააპატიმრეს. უწინ არ კელი უკვე იჯდა ციხეში პედოფილიის ბრალდებით, მაგრამ გაათავისუფლეს მილიონი დოლარის გირაოს სანაცვლოდ.

არ კელი სასამართლოში არ გამოცხადდა, ალიმენტის დავალიანება არ დაფარა, ციხეში კი მეორედ აღმოჩნდა.



## ექვსი ახალგაზრდა წყვილი საჯაროდ გაროზგეს დაქორწინების გარეშე სექსისთვის

**ასეთი ეგზეკუცია ინდონეზიაში ბრბოს წინაშე განხორციელდა. ბანდა-აჩეხში, რომელიც კონსერვატული მაჰმადიანობის პროვინციის დედაქალაქია, ექვსი წყვილი, რომლებიც ოფიციალურად არ იყვნენ დაქორწინებულები, მეჩეთის წინ, მოედანზე გამოიყვანეს და საჯაროდ გაროზგეს.**



ეს 12 ადამიანი ჯერ კიდევ შარშან, დეკემბერში დააკავეს ადგილობრივ სასტუმროში მოწყობილი რეიდის დროს. მაგრამ შარიათულმა პოლიციამ მხოლოდ ახლა აღასრულა განაჩენი, —იუწყება Mirror.

აჩეხის პროვინცია შარიათის კანონების მიმდევარია. ქვეყნის დანარჩენი უპირატესად სამოქალაქო წესებით ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მაჰმადიანია, ისინი ტრადიციებს „ზომიერად“ იცავენ. აჩეხში კანონით აკრძალულია ალკოჰოლი, სექსი დაქორწინების გარეშე და ჰომოსექსუალური აქტები. ყველა ეს ცოდვა გაროზგვითა და ციხეში მოთავსებით ისჯება.

მიუხედავად იმისა, რომ ინდონეზიის პრეზიდენტიც საჯარო დასჯის წინააღმდეგია, გაროზგვა აქ ძალაში რჩება. დასჯის ეს ფორმა მოსახლეობაში პოპულარულია და უამრავ მაყურებელს იზიდავს.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## მოძალადე მსხვერპლს სამმეტრიანი გველით აშინებდა



**შოტლანდიელ სერიულ მოძალადეს, რომელიც მსხვერპლის დასაშინებლად სამმეტრიან მახრჩობელა გველს იყენებდა, სასამართლომ 14 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ერთი მსხვერპლი ჯონ დიქსონმა 5 წლის განმავლობაში თითქმის ათასჯერ გააუპატიურა. მეორე ისე იყო შეშინებული, რომ პოლიციელებმა იგი დანით ხელში კარადაში დამალული იპოვეს, — იუწყება Mirror.**

38 წლის ჯონმა 2000-დან 2017 წლამდე ოთხ ქალზე იძალადა. სასამართლომ დანაშაული მას უტყუარად დაუდასტურა.






ერთ-ერთმა ქალმა სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ მოძალადე მახრჩობელა გველს მის დასაშინებლად იყენებდა. მან თქვა, რომ დიქსონი მაშინაც კი ძალადობდა, როცა (მსხვერპლს) ეძინა, და ეს ისე ხშირად ხდებოდა, რომ ქალისთვის ნორმად იქცა. ჯონი ყოველთვის სცემდა და შეურაცხყოფდა თავის მსხვერპლს, უწოდებდა მეძავს და სხვა ბინძურ სახელებს.

**ერთ-ერთი ასეთი თავდასხმისას მოძალადე მას 4 საათის განმავლობაში სცემდა. სანამ ეს ქალი ამგვარ დამცირებას ითმენდა და მოძალადესთან შეხვედრას განაგრძობდა, სხვა ახალგაზრდა ქალი ჯონ დიქსონისგან დაფეხმძიმდა.**

დიქსონმა აღიარა, რომ ზედმეტად უხეშად ექცეოდა დაზარალებულებს, მაგრამ ირწმუნებოდა, რომ არ ძალადობდა მათზე და სექსი ორმხრივი თანხმობით ხორციელდებოდა. სამოთხეში ადამისა და ევას შეცდენის შემდეგ ეს შემთხვევა გველის მონაწილეობის მეორე უნიკალურ ფაქტად აღიარიცხა.

## ჰოლივუდის კინოკონცერნის ხელმძღვანელმა მსახიობი გოგონა შეაცდინა

**ჰოლივუდის კინოკონცერნ Warner Bros-ის ხელმძღვანელი კევინ ცუძიხორა გახმაურებული სექსსკანდალის ეპიცენტრში აღმოჩნდა. გაირკვა, რომ დაცოლშვილებულმა გენერალურმა დირექტორმა საწოლში ჩაიწვინა 21 წლის მსახიობი გოგონა შარლოტა კირკი: დაჰპირდა, რომ სანაცვლოდ მსხვილ კინოპროექტებში მთავარი როლების შესრულებას გაუხერხებდა. 6 მარტს გამოცემა Hollywood Reporter-მა გამოაქვეყნა Warner Bros-ის ბოსისა და ნორჩი მსახიობის მიმოწერა.**



მთავარ როლებზე კირკი, რა თქმა უნდა, არავის მიუწვევია, მხოლოდ ორი ფილმის მეორეხარისხოვან სცენებში ათამაშეს — „აქტიური ძებნა“ (2016) და „ოუშენის 8 მეგობარი ქალი“ (2018). განრისხებულმა არშემდგარმა „დივამ“ ცუძიხარა სოციალურ ქსელების გამოყენებით ყალთაბანდობაში ამხილა. მიმოწერის სკრინშოტი Hollywood Reporter-ს ხელთ ჩაუვარდა და გამოაქვეყნა კიდეც.

მეტი რა საქმე აქვს?!

„კევინ, როგორ ხარ? ვიცი, რომ ძალიან დაკავებული ბრძანდები, მაგრამ, როცა ჩვენ იმ მოტელში სექსით ვერთობოდით, შენ დახმარებას დამპირდი. როცა შენ მე არად მაგდებ, თავს გამოყენებულ ნივთად ვგრძნობ“, — დაწერა შარლოტა კირკმა. პასუხად ცუძიხარა დაჰპირდა, რომ ძალას არ დაიშურებდა მის დასახმარებლად, მაგრამ დღემდე მთავარი როლი კირკისთვის არავის შეუთავაზებია.

შარლოტამ უკვე განაცხადა, რომ არავითარი პრეტენზია ცუძიხარას მიმართ არ აქვს და რომ იგი (ცუძიხარა) ყოველთვის კორექტულად იქცეოდა. მაგრამ რადგან ტაშტი გატყდა, ხმაც გავარდა და სტუდიის ხელმძღვანელი გაუთვალისწინებელი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. „როცა ახალ ბრალდებებს გვაცნობენ, შესაბამისი გამოძიება სტანდარტული პრაქტიკაა. სწორედ ასე მოვიქცევით ამჯერადაც“, — განაცხადა Warner Media-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, რომელსაც იმოწმებს ბრიტანული ტაბლოიდი The Sun.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქრისტიანული მსოფლმხედველობის ადამიანებთან ძალაუფლების გადასვლა სრულიად რეალურია, გაცილებით რეალური, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ იყო. ამ სცენარის განსახორციელებლად საჭიროა, „ლიგისა“ და „იტალიის საძმოს“ ჯამურმა რეიტინგმა, რომელიც ამჟამად 38%-ს შეადგენს, გადააჭარბოს 50%-ს. იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ეს ჯამური რეიტინგი 20%-იც არ იყო, ამოცანა სულაც არ ჩანს გადაუჭრელი.**

# ოჯახური ფასეულობების დამცველებს ებრძვიან ლგბტ პირები, პრესა, პოლიტიკური კონკურენტები. მათ მხარს არც ვატიკანი არ უჭერს

**29-31 მარტს იტალიის ქალაქ ვერონაში გაიმართა მსოფლიოს საოჯახო კონგრესი, რომლის მონაწილეებმა იმსჯელეს თანამედროვე მსოფლიოში ოჯახების მხარდაჭერის მეთოდებზე. კონგრესმა მწვავე პოლემიკა გამოიწვია იტალიის მასმედიაში. პრესის თავდასხმებთან ერთად ქუჩაში გამართულმა ლგბტ პირების მანიფესტაციებმა კონგრესი თავდაცვის რეჟიმში გადაიყვანა, თუმცა ასეთი ატმოსფერო ქრისტიანებისთვის დასავლეთ ევროპაში, მათ შორის — იტალიაში, კარგა ხანია, შექმნილია.**

## შეტევები პრესაში

კონგრესის მუშაობაში ათეულობით ქვეყნის პოლიტიკური, საზოგადო და რელიგიური მოღვაწეები მონაწილეობდნენ. მთავარი პოლიტიკური ვარსკვლავი იყო იტალიის ვიცეპრემიერი **მატეო სალვინი.** მისი პარტია „ლიგა“ შეხვედრის ორგანიზატორი იყო.

ღონისძიების კრიტიკოსებს ნაკლებად აინტერესებდათ კონგრესზე განსახილველად გამოტანილი კონკრეტული საკითხები. კონგრესის კრიტიკოსების უკმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ 2019 წელს ვიღაცას შეუძლია აბორტს მკვლელობა უწოდოს და დასძინოს, რომ, თუ არ აიკრძალება, სულ ცოტა, უნდა დაეხმარონ მომავალ დედებს მკვლელობის თავიდან აცილებაში. უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტიც, რომ 2019 წელს ვიღაცას შეუძლია თქვას, „გეი-კავშირები“ იგივე არ არის, რაც ოჯახი. ამიტომ ჰომოსექსუალების უფლებებიც (მაგალითად, შვილად აყვანა) ანალოგიური არ უნდა იყოს.

ძირითად იტალიურ მედიასაშუალებებს აკონტროლებენ დიდი ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც მხარს უჭერენ ლგბტ-ს დადგენილ საერთო ჩარჩოებში — „დაკავდით, რაც გინდათ, იმით, რეალური ძალაუფლების გარდა“. ამასთანავე, ლგბტ პირების მიმართ ტოლერანტობა არა მხოლოდ მოდურია, არამედ ის პროგრესული ევროპელის, პრაქტიკულად, შეუცვლელ აქსესუარად იქცა.

კონგრესზე შეტევა მის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო. წამყვანი მასმედიის უმრავლესობა განუწყვეტლივ იმეორებდა სიტყვათა წყობას: „კონგრესი მიმდინარეობს კონფრონტაციის ატმოსფეროში“, თუმცა ეს ატმოსფერო კრიტიკოსებმა თვითონ შექმნეს. პლუს ტექსტის ტრადიციული დამახინჯება: **„კონგრესის მონაწილეები ქალების უფლებების შეზღუდვის მოთხოვნით გამოდიან“ — ასე თარგმნეს ლგბტ ენაზე ფრაზა „აბორტი — ეს არის მკვლელობა“.** და უბრალო ტყუილი: **„შუასაუკუნეების კონგრესი, რომლის მონაწილეებსაც ქალის როლი მხოლოდ ბავშვების გაჩენამდე დაჰყავთ“.**

აღსანიშნავია, რომ საოჯახო კონგრესს მხარი არ დაუჭირა კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა. პაპმა ფრანცისკემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ იზიარებს თვალსაზრისს ვერონაში განსახილველად გამოტანილი თემების მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ მიაჩნია, რომ მუშაობის მეთოდიკა მცდარია. ამ პოზიციას იტალიელი კათოლიკეები თვითმკვლელობის ტოლფასს უწოდებენ... მეთოდების გაუმჯობესება ყოველთვის შეიძლება.

და კიდევ — ფრანცისკეს მიაჩნია, რომ მიგრანტებით სავსე ხომალდები უნდა მიიღონ, თუმცა ამ პოზიციას არ იზიარებს არც ხალხის და არც მრევლის უმრავლესობა. ოპონენტების პოზიციის („მიგრანტები არ უნდა მივიღოთ, იმიტომ, რომ არ უნდა წავაქეზოთ ადამიანების დამამცირებელი მიგრაცია“, „დავეხმაროთ მათ მათივე სახლებში“) შეფასებისგან ფრანცისკე თავს იკავებს.

პოლიტიკურ სპექტრში იტალიელი კათოლიკეები ორი პარტიით არიან წარმოდგენილნი. ესენია: **ჯორჯ მელონის** „იტალიის საძმო“ (რეიტინგი 5%) — სრულიად კათოლიკური პარტია და **სალვინის** „ლიგა“ (33%) — ფასეულობების მიხედვით, „იტალიის საძმოსთან“ ძალიან ახლოს მდგომი პარტია. დანარჩენი პარტიები ქრისტიანული ფასეულობების მტრები არიან. ყოფილი მმართველი დემოკრატიული პარტია (20%) ლგბტ თემის ლიბერალური ბურჯია. მმართველობის მრავალი წლის განმავლობაში ამ პარტიამ დააკანონა გეიქორწინებები და ჩამოხსნა ჯვრები საკლასო ოთახებიდან.

## ბოლო შანსი

**ევროპარლამენტის არჩევნებამდე თვე-ნახევრით ადრე ყველა პარტია „საოჯახო“ ინიციატივებს აფრქვევს. ყველა პარტია იბრძვის ოჯახების სიმპათიის მოსაპოვებლად და ტრადიციული ფასეულობების მხარდასაჭერად. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ასეთია საზოგადოების მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, თუ რის თავს მოხვევას ცდილობს ლგბტ. თუმცა „რადიკალურ ქრისტიანებს“, მათ, ვინც საჯაროდ ლაპარაკობს აბორტების მიუღებლობასა და იმაზე, რომ „გეიწყვილებს“ ბავშვის შვილად აყვანის უფლება არ უნდა ჰქონდეთ, ლგბტ საზოგადოება თანამიმდევრულად დევნის.**

ლგბტ თემის ისტერიკას იწვევს მათი წარმომადგენლების უბრალო აღსარებაც კი. ლიბერალური ფასეულობების დაცვა, სანამ ქრისტიანებთან სრულად არ გადასულა პოლიტიკური ძალაუფლება ქვეყანაში — ეს არის ამოცანა-მინიმუმი, ის ბასტიონი, რომელიც უნდა დაიცვან.

ქრისტიანული მსოფლმხედველობის ადამიანებთან ძალაუფლების გადასვლა სრულიად რეალურია, გაცილებით რეალური, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ იყო. ამ სცენარის განსახორციელებლად საჭიროა, „ლიგისა“ და „იტალიის საძმოს“ ჯამურმა რეიტინგმა, რომელიც ამჟამად 38%-ს შეადგენს, გადააჭარბოს 50%-ს. იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ეს ჯამური რეიტინგი 20%-იც არ იყო, ამოცანა სულაც არ ჩანს გადაუჭრელი. მატეო სალვინისადმი სიმპათიის მატება გამოწვეულია იმით, რომ ის ხალხს დაჰპირდა მიგრაციის ნაკადის შეჩერებას და შეაჩერა კიდეც, თუმცა საქმე მხოლოდ ამაში არ არის. სალვინის პოპულარობა გამოწვეულია იმით, რომ ის არის „ნორმალური ადამიანი ნორმალური მოსაზრებებით“. და ეს ნორმალურობა ჩანს როგორც წვრილმანებში, ისე გლობალურ საკითხებში; იმაში, რომ ის ლაპარაკობს ოჯახებზე, სარწმუნოებაზე, მიგრანტებზე, ნარკოტიკებზე, არმიასა და ფეხბურთზე.

ტოლერანტობის პროპაგანდამ მოქალაქეებს აუკრძალა, საჯაროდ ილაპარაკონ, რომ რაღაც არის მართებული და რაღაც უმართებულო, რაღაც — ნორმალური და რაღაც — არანორმალური. რეიტინგი კი მატულობს მხოლოდ იმ ორი პარტიისა, რომლებიც გამოდიან ტრადიციული ფასეულობების დაცვის მოწოდებით, თუმცა ჯერჯერობით უთქმელად და ქვეცნობიერის დონეზე, მაგრამ იტალია ამ გზას ირჩევს.



**ტოლერანტობის პროპაგანდამ მოქალაქეებს აუკრძალა, საჯაროდ ილაპარაკონ, რომ რაღაც არის მართებული და რაღაც უმართებულო, რაღაც — ნორმალური და რაღაც — არანორმალური. რეიტინგი კი მატულობს მხოლოდ იმ ორი პარტიისა, რომლებიც ტრადიციული ფასეულობების დაცვის მოწოდებით გამოდიან. თუმცა ჯერჯერობით უთქმელად და ქვეცნობიერის დონეზე, მაგრამ იტალია ამ გზას ირჩევს**





WORLD CONGRESS OF FAMILIES XIII
VERONA | 29-31 MARCH, 2019

**სააგენტო „რეგნუმ“-ის მასალების მიხედვით მოამზადა**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კანარის კუნძულები კურორტებითაა ცნობილი, მაგრამ ძველი ქალაქი ოროტავა ივნისში ყველას იწვევს ფერადი ხალიჩების ფესტივალზე. ქალაქში შენარჩუნებულია XVII საუკუნის ატმოსფერო: ვიწრო მოკირწყლული ქუჩები, სახლები უნიკალური ჩუქურთმებით. ეს ყველაფერი თვალს ახარებს ჩვეულებრივ დღეებშიც, მაგრამ ფესტივალ CORPUS CHRISTI-ის მიმდინარეობისას ქვაფენილი იფარება საოცარი ნახატებით. ქალაქი თითქოს აყვავდაო.**

# ყველაზე საოცარი ქუჩები მსოფლიოში

ევროპის, აზიისა თუ ამერიკის ამა თუ იმ ქვეყანაში მოგზაურობისას პირველი, რასაც ათვალიერებ და იკვლევ, ქუჩებია — თანამედროვე და ძველებური, გრძელი და მოკლე, ვიწრო და ფართო, პირქუში და ლამაზი. სწორედ ქუჩებს შეუძლია გაგრძნობინოს ქალაქის განწყობა და ატმოსფერო.





## მედინა (შეფშაუენი, მაროკო)

ლურჯი შეფერილობის მოყვარულები, უბრალოდ, ვალდებულნი არიან, მოინახულონ განსაცვიფრებელი ქალაქი შეფშაუენი, რომლის ძველ უბანში ქუჩების უმეტესობა, კედლები, კარები შეღებილია ლურჯად. ფანტასტიკური ქუჩები გაჩნდა ლტოლვილი ებრაელების წყალობით, რომლებიც მაროკოში 1930-იან წლებში ჩავიდნენ. ქუჩების ფერი კიდევ უფრო ალამაზებს მთებს, რომლებიც გარს აკრავს ქალაქს.



## ვილა დე გრასია (ბარსელონა, ესპანეთი)

როდესაც ლაპარაკია გრასიაზე, იგულისხმება ბარსელონას ძველი, ისტორიული კვარტალი ვილა დე გრასია. ის ბარსელონას ყველაზე განსაცვიფრებელი გარეუბანია. მთავარი ქუჩები — Torrent de L'olla და Trovessera de Gracia ყოველთვის სავსეა ხალხით, აქ ცხოვრება ჩქეფს და უნიკალურ ატმოსფეროს ქმნის. ისედაც ლამაზი ქუჩები აგვისტოში, როცა ტარდება ფესტივალი Festa Majot და ცხადდება კონკურსი ყველაზე ლამაზი ქუჩის გამოსავლენად, კიდევ უფრო ლამაზდება.





## მოლივლივე ქოლგების ქუჩა (აგედა, პორტუგალია)

ხელოვნების ფესტივალ Agitagueda-ს მიმდინარეობისას აგედას ქუჩებში შეგიძლიათ ნახოთ საოცარი ინსტალაცია „მოლივლივე ქოლგები". ეს ქოლგები არა მხოლოდ ალამაზებს ქუჩებს, არამედ მზის მწველი სხივებისგანაც იცავს გამვლელებს.



## დახეთქილი ქვების ქუჩა (ენსხედე, ჰოლანდია)

Roomber-ი — სავაჭრო ქუჩა ჰოლანდიის ქალაქ ენსხედეს ცენტრში, სადაც მიედინება ნაკადული. ოდესღაც ის მიწისქვეშ მიედინებოდა, მაგრამ მიწის ზედაპირზე გაუკვალეს გზა და ქუჩის არქიტექტურის ელემენტად აქციეს. ნაკადულს ფსკერი რელიეფური გაუკეთეს, რათა შეემცირებინათ ნაკადის ძალა და შეექმნათ წყლის ზედაპირის მუდმივი ლივლივის ილუზია.



## ძველი ქალაქი ლიძიანი (ჩინეთი)

XVIII საუკუნეში დაარსებული ქალაქი დამთვალიერებლებს აცვიფრებს თავისი ქუჩებით. სახლები აგებულია ტრადიციულ ნასის სტილში ალიზის აგურითა და ხით. არხების უნიკალურ სისტემასა და ნასის კულტურას საფრთხე ემუქრება ტურისტების მოზღვავების გამო.

## ორქიდეების ქუჩა (სინგაპური)

სუფთა ქუჩის გასწვრივ ჩამწკრივებული ხეები დამთვალიერებლებს გასეირნებისკენ და მრავალრიცხოვან მაღაზიებში შესვლისკენ მოუწოდებს. ასწლეულების წინათ აქ ჯავზი და ბამბუკი ხარობდა, ახლა კი ქუჩას ორქიდეები ამშვენებს.





## ლომბარდ-სტრიტი (სან-ფრანცისკო, აშშ)

ორ ქუჩას — Hyde-სა და Leave en worth-ს — შორის მოქცეული ლომბარდ-სტრიტი მსოფლიოში ყველაზე დაკლაკნილ ქუჩად ითვლება. მისი ერთ-ერთი მონაკვეთი განთქმულია მკვეთრი მოსახვევებით, რომლებმაც დაღმართის დახრილობის კუთხე შეამცირეს. მოძრაობის სიჩქარე შეზღუდულია 8 კმ/სთ-მდე.





## ჯადოსნური ხალიჩების ქუჩა (ლა-ოროტავა, კანარის კუნძულები)

კანარის კუნძულები თავისი კურორტებითაა ცნობილი, მაგრამ ძველი ქალაქი ოროტავა ივნისში ყველას იწვევს ფერადი ხალიჩების ფესტივალზე. ქალაქში შენარჩუნებულია XVII საუკუნის ატმოსფერო: ვიწრო მოკირწყლული ქუჩები, სახლები უნიკალური ჩუქურთმებით. ეს ყველაფერი თვალს ახარებს ჩვეულებრივ დღეებშიც, მაგრამ ფესტივალ Corpus Christi-ის მიმდინარეობისას ქვაფენილი იფარება საოცარი ნახატებით. ქალაქი თითქოს აყვავდაო, თუმცა ეს ტექნიკურად სულაც არ არის ყვავილების ფესტივალი. ყველა ნახატი შესრულებულია ვულკან ტეიდეს კრატერიდან აღებული ვულკანური ქვიშით.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**2007-2011 წლებში ბიორნდალენმა მსოფლიოს ჩემპიონატებში 9 ოქროს მედალი მოიპოვა, 2010 წელს კი კანადის ქალაქ ვანკუვერში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში ნორვეგიის ნაკრებთან ერთად გაიმარჯვა 4X7,5 კმ-ზე ესტაფეტაში, ხოლო 20 კმ-ზე ინდივიდუალურ რბოლაში ვერცხლის მედალი დაიმსახურა.**

# ბიატლონის მეფე

## ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში

**ულე-აინარ ბიორნდალენი დაიბადა 1974 წლის 29 იანვარს ნორვეგიის სამხრეთით მდებარე პატარა ქალაქ დრამენში. როგორც თვითონ „ბიატლონის მეფემ“ თქვა, „ის არის ნორვეგიელი გლეხის ოჯახიდან, რომელსაც ჰყავდა 9 ძროხა და 5 შვილი და ამ ოჯახში ზოგჯერ ძროხებს მეტ ყურადღებას უთმობდნენ, ვიდრე ბავშვებს“. მიუხედავად იმისა, რომ ულე-აინარი დაიბადა სკანდინავიურ ქვეყანაში, სადაც თხილამურები ყველა ოჯახშია, მის ბიოგრაფიაში ბიატლონი სპორტის ერთადერთი სახეობა არ ყოფილა. ბავშვობაში დაკავებული იყო მძლეოსნობით, ფეხბურთითა და ველოსიპედითაც კი, თუმცა ნორვეგიულმა ფესვებმა მაინც თავისი გაიტანა — ჭაბუკმა ულე-აინარმა ძალისხმევა ბიატლონის დაუფლებისკენ მიმართა. ბიორნდლენი ნორვეგიის სათხილამურო გიმნაზიაში დროის უდიდეს ნაწილს სპორტს უთმობდა და სწავლით თავს მაინცდამაინც არ იკლავდა. მომქანცველი ვარჯიშების მძიმე წლებმა ნაყოფი გამოიღო. 1993 წელს ბიორნდალენმა ფურორი მოახდინა, როცა იუნორთა მსოფლიო ჩემპიონატზე ბიატლონის სამ სახეობაში გაიმარჯვა.**

1994 წელს 20 წლის სპორტსმენი მონაწილეობდა თავის პირველ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც ნორვეგიაში, ლილეჰამერში გაიმართა. ამ თამაშებში სპორტსმენის წინაშე იდგა ერთი ამოცანა — გაეცნობიერებინა, რა იყო ოლიმპიური თამაშები და ნამდვილი სპორტული ბრძოლა. ეს თამაშები ბიორნდალენისთვის რეპეტიცია იყო ბრწყინვალე კარიერის წინ.

„ოლიმპიურმა მოთელვამ“ თავი იჩინა 1995 წელს, როდესაც სპორტსმენმა მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილი დაიკავა.

მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი მედალი (ვერცხლის) კი ულე-აინარ ბიორნდალენმა 1996 წელს ჰოხფილცენიდან (ავსტრია) წაიღო შინ. ეს მედალი, რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, საზაფხულო ბიატლონში მოიპოვა.

1998 წელი ბიორნდალენის საჩემპიონო ეპოქის საწყისი წელიწადია. შორეულ ნაგანოში (იაპონია) გამართულ ოლიმპიურ თამაშებში 10 კმ-ზე რბოლაში გაიმარჯვა, იმავე წელს სლოვენიაში „ბიატლონის მეფემ“ მსოფლიო ჩემპიონობაც მოიპოვა.

2002 წლის ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში სპორტსმენმა ვერაფრით შეძლო მსოფლიოს ჩემპიონატებში გამარჯვება. თხილამურებით შესანიშნავად სრიალებდა, მაგრამ სროლისას ხშირად აცდენდა მიზანს, თუმცა სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიურ თამაშებში შესანიშნავად ისროლა. ეს იყო ერთი სპორტსმენის თამაშები. იქ ბიორნდალენმა 4 ოქროს მედალი მოიპოვა — 20 კმ-ზე ინდივიდუალურ რბოლაში, 10 კმ-ზე სპრინტში, 12,5 კმ-ზე გამოდევნებით რბოლაში და 4X7,5 კმ-ზე ესტაფეტაში. ბიატლონში შესანიშნავი ასპარეზობის გარდა, ნორვეგიული თხილამურებით რბოლაშიც მონაწილეობდა და მეხუთე ადგილი დაიკავა. შემდეგ წელს კი ხანტი-მანსიისკიში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში 10 კმ-ზე სპრინტში და 15 კმ-ის მასობრივ რბოლაში გაიმარჯვა.

2006 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის სამზადისის შედეგები 4 წლის წინანდელი შედეგების საწინააღმდეგო აღმოჩნდა. მსოფლიოს ჩემპიონატის 4 ოქროს მედლის მოგების შემდეგ ბიორნდალენმა ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მხოლოდ 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მაგრამ ეს არ ყოფილა დასასრული. „ბიატლონის მეფემ“ განაგრძო კარიერა. 2007-2011 წლებში ბიორნდალენმა მსოფლიოს ჩემპიონატებში 9 ოქროს მედალი მოიპოვა, 2010 წელს კი კანადის ქალაქ ვანკუვერში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში ნორვეგიის ნაკრებთან ერთად გაიმარჯვა 4X7,5 კმ-ზე ესტაფეტაში, ხოლო 20 კმ-ზე ინდივიდუალურ რბოლაში ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

2014 წელს სოჭის ოლიმპიური თამაშებისთვის ნორვეგიელი ბიატლონისტი შესანიშნავად მოემზადა და 2 ოქროს მედალი მოიპოვა სპრინტსა და შერეულ ესტაფეტაში. ამრიგად, ულე-აინარ ბიორნდალენი რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ბიატლონში და ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი — ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში.





დაგი და ულე აინარ ბიორნდალენები



ულე აინარ ბიორნდალენი

**«დედამიწაზე არსებობს სამი რამ, რომელთა გარეშეც იოლად შემიძლია ვიცხოვრო: ალკოჰოლი, ფუფუნება და რძის პროდუქტები».**

*ულე-აინარ ბიორნდალენი*

*ლეგენდარული ნორვეგიელი ბიატლონისტი, ზამთრის ოლიმპიური თამაშების ყველაზე ტიტულოვანი ჩემპიონი, ერთ-ერთი გამოჩენილი სპორტსმენი ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში*

ბიორნდალენის სახელი ყოველთვის ასოცირდებოდა შეჯიბრებებისთვის მზადების საკმაოდ უცნაურ მეთოდიკასთან მედიტაციისა და იოგას გამოყენებით. რბოლების საკუთარი თავის გასაკონტროლებლად და სროლაში ხარვეზების აღმოსაფხვრელად ბიორნდალენმა 1996 წელს დაიქირავა პირადი ფსიქოლოგი ოივინდ ჰამერი, რომელიც მტვერსასრუტის შეძენისას გაიცნო მალაზიაში — სწორედ მისგან იყიდა მტვერსასრუტი, რომელიც წლების განმავლობაში ჰქონდა, როგორც თილისმა და როგორც დასუფთავების საშუალება. ბიორნდალენი სისუფთავის მოყვარულია, ხელის ჩამორთმევასაც კი თავს არიდებს, ვინმემ ინფექცია რომ არ გადასდოს.



ბიორნდალენი და ბელორუსი მეუღლე დარია დომრაჩოვა

**მიღწევები:**

ნორვეგიელი ბიატლონისტი რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონია, არის ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში (20 გამარჯვება). ოთხიდან ოთხი გამარჯვება მოიპოვა 2002 წელს სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიურ თამაშებში და ერთადერთი აბსოლუტური ჩემპიონია ბიატლონში. ბიორნდალენის ანგარიშზეა 96 პირადი გამარჯვება მსოფლიოს თასის ეტაპებზე ბიატლონსა და თხილამურებით რბოლაში (შესაბამისად, 95 და 1), სულ კი პირად და გუნდურ დისციპლინებში 133-ჯერ გაიმარჯვა.

2018 წლის 3 აპრილს განაცხადა, რომ დაასრულა სპორტული გარიერა.

**ულე-აინარ ბიორნდალენის გამონათქვამები:**

*** ზოგჯერ მწყინს, რომ ადამიანებმა არ იციან ჩემზე ბევრი რამ, მაგალითად, ის, რომ შესანიშნავად დავდივარ გაჭიმულ ბაგირზე. ბავშვობაში კი ვოცნებობდი ფოტოგრაფობაზე, ფოტოაპარატიც კი ვიყიდე.**

* ბავშვობაში სიზუსტეს მიმაჩვიეს. და თუ 5 წუთით მაგვიანდება ინტერვიუზე, ძალიან ვნერვიულობ.

*** რბოლებს ადამიანები იგებენ, მაგრამ არ შეიძლება ინვენტარიც არ დააფასო.**

* იმუშავე მხოლოდ მათთან, ვინც შენზე ძლიერია. სწორედ ასეთი ადამიანები გეხმარებიან ზრდაში.

*** მე ვცხოვრობ იტალიაში. მომწონს ამ ქვეყნის მთები, ბუნება, სამზარეულო, მაგრამ მე ნორვეგიელი ვარ და მომწონს ნორვეგიელები. ისეთი ადამიანები, როგორიც ჩვენ ვართ ევროპაში აღარ არიან: ნორვეგიელებისთვის უცხოა ევროპული პრაგმატიზმი და ფუფუნებისკენ ლტოლვა. ნორვეგიელები ადამიანებს არ ყოფენ მდიდრებად და ღარიბებად და ნორვეგიაში ცნობილ ადამიანებს არასოდეს ექმნება პრობლემები. ყველა ნორვეგიელი დელიკატურია და არასოდეს მოგაბეზრებს თავს ფოტოს ან ავტოგრაფის თხოვნით. ევროპაში ასე არ არის. იქ ადამიანები შეშლილები არიან. ერთმა შუა ზაფხულში მთხოვა, ავტოგრაფი დამეტოვებინა მის თხილამურზე.**

**2014 წელს სოჭის ოლიმპიური თამაშებისთვის ნორვეგიელი ბიატლონისტი შესანიშნავად მოემზადა და 2 ოქროს მედალი მოიპოვა სპრინტსა და შერეულ ესტაფეტაში. ის რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ბიატლონში და ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი — ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



მარი გურჯიევი, ნუგზარ ბერიძე, რეზო თოდუა და დავით ბერულავა

# ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდების წარმატება

საქართველოს ხსნა განათლებულ თაობაშია, რომელსაც, სანამ წარმატებას მიაღწევს, ხელშეწყობა სჭირდება. სასიხარულოა, რომ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ფინალში გავიდა ნიჭიერი ქართველი **ახალგაზრდების ჯგუფი Fourteenmiracles, რომელიც „ტრიბოელექტრული ფარადის“ შექმნაზე მუშაობს.**

„ტრიბოელექტრული ფარადა“ — ეს არის ახალი თაობის ქარის ელექტროსადგური. ჩვენ მიერ შექმნილი სისტემა ელექტროენერგიის გამომუშავების იმ დონეს აღწევს, რომელსაც გარემოსგან არავითარი შემზღუდავი ფაქტორი არ გააჩნია, იქნება ეს ამინდი თუ დღეღამური ციკლი. ის ჰაერის მცირე ნაკადის საშუალებითაც კი გამოიმუშავებს ელექტროენერგიას და თითქმის არასდროს წყვეტს მუშაობას, ეკოლოგიურად სუფთაა და საფრთხეს არ უქმნის ბუნებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტრიბოელექტრული ფარდის შექმნა არ არის დაკავშირებული დიდ ხარჯებთან.

ჯგუფმა Fourteenmiracles-მა მოიპოვა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის 15-ათასლარიანი დაფინანსება და ამ მომენტში მუშაობს პროექტის სრულმასშტაბიან სახეზე საქართველოს უნივერსიტეტში. ჯგუფის შემადგენლობა ასეთია: **მარი გურჯიევი, ნუგზარ ბერიძე, რეზო თოდუა და დავით ბერულავა. აღსანიშნავია, რომ რეზო თოდუა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ აწ გარდაცვლილი მთავარი რედაქტორის, ირაკლი თოდუას, უფროსი ვაჟია.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია წარმატებებს უსურვებს ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს.**




# სტალინის მოღვაწეობის მოწონების დონემ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია

„ლივადა-ცენტრის“ გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სტალინის მოღვაწეობის მოწონების დონემ წლების განმავლობაში ამ თემის გამოკვლევის რეკორდი მოხსნა. გამოკვლევის თანახმად, სტალინის მოწონებისა და მის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულების ჯამურმა დონემ 77 პროცენტს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების 51 პროცენტს საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის მიმართ აღტაცებული დამოკიდებულება აქვს ან სიმპათია. ამასთანავე, 12 პროცენტით მოიმატა იმ ადამიანების წილმა, რომლებიც პატივისცემით არიან განმსჭვალულნი სტალინის მიმართ, მნიშვნელოვნად არის შემცირებული იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ნეგატიურად არიან განწყობილნი. რუსების 70 პროცენტი მიიჩნევს, რომ სტალინმა შეასრულა „უფრო დადებითი“ და „მთლიანობაში დადებითი“ როლი ქვეყნის ცხოვრებაში.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:

„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„ჯეომედია“ — ტელ: 593 209 526
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22



# პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი დაიწვა

**15 აპრილს ცეცხლი გაუჩნდა საფრანგეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რელიგიურ საკულტო ნაგებობას — პარიზის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარს (ნოტრ-დამს). მეხანძრეები ცეცხლს 9 საათზე მეტ ხანს აქრობდნენ.**

ცნობილია, რომ ტაძარში განადგურებულია XIII საუკუნის მრგვალი სარკმლები, შპილი და სახურავი. გადარჩა თითქმის ყველა რელიკვია. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ტაძრის აღდგენის პირობა დადო. მისი თქმით, ტაძრის რესტავრაციის შემოწირულობისთვის ანგარიში გაიხსნება.

ხანძრის გამომწვევ მიზეზად ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები სახელდება, რომელიც 2022 წელს უნდა დასრულებულიყო.

პარიზის ღვთისმშობლოს ტაძარი საფრანგეთის დედაქალაქის ერთ-ერთი ცნობილი ღირსშესანიშნაობაა, რომელიც თითქმის 200 წელი შენდებოდა, 1163-დან 1345 წლამდე.



სიახლე!

ტიბეტური მედიცინით მკურნალობა



ლიცენზია N 035121

- პროსტატი, პოტენციის დაქვეითება, გაძნელებული შარდვა;
- ფიბრომა, მასტოპათია, მენსტრუალური ციკლის მოშლა, გართულებული კლიმაქსი, უშვილობა;
- ნევროზი, მეხსიერებისა და შრომის უნარის დაქვეითება, უძილობა, დეპრესია;
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, სახსრებისა და ძვლების ტკივილი, ართროზი, ოსტეოპოროზი, სკოლიოზი.

მკურნალობა მაღალეფექტური, ორგანიზმისთვის უვნებელი მეთოდებით. ქიმიური წამლებისა და ჰორმონალური პრეპარატების გარეშე.

☎ 599-54-18-30, 247-57-18

სიმაღლეში მომატება!

გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?



დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04

0790 30 94 35

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge საქართველო და მსოფლიო ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6

ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894